

განათლებისა და
მეცნიერების ერთიანი
სტრატეგია 2017-2021-ის
განხორციელების
შუალედური შეფასება

21 თებერვალი, 2019

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურის და სპორტის სამინისტრო

შინაარსი

1. შესავალი.....	3
2. რეზიუმე.....	4
2.1. მიზნების მიღწევის პროგრესის ხარისხის შეფასება და რეკომენდაციები.....	4
3. შეფასების მეთოდოლოგია.....	13
3.1. შეფასების პროცესი.....	13
3.2. შეფასების პარამეტრები.....	14
4. შეფასების შედეგები.....	15
4.1. რელევანტურობა.....	15
4.2. ეფექტურობა.....	17
<i>რამდენად არის მიზნები/ამოცანები მიღწეული? რამდენად დროულად იქნა (ან იქნება) მიზნები/ამოცანები მიღწეული? რამდენად მიღწევადია მიზნები/ამოცანები არსებული პროგრესის გათვალისწინებით? რამდენად რელევანტურად ასახავს სტრატეგიაში მოცემული ინდიკატორები, სტრატეგიის მიზნისა და ამოცანების მიღწევის ხარისხს? რა ძირითადი მიზეზების გამო ხდება ან ვერ ხდება მიზნების/ამოცანების მიღწევა?</i>	17
4.3. განხორციელება.....	72
5. რეკომენდაციების შეჯამება/სამომავლო გეგმები	74
5.1. მიზნის/სტრატეგიული ამოცანების მიღწევასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციები.....	74
6. დანართები	80
6.1. ფოკუს ჯგუფების მონაწილეები	80
6.3 ნახევრად სტრუქტურირებული გასაუბრებები	84
6.4 გაანალიზებული დოკუმენტები	84
6.5 სტრატეგიის ლოგიკური ჩარჩო.....	85
6.6 შეფასების მატრიცა	91

1. შესავალი

საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს აღებული ვალდებულების თანახმად¹, სამინისტრომ მოამზადა “განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021“ -ის განხორციელების შუალედური შეფასების ანგარიში, რომელიც ეყრდნობა 2017 წლის დეკემბერში სამინისტროს მიერ მომზადებულ „სტრატეგიული ამოცანებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიშს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021“, დამტკიცდა 2017 წლის 7 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N533 დადგენილებით. დოკუმენტი ეფუძნება ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებს, განათლების, მეცნიერებისა და გადამზადების სფეროს მიღწევებისა და გამოწვევების ანალიზს.

აღნიშნული სტრატეგია მოიცავს განათლებისა და მეცნიერების ყველა სფეროს: ბავშვთა ადრეული/სკოლამდელი აღზრდა და განათლება, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება, ზრდასრულთა განათლება, მეცნიერება და კვლევები. დოკუმენტი ასახავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნებს, ითვალისწინებს ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს რეკომენდაციებს და შესაბამისობაშია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან.

სტრატეგიის შეფასების პროცესს კოორდინაციას უწევდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, ხოლო მეთოდოლოგიურ დახმარებას - გაეროს განვითარების „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ (UNDP PAR), რაც ითვალისწინებდა საექსპერტო დახმარებას შეფასების პროცესისა და მეთოდიკის დაგეგმვაში.

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021“-ის განხორციელების შეფასების ანგარიშის მიზანია, განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021-ით დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის დინამიკისა და დონის განსაზღვრა, ხარვეზების გამოვლენა სტრატეგიის

¹ ფინანსური შეთანხმება ENI/2015/37832, ინდიკატორი N1.1.4. „წინასწარ განსაზღვრულმა ხუთმა საპილოტე სამინისტრომ მოამზადა და გამოაქვეყნა შერჩეული სექტორული სტრატეგიებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების შესრულების სულ მცირე ერთი შეფასების ანგარიში მთავრობის მიერ დამტკიცებული სახელმძღვანელოს მიხედვით (მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების ჩარჩო დოკუმენტი, დამტკიცებული მთავრობის მიერ 2016 წლის დეკემბერში, დადგენილება N628. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ერთობლივი ინიციატივით ხორციელდება „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021“-ს გეგმიური შეფასება, რომელიც ეყრდნობა 2017 წელს მომზადებულ „სტრატეგიული ამოცანებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიშს“.

განხორციელებაში, მისი გაუმჯობესებისა და პოლიტიკის შემდგომი დოკუმენტების დახვეწის ხელშეწყობა.

შესაბამისად, შეფასება ემსახურება შემდეგი ამოცანების შესრულებას:

ამოცანა 1: გაუმჯობესოს სტრატეგიის განხორციელების ეფექტურობა და ეფექტიანობა, ამოცანებისა და წარმატების/სამიზნე ინდიკატორების უკეთ დასახვის გზით.

ამოცანა 2: მოახდინოს სტრატეგიის თითოეული მიმართულებით პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ციკლში წარმატებული მაგალითების იდენტიფიკაცია და განაზოგადოს ამ პროცესიდან ნასწავლი გაკვეთილები.

ამოცანა 3: ხელი შეუწყოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროში მონიტორინგისა და შეფასების კომპეტენციების/ფუნქციებისა და პროცესების გაძლიერებას.

ამოცანა 4: შეიმუშავოს რეკომენდაციები სტრატეგიის განათლების და მეცნიერების პოლიტიკის მომდევნო დოკუმენტებში გათვალისწინების მიზნით.

2. რეზიუმე

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021“ მოიცავს 5 სპეციფიკურ მიზანს, რომელიც განათლების თითოეულ სექტორს/მიმართულებას (სკოლამდელი განათლება, ზოგადი განათლება, პროფესიული განათლება, უმაღლესი განათლება და მეცნიერება) შეესაბამება. თითოეული სპეციფიკური მიზნისთვის, სტრატეგიაში განსაზღვრულია 1-3-მდე მიზნის მიღწევის, ე.წ. გავლენის ინდიკატორი. ყოველი სპეციფიკური მიზანი მოიცავს 1-5-მდე სტრატეგიულ ამოცანას. თითოეული სტრატეგიული ამოცანისთვის კი განსაზღვრულია 1-2-მდე ამოცანის შესრულების ინდიკატორი.

იმის გამო, რომ, ხშირ შემთხვევაში, სტრატეგიის დოკუმენტში მიზნები და სტრატეგიული ამოცანები არ არის კარგად ფორმულირებული, სუსტი კავშირი არსებობს ინდიკატორებთან, ხოლო ეს უკანასკნელი, ხშირად არ არის შესაბამისი და არ იძლევა ამოცანის/მიზნის მიღწევის ხარისხის გაზომვის შესაძლებლობას, მიზნის მიღწევის დონის მაღალი სიზუსტით განსაზღვრა ნაკლებად არის შესაძლებელი, თუმცა გარკვეულწილად, შესაძლებელია პროგრესის შესახებ ზოგადი ტენდენციის განსაზღვრა.

2.1. მიზნების მიღწევის პროგრესის ხარისხის შეფასება და რეკომენდაციები

სპეციფიკური მიზანი 1	გავლენის ინდიკატორი	მიზნის მიღწევის დონე
მაღალი ხარისხის სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სასკოლო ასაკის ბავშვების სკოლისთვის მომზადების უზრუნველყოფა	სკოლამდელი დაწესებულებების რაოდენობა, სადაც დანერგილია განათლების კომპონენტი	საშუალოზე დაბალი

გავლენის ინდიკატორში სამიზნე მონაცემის არარსებობის გამო, მიზნის მიღწევის აბსოლუტური სიზუსტით შეფასება არ არის შესაძლებელი, თუმცა, იკვეთება პროგრესი სტრატეგიული ამოცანის მიღწევაში ერთ-ერთ ინდიკატორთან მიმართებით. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ზემოაღნიშნული ინდიკატორი ვერ უზრუნველყოფს მიზნის მიღწევის რელევანტურ გაზომვას, განსაკუთრებით „მაღალი ხარისხის სკოლამდელ განათლებაზე“ ხელმისაწვდომობის გაზრდის კუთხით, რაც პროგრამის დანერგვის გარდა მოიცავს ისეთ კომპონენტებსაც, როგორცაა დაწესებულებების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, სასწავლო რესურსები, აღმზრდელ-პედაგოგების განათლება, კვალიფიკაცია და სხვ.

აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული ამოცანების ინდიკატორებიდან ერთ-ერთის : „სკოლამდელ დაწესებულებებში სერტიფიცირებულ აღმზრდელ პედაგოგების რაოდენობის ზრდის მაჩვენებელი“ - შესაბამისი მონაცემი არ არსებობს, რადგან საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსის იდენტიფიცირება და საქართველოს მთავრობის მიერ სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის დამტკიცება.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს მასშტაბით, 2016-2017 სასწავლო წელს სასკოლო მზაობის პროგრამა განხორციელდა საქართველოს სკოლამდელი დაწესებულებების 85%-ში. პროგრამით ისარგებლა 23 276 ბავშვმა. პროგრამა განხორციელდა, აგრეთვე, 14 სასკოლო ცენტრში. სასკოლო ცენტრებში მომსახურება მიიღო 435 ბავშვმა. თბილისში, სასკოლო მზაობის პროგრამა განხორციელდა ყველა საბავშვო ბაღში (171). სხვა მუნიციპალიტეტებში, შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა სასკოლო პროგრამის დანერგვა, რისთვისაც მუნიციპალიტეტებს ჩაუტარდათ კონსულტაციები სამინისტროს მიერ.

გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით, განხორციელდა პროგრამის დანერგვის მონიტორინგი თბილისისა და რეგიონების 26 საბავშვო ბაღში, რომლის შედეგები არ ყოფილა ხელმისაწვდომი საანგარიშო პერიოდში.

რეკომენდაციები:

- უნდა მოხდეს აქტივობების კორექტირება მომავალი წლების სამოქმედო გეგმებში, სასკოლო მზაობის პროგრამის დანერგვის მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით;

- ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებთან, რესურს-ცენტრებთან თანამშრომლობით დროულად უნდა დასრულდეს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ერთიანი რეესტრის შემუშავება და მონაცემების ინტეგრირება განათლების საინფორმაციო მართვის სისტემის ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში;
- უნდა მოხდეს სკოლამდელი დაწესებულებების აღზრდელ-პედაგოგთა, მეთოდისტთა კვალიფიკაციის შესაბამისი პროგრამების დაფინანსება უმაღლეს სასწავლებლებში და გადამზადების პროგრამების დანერგვა.

სპეციფიკური მიზანი 2	გავლენის ინდიკატორი	მიზნის მიღწევის დონე
მოსწავლეების მომავალი ცხოვრებისთვის მომზადების მიზნით მაღალი ხარისხის ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო შედეგების უზრუნველყოფა.	მოსწავლეების აკადემიური შედეგების გაუმჯობესებული მაჩვენებელი	საშუალოზე დაბალი

ზოგადი განათლება სტრატეგიის ყველაზე მოცულობითი ნაწილია. მიზნის მისაღწევად, დაფიქსირდა გარკვეული პროგრესი, თუმცა, გავლენის ინდიკატორთან მიმართებით, 2016 და 2017 წლის მონაცემების შედარება ცხადყოფს, რომ სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებმაც ვერ დაძლიეს სკოლის დამამთავრებელი გამოცდები, დაახლოებით იგივეა და არსებით ცვლილებას არ აჩვენებს. აღსანიშნავია, აგრეთვე, მაქსიმალური შეფასების მქონე მოსწავლეთა რაოდენობის უმნიშვნელოდ ზრდა (განსაკუთრებით უცხო ენასა და მათემატიკაში).

ცხრილი 1: მოსწავლეთა დამამთავრებელი კლასის შედეგები

მე-12 კლ.	
2016 წ.	2017 წ.

საგანი	დაასრულა გამოცდა	ვერ მოიპოვა დადებითი შეფასება	10 ქულა	მოიპოვა დადებითი შეფასება	დაასრულა გამოცდა	ვერ მოიპოვა დადებითი შეფასება	10 ქულა	მოიპოვა დადებითი შეფასება
ბიოლოგია	2358	782	2	1576	2566	961	4	1605
გეოგრაფია	1634	301	0	1333	1582	241	0	1341
უცხო ენა	43022	6524	539	36498	42817	6486	3070	36331
ისტორია	41117	1923	181	39194	39220	2003	227	37217
მათემატიკა	42777	5910	418	36867	42218	6323	1127	35895
ფიზიკა	3314	1317	0	1997	4864	2696	0	2168
ქართული ენა და ლიტ.	41357	1146	392	40211	38734	1092	979	37642
ქიმია	4410	460	33	3950	5017	898	64	4119

წელი	დარეგისტრირდა	მონაწილეობა მიიღო	წარმატებით გადალახა მინიმალური ზღვარი (საერთო)	პირველად გავიდა გამოცდაზე	წარმატებულები პირველად გასულეს შორის	წარუმატებლები პირველად გასულეს შორის	წარუმატებელი პირველად გასულეს წილი,	განმეორებით გასულეები	წარმატებულები განმეორებით გასულეს შორის	წარუმატებლები განმეორებით გასულეს შორის	წარუმატებლების წილი განმეორებით გასულეს შორის
2011	46490	45271	39293	45271	39293	5978	13%				
2012	41482	40545	35818	38444	34506	3938	10%	2101	1312	789	38%
2014	38140	37189	31954	29615	27670	1945	7%	7574	4284	3290	43%
2015	44482	43525	37079	35246	32499	2747	8%	8279	4580	3699	45%
2016	47084	45688	34111	37554	31168	6386	17%	8134	2943	5191	64%
2017	48434	47063	34260	33122	28698	4424	13%	13941	5562	8379	60%

5 სტრატეგიული ამოცანიდან, ფორმალურად, მხოლოდ ერთი ამოცანის - საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესება - შესრულებაში იქნა მიღწეული მცირე პროგრესი ინდიკატორთან - „თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პროცენტული ზრდა“ - მიმართებით, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შეფასების პროცესში შესაძლებელი გახდა მხოლოდ რაოდენობრივი ინფორმაციის მოპოვება

რეაბილიტირებულ/აშენებულ სკოლებთან დაკავშირებით და საბაზისო ინდიკატორის არარსებობის გამო, პროცენტული ზრდის თუ თანაფარდობის დაფიქსირება არ იყო შესაძლებელი. აგრეთვე, არ არსებობს რაიმე კონკრეტული განსაზღვრება, თუ რა იგულისხმება „თანამედროვე სტანდარტის“ შესაბამის სკოლებში.

აღსანიშნავია, რომ 2017 წელს ზოგადი განათლების დაფინანსებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2017 წელს 678 მლნ ლარი იყო გამოყოფილი, რაც თითქმის 90%-ითაა გაზრდილი 2011 წლიდან, ხოლო 2017 წელს დამამთავრებელი კლასის გამოცდაზე წარუმატებელთა წილი 2011 წელთან შედარებით თითქმის 90%-მდეა გაზრდილი. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზოგად განათლებაზე დახარჯული თანხა არ აისახა მიზნის მიღწევის პროგრესზე.

ზოგადი განათლების ხარისხი გამოკვლეულია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (WEF) გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშშიც, რომლის მიხედვითაც, 137 ქვეყანას შორის, სასკოლო განათლების ხარისხით საქართველო 106-ე ადგილზეა. განათლების ხარისხის განსაზღვრა დამსაქმებლების გამოკითხვით ხდება. აღნიშნულ რეიტინგში საქართველო ყველაზე კარგ პოზიციაზე 2015 წელს იყო - 90-ე ადგილს იკავებდა.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს ჩატარდება საერთაშორისო კვლევა (TIMSS), რომელიც 9-10 და 13-14 წლის მოზარდების ცოდნას აფასებს მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში და შესაძლებელი გახდება 2015 წლის შედეგებთან შედარება. განათლების შედეგების და ხელმისაწვდომობის შეფასება შესაძლებელი გახდება, აგრეთვე OECD-PISA-ს კვლევის შედეგადაც, რომლის ანგარიშიც, ასევე, 2019 წელს გამოქვეყნდება.

რეკომენდაცია:

- ზოგადი განათლების მიზანი უნდა იყოს „მაღალი ხარისხის ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“, ხოლო მისი ინდიკატორი, ხარისხის გასაზომად - „ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო შედეგების მაჩვენებელი“, მათ შორის დისაგრეგირებული სქესისა და ქალაქის/სოფლის მოსწავლეთა მიხედვით.
- მიზნის მისაღწევად, პრიორიტეტად უნდა განისაზღვროს ინვესტიციის გაზრდა სამასწავლებლო რესურსების განვითარებაში, რაც გულისხმობს, როგორც ხელფასების ზრდას, 35 წლამდე მასწავლებელთა შემადგენლობის პროცენტულ ზრდას, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, მასწავლებელთა კატეგორიზაციას, კარიერული წინსვლის და წახალისების სხვა მექანიზმებს და სხვ.
- მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს სკოლების რეაბილიტაციის და ინფრასტრუქტურული განვითარების მასშტაბები, ინვესტიციები, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და გეოგრაფიული დაფარვა.

- უნდა გადაიხედოს ზოგადი განათლების შეფასების მოდელი .

სპეციფიკური მიზანი 3	გავლენის ინდიკატორი	მიზნის მიღწევის დონე
ქვეყნის სოციო-ეკონომიკური განვითარების მხარდასაჭერად პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გაზრდა, მათი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა პროფესიული და ზოგადი უნარების განვითარების გზით	პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის მაჩვენებლის ზრდა	საშუალოზე მაღალი

აღსანიშნავია, რომ მიზანი არ არის სათანადოდ ფორმულირებული, ვინაიდან პროფესიული სტუდენტების მხოლოდ რაოდენობის ზრდა ვერ განაპირობებს ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ განვითარებას. გავლენის ინდიკატორიც, მხოლოდ აღნიშნული მიზნის ერთ-ერთ კომპონენტს - „პროფესიული სტუდენტების რაოდენობას“ ზომავს და არა „კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას“.

ინდიკატორთან მიმართებით, მიზნის მიღწევის პროგრესი დაფიქსირდა საანგარიშო პერიოდში. 2015 წელს პროფესიულ პროგრამებზე ირიცხებოდა 30704 სტუდენტი, ხოლო 2017 წელს - 33575, რაც 9.4%-ით ზრდაზე მიუთითებს.

ზემოაღნიშნული მიზნის მიღწევის წარმატებას, დიდწილად, განაპირობებს პროფესიული განათლების სფეროში საერთაშორისო დონორების, დახმარების პროგრამების, პროექტების მობილიზაცია, დახმარების მასშტაბურობა და ეფექტური კოორდინაცია. განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი დონორების კონტრიბუცია მიზნის მისაღწევად: „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი“, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამა, ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარების პროგრამა, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და თანამშრომლობა ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორცაა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) და ევროპის განათლების ფონდი (ETF).

შესაბამისად, ზემოაღნიშნული და სტრატეგიული ამოცანების შესრულების დინამიკა იძლევა მიზნის მიღწევის მაღალი პროგრესის პროგნოზირების შესაძლებლობას შემდგომ წლებში.

რეკომენდაციები:

- პოლიტიკის მომდევნო დოკუმენტების შემუშავებისას უნდა გადაიხედოს მიზნის ფორმულირება. კერძოდ, პროფესიული განათლების მიზანი შესაძლებელია იყოს მაგ. „ეროვნული ეკონომიკის გაძლიერების მხარდაჭერა ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მუშახელის მიწოდების საშუალებით“, ხოლო

ინდიკატორი - „პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი“.

- უნდა გაძლიერდეს უწყებათაშორისი/დარგთაშორისი, სახელმწიფო და კერძო სექტორის თანამამშრომლობა და ერთობლივი პოლიტიკის შემუშავება მიზნის მისაღწევად.
- უნდა გაძლიერდეს საერთაშორისო თანამშრომლობა პროფესიულ კვალიფიკაციათა ევროპულ ჩარჩოსთან ჰარმონიზაციის მიზნით.

სპეციფიკური მიზანი 4	გავლენის ინდიკატორი	მიზნის მიღწევის დონე
<p>უმადლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია და ხარისხიანი უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარებისა და დასაქმების გაუმჯობესებისათვის</p>	<p>მაღალი აკადემიური ქულების მქონე სტუდენტების რაოდენობის გაზრდა უცხოელ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა;</p>	<p>საშუალო</p>

მიზანი არ არის კარგად ფორმულირებული. მიზნის პირველი კომპონენტი - „უმადლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია“ - შესაძლებელია იყოს სტრატეგიული ამოცანა და არა მიზანი, მით უფრო, რომ გავლენის ინდიკატორი არ არის პირდაპირ კავშირში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციასთან. აღსანიშნავია, რომ შეფასების პროცესში ვერ მოხდა გავლენის ინდიკატორთან დაკავშირებული სარწმუნო მონაცემების მოპოვება.

მიზნის მიღწევის 2 გავლენისა და 3 სტრატეგიული ამოცანის 5 ინდიკატორებიდან, თითქმის ყველასთან მიმართებით ფიქსირდება პროგრესი, განსაკუთრებით უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციასთან მიმართებით, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი ევროკავშირის ერაზმუს+ პროგრამას, UNESCO-ს სასტიპენდიო პროგრამებს, განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ ადმინისტრირებულ საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამებს შეაქვს. საგულისხმოა უცხოენოვანი პროგრამების მცირედი ზრდა და განსაკუთრებით, უცხოელ სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, რაც ხელს უწყობს უმაღლესი სასწავლებლების ფინანსურ მდგრადობას.

აღსანიშნავია, რომ შეფასების პროცესში რესპონდენტთა (5 უნივერსიტეტის რექტორი) უმრავლესობა მიუთითებდა შესაბამისი უმაღლესი დაწესებულების წარმატებებზე მიზნის მიღწევასთან დაკავშირებით და აგრეთვე, უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების არსებული მოდელის არაეფექტურობაზე, რაც ხელს უშლის მიზნის მიღწევას, რადგან არ არის მერიტოკრატიული.

მიუხედავად სტრატეგიული ამოცანების შესრულებაში ინდიკატორებთან მიმართებით

დაფიქსირებული პროგრესისა, მიზნის მიღწევის ხარისხის შეფასება, სარწმუნო მონაცემებისა და რეპრეზენტატიული კვლევის ჩატარების გარეშე, მოკლებულია ობიექტურ საფუძველს.

რეკომენდაციები:

- უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით უნდა დაჩქარდეს სხვადასხვა შესაბამის საერთაშორისო ქსელებში ინტეგრაცია, როგორცაა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელი (ENQA), „ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ევროპული რეესტრი“ (EQAR) და სხვ.
- უნდა შეიცვალოს უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების არსებული მოდელი ისეთით, რომელიც უდს-ების მიერ სწავლებისა და კვლევითი საქმიანობების შესრულების შედეგებთან (performance based) იქნება დაკავშირებული.
- უნდა შეიცვალოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის არსებული მოდელი, მერიტოკრატიაზე დაფუძნებული მოდელით.


სპეციფიკური მიზანი 5	გავლენის ინდიკატორი	მიზნის მიღწევის დონე
მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის მოდერნიზაცია და ინტერნაციონალიზაცია ახალი ცოდნის შექმნისათვის და ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის	პუბლიკაციების რაოდენობის ზრდა საერთაშორისო მონაცემთა ბაზაში პატენტების რაოდენობის ზრდა ციტირების ინდექსის ზრდა	საშუალო

გავლენის ინდიკატორები არ არის საკმარისად რელევანტური მეტად ამბიციურ მიზანთან მიმართებით და არ იძლევა მიზნის მიღწევის სრულად გაზომვის შესაძლებლობას. კერძოდ, იმის განსაზღვრა, თუ რამდენად შეუწყო ხელი „მეცნიერების სისტემის მოდერნიზაციამ და ინტერნაციონალიზაციამ“ „ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობას“, შესაძლებელი იქნება მხოლოდ შესაბამისი კვლევების და მონაცემების საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს, მაგ. მეცნიერების და ტექნოლოგიების წილის ზრდას ქვეყნის ეკონომიკაში, დასაქმებაში და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ გავლენის 3 ზემოაღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით, საანგარიშო პერიოდში, მხოლოდ ერთი ინდიკატორის - „პატენტების ზრდა“ - შესაბამისი მონაცემი მიუთითებს უმნიშვნელო პროგრესზე, წინა წელთან შედარებით, ხოლო დანარჩენ 2 ინდიკატორთან მიმართებით: „ციტირების ინდექსის ზრდა“ და „პუბლიკაციების რაოდენობის

ზრდა საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში“, უარყოფითი დინამიკა ფიქსირდება 2016 წელთან შედარებით.

ცხრილი 2:



აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ, საანგარიშო პერიოდში, 3 სტრატეგიული ამოცანიდან, არც-ერთი მათგანის მიღწევაში არ ყოფილა დაფიქსირებული მნიშვნელოვანი პროგრესი (გარდა, სტრატეგიული ამოცანის ცალკეული კომპონენტისა, როგორცაა მაგ. მეცნიერების ინტერნაციონალიზაცია) ინდიკატორებთან მიმართებით - არ შექმნილა „მიდა, სექტორებს შორის და ინტერდისციპლინარული ერთობლივი პროექტები და პროგრამები“ და არც „ახალგაზრდა მკვლევარების რაოდენობა“ გაზრდილა (იხ. ცხრილი 13).

მიუხედავად მეცნიერების ინტერნაციონალიზაციის კუთხით მიღწეული პროგრესისა, მეცნიერების და კვლევების სახელმწიფო დაფინანსების ზრდისა, კვლავაც გამოწვევად რჩება მეცნიერების დაფინანსების დივერსიფიკაციის - კერძო წყაროებიდან კვლევებზე და ინოვაციებზე მიმართული დაფინანსებების საკითხი. შესაბამისად, სტრატეგიული ამოცანა მხოლოდ ნაწილობრივ იქნა მიღწეული საანგარიშო პერიოდში და არ შეინიშნებოდა პროგრესის პროგნოზირების საფუძველი.

თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ საანგარიშო პერიოდში ქმედითი ღონისძიებები გატარდა სსიპ შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საქმიანობის გასაუმჯობესებლად, გაიზარდა მეცნიერების დაფინანსება (2017 წლის სამინისტროს ბიუჯეტიდან მეცნიერების და კვლევების, სამეცნიერო ინფრასტრუქტურის მიმართულებით სხვადასხვა პროგრამების/ქვეპროგრამების ჯამური ბიუჯეტი 80 მლნ ლარამდე შეადგენდა, 2016 წელს - 70 მლნ-მდე და 2015 წელს - 10.5 მლნ-მდე), გაიზარდა ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების რაოდენობა, გაორმაგდა ევროკომისიის ფინანსური კონტრიბუცია საქართველოს ორგანიზაციებისთვის („ჰორიზონტი 2020“ პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსებში 2017 წელს გამარჯვებულ პროექტებში მონაწილე ქართულმა ორგანიზაციებმა, დაფინანსების სახით, ევროკომისიისგან მიიღეს, ჯამში, 876,312.00 ევრო, ხოლო 2016 წელს - 424,070.00 ევრო), მოსალოდნელია ქართველი მეცნიერების ავტორობით სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობისა და მათი ციტირებების ინდექსის ზრდაც და

შესაბამისად მიზნის მიღწევის პროგრესის პროგნოზირება.

რეკომენდაციები:

- განათლებისა და მეცნიერების პოლიტიკის დოკუმენტში უნდა დაიხვეწოს მეცნიერებისა და კვლევების მიმართულებით ლოგიკური ჩარჩო - რელევანტური სტრატეგიული ამოცანები და ინდიკატორები უნდა იყოს განსაზღვრული.
- რამდენადაც მეცნიერების და კვლევების ეფექტურობა მოკლევადიან (1წლიან ციკლში) არ მიიღწევა, საჭიროა დაფინანსების ზრდის მაჩვენებლის, როგორც მინიმუმ, შენარჩუნება.
- უნდა შემუშავდეს მეცნიერების და კვლევების დაფინანსების დივერსიფიკაციის პოლიტიკა და გაძლიერდეს სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან, ფონდებთან, კერძო სექტორთან პარტნიორობის გაძლიერება.
- უნდა შემუშავდეს საქართველოს ევროპის კვლევით სივრცეში ინტეგრაციის პოლიტიკა.

3. შეფასების მეთოდოლოგია

3.1. შეფასების პროცესი

შეფასების პროცესი განხორციელდა შეფასების ჯგუფის მიერ, შემდეგ ეტაპებად:

3.1.1. შეფასების საგნისა და არეალის დაზუსტება და პროცესის ინიცირება

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შეფასების ჯგუფმა, რომელიც წარმოდგენილი იყო სამინისტროს სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ორი თანამშრომლით, მთავრობის ადმინისტრაციის ერთი თანამშრომლით და გაეროს კონსულტანტით, დააზუსტა კვლევის ამოცანა და

მეთოდოლოგია, შეფასების კითხვები, მეთოდოლოგია და გამოსაკითხი რესპონდენტების ვინაობა.

შეფასების ჯგუფის სამინისტროს თანამშრომლების მიერ შეგროვდა დამატებითი ინფორმაცია, კონსულტანტთან შეთანხმებული მეთოდოლოგიის (იხ. დანართი 6.) გათვალისწინებით. კერძოდ:

- ჩატარდა ე.წ. სამაგიდო კვლევა და გაანალიზდა არსებული სტრატეგიული და ანალიტიკური დოკუმენტები და კვლევები (იხ. დანართში 6.4);
- გაიმართა ნახევრად სტრუქტურირებული გასაუბრებები სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართულ მხარეებთან (გასაუბრებების რესპონდენტების სია იხილეთ დანართში 6.3);
- იდენტიფიცირებული იქნა ფოკუს-ჯგუფები (6.1.)
- მომზადდა კითხვარები და ჩატარდა ოთხი სხვადასხვა ფოკუს ჯგუფის შეხვედრა (ფოკუს ჯგუფების სია იხილეთ დანართში 6.2).

ზემოაღნიშნულის ანალიზის საფუძველზე შეიქმნა შეფასების ანგარიშის სამუშაო ვერსია, რომელიც დაზუსტდა მთავრობის ადმინისტრაციის ექსპერტებთან და სტრატეგიის საკვანძო აქტორებთან შეთანხმებით.

3.2. შეფასების პარამეტრები

განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021-ისა და 2017 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების შეფასება შესრულდა შემდეგი პარამეტრების შესაბამისად, რომელიც კონკრეტულ კითხვებს პასუხობს:

პარამეტრები	კითხვა
რელევანტურობა	<ul style="list-style-type: none"> • რამდენად ვალიდურია სტრატეგიის ამოცანები მიმდინარე პერიოდისთვის? • რამდენად პასუხობს სტრატეგია ბენეფიციარების საჭიროებებს?

	<ul style="list-style-type: none"> • რამდენად კარგად პასუხობს სტრატეგიის აქტივობები და აქტივობის შედეგები პრობლემასა და ამოცანებს? • რამდენად კარგად არის ადაპტირებული რეფორმა იმ შესაძლო ცვლილებებთან, რაც შეიძლება მისმა განხორციელებამ გამოიწვიოს?
ეფექტურობა	<ul style="list-style-type: none"> • რამდენად არის მიზნები/ამოცანები მიღწეული? • რამდენად მიღწევადია მიზნები/ამოცანები არსებული პროგრესის გათვალისწინებით? • რამდენად დროულად იქნა (ან იქნება) მიზნები/ამოცანები მიღწეული? • რამდენად პასუხობს იდენტიფიცირებული შედეგები მიზნებს/ამოცანებს? • რამდენად რელევანტურად ასახავს სტრატეგიაში მოცემული ინდიკატორები, სტრატეგიის მიზნისა და ამოცანების მიღწევის ხარისხს? • რა ძირითადი მიზეზების გამო ხდება ან ვერ ხდება მიზნების/ამოცანების მიღწევა?
განხორციელება	<ul style="list-style-type: none"> • რამდენად ხერხდება სტრატეგიაში დასახული ამოცანების მიღწევა განხორციელებისას გამოყენებული მეთოდებით, პროგრამებითა და აქტივობებით? • რამდენად მიიღწევა სინერგია სტრატეგიაში დასახული სხვადასხვა მიმართულებით განსახორციელებელ საქმიანობებს შორის, სტრატეგიის საბოლოო მიზნის მისაღწევად?

4. შეფასების შედეგები

4.1. რელევანტურობა

რამდენად ვალიდურია სტრატეგიის ამოცანები მიმდინარე პერიოდისთვის? რამდენად პასუხობს სტრატეგია ბენეფიციარების საჭიროებებს? რამდენად კარგად პასუხობს სტრატეგიის აქტივობები და აქტივობის შედეგები პრობლემასა და ამოცანებს? რამდენად კარგად არის ადაპტირებული რეფორმა იმ შესაძლო ცვლილებებთან, რაც შეიძლება მისმა განხორციელებამ გამოიწვიოს?

სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის ანალიზმა გამოავლინა მთელი რიგი ნაკლოვანებები, რომლებმაც, ბუნებრივია, გავლენა მოახდინეს სტრატეგიის ყველა პარამეტრზე და მათ შორის, რელევანტურობაზეც.

კერძოდ, აღსანიშნავია, რომ „განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის შემუშავებასა და მისი განხორციელების 2017 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგს, საკმაოდ მწირი ადამიანური რესურსების პირობებში, წარმართავდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრუქტურული ერთეული, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტში იყო გაერთიანებული. დოკუმენტის შემუშავება მოხდა ევროკავშირის მოთხოვნების გათვალისწინებით და უკიდურესად შემჭიდროებულ ვადებში (2-3 კვირაში). პროცესი არ იყო საკმარისად ინკლუზიური, პრობლემების ანალიზი არ იყო მტკიცებულებებით გამყარებული, არ იყო შესწავლილი ბენეფიციარების საჭიროებები, პროცესში ჩართული არ ყოფილა ყველა დაინტერესებული მხარე, ხოლო უშუალოდ ჩართული პირები ხშირად იცვლებოდნენ და მიმდინარე პერიოდში, მათგან, მხოლოდ რამდენიმე საჯარო მოხელეა დარჩენილი სამინისტროში.

კვლევისას გამოვლენილი ინფორმაციით, სამინისტროში არ არსებობს ბენეფიციარების მოთხოვნილებების სისტემური და სისტემატური ანალიზის მექანიზმი. ამ მხრივ, უკუკავშირის არსებობა და ხარისხი დამოკიდებულია კონკრეტულ მიმართულებებსა და ინიციატივებზე. კერძოდ, დონორების მიერ მხარდაჭერილი პროექტების ფარგლებში არსებობს უკუკავშირის ფორმალიზებული მექანიზმები, მათ შორის, მაგალითად, მოსწავლეების მშობლებთან. თუმცა, როგორც ჩანს, ასეთი ინიციატივები ფრაგმენტული ხასიათისაა.

სხვადასხვა ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა, ასევე რესპონდენტებმა გასაუბრებებისას აღნიშნეს გარე აქტორებისა და ბენეფიციარების, ყველა დაინტერესებული მხარის (სტეიკჰოლდერის) სისტემური ჩართულობის ნაკლებობა სტრატეგიის, როგორც შემუშავებაში, ასევე, მის მონიტორინგშიც.

შეზღუდული ვადებიდან გამომდინარე, დოკუმენტის ჩამოყალიბების ძირითადი სამუშაო ჩატარდა მოწვეული ექსპერტების მიერ, ხოლო სამინისტროს დეპარტამენტებსა და ქვედანაყოფებს არ ჰქონდათ პროექტის კუთვნილების საკმარისი განცდა. მათი ჩართულობა სტრატეგიის სამუშაო ვარიანტის დახვეწაში მინიმალური იყო. ხდებოდა კონსულტაციები საერთაშორისო ორგანიზაციებთან და

ჩატარდა კონსულტაციის ფორმალური პროცესი მთავრობის შიგნით (წერილობით დაგზავნა დასკვნისათვის). მოხდა აგრეთვე საჯარო განხილვებიც. თუმცა ამ პროცესებს ერთჯერადი და საკმაოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა.

პროცესის მონაწილეების გადმოცემით, ისინი ცდილობდნენ მოეხდინათ უკვე მიმდინარე ღონისძიებების სისტემატიზება საერთო პროგრამის სახით და არა ახალი მიმართულებების დაგეგმარება. ამასთან, სამოქმედო ღონისძიებების დაგეგმვა ხდებოდა მათი პოტენციური „შესრულებადობიდან“ გამომდინარე, რათა მომხდარიყო სამოქმედო გეგმის შესრულების უზრუნველყოფა, დაგეგმარების შემჭიდროებული ვადებიდან გამომდინარე. შესაბამისად, სტრატეგიის ამოცანები, ფორმალურად, ვალიდური აღმოჩნდა მიმდინარე პერიოდისთვის და დაგეგმილი აქტივობებიც და მათი შედეგები, დიდწილად პასუხობს ამოცანებს.


თუმცა, აღსანიშნავია, რომ სტრატეგიისა და მისი განხორციელების მონიტორინგის დოკუმენტების ანალიზისა და ფოკუს-ჯგუფებში გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე დადგინდა, რომ სტრატეგიის დოკუმენტი არ იძლევა საშუალებას, დადგინდეს კავშირი განხორციელებულ აქტივობებს/ღონისძიებებსა და ამოცანების მიღწევის ხარისხს შორის. დოკუმენტი არ იძლევა საკმარის ინფორმაციას ხარისხობრივ ცვლილებაზე განათლების თითოეულ სექტორში და არ აგროვებს საკმარისად მრავალფეროვან მონაცემებს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასადგენად სტრატეგიის განხორციელებასა და ობიექტურად მომხდარ ცვლილებებს შორის.

4.2. ეფექტურობა

რამდენად არის მიზნები/ამოცანები მიღწეული? რამდენად დროულად იქნა (ან იქნება) მიზნები/ამოცანები მიღწეული? რამდენად მიღწევადია მიზნები/ამოცანები არსებული პროგრესის გათვალისწინებით? რამდენად რელევანტურად ასახავს სტრატეგიაში მოცემული ინდიკატორები, სტრატეგიის მიზნისა და ამოცანების მიღწევის ხარისხს? რა ძირითადი მიზეზების გამო ხდება ან ვერ ხდება მიზნების/ამოცანების მიღწევა?

„განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021 და სამოქმედო გეგმის“ მონიტორინგი, რომელიც, 2017 წლის ბოლოს ჩატარდა სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის მიერ, ცხადყოფს, რომ საანგარიშო პერიოდში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება არ იყო დამაკმაყოფილებელი.

ცხრილი 3:



აქტივობების არ შესრულების მიზეზი, უმეტეს შემთხვევაში, წინაპირობებთან და გარე ფაქტორებთანაა დაკავშირებული, როგორცაა მაგ. საკანონმდებლო ცვლილებები, შეფერხება შესყიდვების განხორციელებისას, კონტრაქტორის მიერ ვალდებულების შეუსრულება, ხანგრძლივი ბიუროკრატიული პროცედურები, ახლადშემოღებული წინააღმდეგობრივი რეგულაციები, ინსტიტუციური შესაძლებლობების და შესაბამისი ადამიანური რესურსის ნაკლებობა, საჭიროებების ანალიზისა და მტკიცებულებზე დაფუძნებული მონაცემების დეფიციტი, შესრულების ვადების არასწორად განსაზღვრა და სხვ. აღსანიშნავია, რომ წინამდებარე შეფასების საგანს არ წარმოადგენს აქტივობების შესრულების ანალიზი, თუმცა მათი განხორციელება ლოგიკურად უკავშირდება სპეციფიკურ ამოცანების შესრულებას, რომელთა ერთობლივობაც სტრატეგიული ამოცანებისა და მიზნების მიღწევაზე ახდენს გავლენას.

სტრატეგიისა და მისი განხორციელების მონიტორინგის დოკუმენტების ანალიზისა და ფოკუს-ჯგუფებში გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე დადგინდა, რომ სტრატეგიაში განსაზღვრული გავლენისა და ამოცანის შედეგის ინდიკატორები საკმარისად არ იძლევა საშუალებას, დადგინდეს კავშირი განხორციელებულ ამოცანებისა თუ საბოლოო მიზნის მიღწევის ხარისხს შორის.

გამოითქვა მოსაზრება, რომ შეფასების პროცესის დაყრდნობა მხოლოდ ისეთ ინდიკატორებზე, რომელიც შესრულებული აქტივობების რაოდენობას უკავშირდება, საკმარისად ვერ ასახავს განათლების სხვადასხვა სექტორში არსებულ პრობლემებსა თუ პროგრესს, რადგან ინდიკატორების ნაკლებობის, ან მათი ამოცანების შედეგების გაზომვასთან შეუსაბამობის პირობებში, ხარისხობრივი ცვლილებები ხშირად რჩება შეფასების ველის მიღმა, ხოლო

განმახორციელებელი ორგანიზაციები და ინსტიტუტები ორიენტირს სწორედ დასახული რაოდენობრივი ინდიკატორების შესრულებაზე აკეთებენ.

სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების წარმომადგენლებმა ფოკუს-ჯგუფში მიმდინარე განხილვისას ხაზი გაუსვეს ინდიკატორებს/აქტივობებსა და მიზნებს/ამოცანებს შორის ბმის სისუსტეს. ამის ერთ-ერთ შესაძლო მიზეზად დასახელდა ის, რომ მიზნები და ამოცანები იგეგმება „კეთილი სურვილების მიხედვით“, ხოლო ინდიკატორები და აქტივობები - არსებული რესურსებიდან გამომდინარე. ანუ, სხვა სიტყვებით, არსებობს შეუსაბამობა ხედვის შემუშავებას, პოლიტიკის დაგეგმარებასა და საბიუჯეტო პროცესს შორის. გამოითქვა სურვილი, რომ სტრატეგიული დოკუმენტები უფრო პირდაპირ იყოს დაკავშირებული საშუალოვადიანი საბიუჯეტო დაგეგმარების პროცესთან. კერძოდ, სტრატეგიული ამოცანები და მათი შესრულების ინდიკატორები აისახოს საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებში და ბიუჯეტში და არა პირიქით, ამ გეგმებში გაწერილი ინდიკატორები იქნას კოპირებული სტრატეგიულ დოკუმენტებში.

„განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021 და სამოქმედო გეგმა“ მოიცავს 5 სპეციფიკურ მიზანს, განათლების სექტორების/მიმართულებების შესაბამისად. თითოეული სპეციფიკური მიზანი აერთიანებს 1-3 სტრატეგიულ ამოცანას, თითოეული სტრატეგიული ამოცანა კი - 1-7 სპეციფიკურ ამოცანას. ყველა მიზანსა და სტრატეგიულ ამოცანას ერთვის თავისი ინდიკატორი, გაწერილი ლოგიკურ ჩარჩოში (იხ. დანართი). რამდენადაც, მიზნების მიღწევა შედარებით, გრძელვადიან პერსპექტივაშია გათვალისწინებული, წინამდებარე თავში წარმოდგენილი ანგარიში ასახავს მიზნების მიღწევის ზოგად ტენდენციას, სტრატეგიული ამოცანების შესრულების პროგრესს ინდიკატორებთან მიმართებით და სთავაზობს შესაბამის რეკომენდაციებს.

4.2.1. ადრეული და სკოლამდელი აღზრდა და განათლება

მიზანი: მაღალი ხარისხის სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სასკოლო ასაკის ბავშვების სკოლისთვის მომზადების უზრუნველყოფა

მიზნის ინდიკატორი: სკოლამდელი დაწესებულებების რაოდენობა, სადაც დანერგილია განათლების კომპონენტი

სტრატეგიული ამოცანა: სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის მაღალი ხარისხის, ინკლუზიური და თანაბრად ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა.

შესრულების სტატუსი: ამ სტრატეგიული ამოცანის მისაღწევად სამოქმედო გეგმაში განისაზღვრა 3 ამოცანა და 11 აქტივობა, რომელთაგან 3 ნაწილობრივ შესრულდა, 7 შესრულდა და 1 არის მიმდინარე.

სტრატეგიული ამოცანის შესრულების ინდიკატორები:

1. *სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების რიცხვის ზრდა, რომლებიც ახორციელებენ სასკოლო მზაობის პროგრამას*

არ დამტკიცებულა სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესი და შეუძლებელია ზუსტი მონაცემების წარმოება და, მით უფრო, მათი შედარება საბაზისო მონაცემთან, რომელიც არ არის დაზუსტებული.

2. *სკოლამდელ დაწესებულებებში სერტიფიცირებული აღმზრდელ პედაგოგების რაოდენობის ზრდის მაჩვენებელი*

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით, შემუშავდა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები“, თუმცა, აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსის იდენტიფიცირება არ განხორციელებულა საანგარიშო პერიოდში.

სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის არ არსებობის გამო შეუძლებელია სარწმუნო მონაცემების შეგროვება და სტატისტიკის წარმოება ინდიკატორთან დაკავშირებით.

ზოგადი მიგნებები:

2015 წელს UNICEF-ის მიერ შემუშავებულ იქნა სასკოლო მზაობის საპილოტე პროგრამა, რომლის განხორციელებაც დაიწყო 2016-2017 სასწავლო წელს. აღსანიშნავია, რომ 2016 წლამდე სკოლამდელი აღზრდა არ მოიაზრებოდა განათლების სისტემის ნაწილად. 2017 წელს დამტკიცდა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები“. ასევე მომზადდა აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ პროგრამა. შესაბამისად, სტრატეგიაში ამ მიმართულების ასახვა, ცალსახად, წინგადადგმული ნაბიჯია. ამ ეტაპზე, ნათლად ჩანს საბაზისო ინფორმაციის ნაკლებობა და იგრძნობა სკოლამდელი აღზრდის ელემენტის განათლების საერთო სტრატეგიაში უკეთ ინტეგრირების აუცილებლობა.

არსებული მონაცემებით, საქართველოს სკოლამდელ საგანმანათლებლო სისტემაში, ფუნქციონირებს 1447 ბაგა-ბაღი. პროგრამა განხორციელდა საქართველოს ყველა რეგიონის 899 საბავშვო ბაღში. პროგრამით ისარგებლა 23 276 ბავშვმა. სასკოლო მზაობის პროგრამა განხორციელდა, აგრეთვე, 14 სასკოლო ცენტრში. სასკოლო ცენტრებში მომსახურება მიიღო 435 ბავშვმა. თბილისში, სასკოლო მზაობის პროგრამა განხორციელდა ყველა საბავშვო ბაღში (171), სასკოლო პროგრამა გაიარა და სკოლაში წავიდა 15 961 ბავშვი.

სამწუხაროდ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო არ ფლობს დაზუსტებულ ინფორმაციას სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელების შესახებ რეგიონებში, ვინაიდან სკოლამდელი განათლების დაწესებულებები მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებაშია და გართულებულია მონაცემთა მიღება.

სისტემურ მიდგომას მოითხოვს სკოლამდელი განათლების არსებული ვითარების სტატისტიკური ანალიზი და მოთხოვნილებების შეფასება. კერძოდ, ამოცანის შესრულებისთვის საჭიროა ჩატარდეს ე.წ. მეფიგნი, მუნიციპალიტეტების მიხედვით, მთელი ქვეყნის მასშტაბით და დადგინდეს თუ რა შესაძლებლობები არსებობს, რამდენად აკმაყოფილებს მოსახლეობის საჭიროებებს როგორც გეოგრაფიული/ლოკაციური, ასევე ინფრასტრუქტურული და საადმინისტრაციული-საგანმანათლებლო რესურსების თვალსაზრისით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები.

სტრატეგიაში ასახული ინდიკატორები სრულად ვერ ასახავს სტრატეგიული ამოცანის კომპლექსურობას და, შესაბამისად, მისი შესრულების ხარისხს, განსაკუთრებით „მაღალი ხარისხის განათლების“ მიწოდებასთან დაკავშირებით. სტრატეგიული ამოცანის ისეთი კომპონენტებისათვის, როგორცაა სკოლამდელი განათლების ხარისხი, თანაბარი ხელმისაწვდომობა და ინკლუზიურობა, ფაქტიურად არაა დასახული ინდიკატორები.

მაგალითისათვის, „განათლების მაღალი ხარისხის“ შესაფასებლად გამოყენებული მე-2 ინდიკატორი: „სერტიფიცირებული მასწავლებლების რაოდენობა“ ვერ იქნება საკმარისი, რადგან მასწავლებლების რაოდენობის ზრდა ავტომატურად ვერ მოიტანს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას.

რეკომენდაციები:

- უნდა განისაზღვროს სტრატეგიული მიზნის მიღწევის ინდიკატორები, რომლებიც იქნება დათვლადი და ადექვატურად გაზომავს დასახული სტრატეგიული ამოცანის შესრულების ხარისხს.
- შესასწავლია სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფებისთვის (სოციალურად დაუცველნი, მაღალმთიან, საზღვრისპირა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებნი, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვები და სხვ.), რისთვისაც აუცილებელია საბაზისო მონაცემების შეკრება და მათი გაუმჯობესების კონკრეტული გეგმის დასახვა.
- სკოლამდელი განათლების ალტერნატიული შესაძლებლობები უნდა იყოს შეთავაზებული სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, როგორცაა მაგ. სკოლამდელი აღზრდისა და სასკოლო მზაობის პროგრამის ინტეგრირება სასკოლო ინფრასტრუქტურაში, სკოლამდელი აღზრდის პროგრამის ე.წ. საოჯახო სივრცეში ადაპტაცია და ამ ოჯახების

სუბსიდირება და სხვ., რაც, შესაძლებელია მოითხოვდეს საკანონმდებლო ცვლილებებს და ასევე, სტრატეგიით უნდა იყოს განსაზღვრული თითოეული შესაძლებლობის ხარჯ-ეფექტურობის შეფასების საფუძველზე.

- აუცილებელია ხარისხობრივი კვლევის ჩატარება, თუ რა შედეგი მოიტანა სკოლამდელი აღზრდის პილოტურ დაწესებულებებში სასკოლო მზაობის პროგრამის დანერგვამ და რა გავლენა იქონია დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა შედეგებზე.
- შესაძლოა შეფასდეს, ასევე, თუ საერთაშორისო გამოცდილებით როგორია მეთოდისტიკების და ბაგა-ბალების თანაფარდობა, აუცილებელია დადგინდეს გადამზადებული აღმზრდელების და მეთოდისტიკების საბაზისო და სამიზნე მაჩვენებელი.
- აგრეთვე, აუცილებელია, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან თანამშრომლობით, სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის შექმნა. მიზანშეწონილია, აღნიშნული რეესტრის შექმნა განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრის ბაზაზე.
- რეესტრის შექმნამდე, სამინისტრომ თითოეული მუნიციპალიტეტიდან უნდა გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია სკოლამდელი, მათ შორის არასაჯარო დაწესებულებების შესახებ.
- უნდა შემუშავდეს სკოლამდელი განათლების როგორც ხელმისაწვდომობის, ასევე ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები.
- უნდა შემუშავდეს და დაინერგოს სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა სკოლამდელი ინკლუზიური განათლების მიწოდების პოლიტიკა.
- მიზანშეწონილია გადაიხედოს „რესურს ცენტრების“ ფუნქციები და დაევალოთ მუნიციპალურ დონეზე, სასკოლო მზაობის პროგრამების ადმინისტრირება და მონიტორინგი.
- ამოცანის შესრულებაში აქტიურად უნდა იყოს ჩართული ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო მინისტრის აპარატი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო.
- უნდა გაგრძელდეს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა (მაგ, UNICEF) პროგრამის სრულყოფილად დანერგვის და მისი განხორციელების მონიტორინგის მიზნით.

4.2.2. ზოგადი განათლება

სპეციფიკური მიზანი: მოსწავლეების მომავალი ცხოვრებისთვის მომზადების მიზნით მაღალი ხარისხის ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო შედეგების უზრუნველყოფა.

მიზნის ინდიკატორი: მოსწავლეების აკადემიური შედეგების გაუმჯობესებული მაჩვენებელი

სტრატეგიული ამოცანა 1: მაღალი ხარისხის ზოგადი განათლების თანაბარი, საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

შესრულების სტატუსი: სტრატეგიული ამოცანის მისაღწევად, სამოქმედო გეგმაში განისაზღვრა 4 სპეციფიკური ამოცანა და 11 აქტივობა. ამ უკანასკნელიდან, სრულად შესრულდა 6 აქტივობა, ნაწილობრივ - 2, მიმდინარეა - 3.

სტრატეგიული ამოცანის შესრულების ინდიკატორები:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სავალდებულო განათლების დონეზე სწავლის მიტოვების მაჩვენებლის კლება

ცხრილი 4:

სკოლის სამართლებრივი სტატუსი	2015-2016	2016-2017
კერძო სკოლა	505	515
საჯარო სკოლა	3135	3029
სულ	3640	3544

ამ ინდიკატორებთან მიმართებაში, წინა წლებთან შედარებით შეიმჩნევა მაჩვენებლის უმნიშვნელოდ გაუმჯობესება. სტატისტიკას აწარმოებს სსიპ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემა“, რომელიც ამუშავებს მონაცემებს რამდენიმე კატეგორიის მიხედვით: ამორიცხვა, სკოლიდან გარიცხვა, დონის დაძლევიტ ამორიცხვა და სტატუსის შეჩერება.

მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერების საფუძველი შეიძლება იყოს: ა) მოსწავლე ოჯახთან ერთად მიემგზავრება საზღვარგარეთ, ბ) ჩარჩენილი მოსწავლის ვაუჩერის გადაუხდელობა, გ) მოსწავლე ზედიზედ არ ცხადდება 90 სასწავლო დღე, დ) სხვა

2. სკოლის მიღმა დარჩენილ ბავშვთა სკოლაში ინტეგრაციის მაჩვენებლის ზრდა

ცხრილი 5:

სკოლაში დაბრუნების წელი	მოსწავლეთა რიცხოვნობა
2015-16	696

ინდიკატორთან მიმართებით, მაჩვენებელი შედარებით გაუარესებულია. მიუხედავად იმისა, რომ დადგენილია მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერების საფუძველი, არ არსებობს ზუსტი მონაცემები, თუ დაწყებითი განათლების პირველი კლასის ასაკის შესაბამისი რამდენი ბავშვი არ ირიცხება სკოლაში და არ არის მოკვლეული ამის მიზეზები.

ზოგადი მიგნებები

ზოგადი განათლების ყველა საფეხურზე განათლების ხარისხის გაუმჯობესება და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა მოსწავლისათვის, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების, სპეციალური საჭიროებების, სოციალურად დაუცველი, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან, გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები და მაღალმთიანი სოფლების მოსწავლეებისთვის, სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. სკოლებთან გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აუმჯობესებს ტრანსპორტირების მომსახურებას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინკლუზიური განათლების შესაძლებლობების განვითარება-გაფართოებას.

მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული და სპეციფიკური ამოცანების შესაბამისად დაგეგმილი აქტივობები შესრულდა, აშენდა და რეაბილიტირებული იქნა სკოლები, გაუმჯობესდა სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და ინფრასტრუქტურა, ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა უმრავლესობა მიუთითებდა არასახარბიელო ინფრასტრუქტურულ მდგომარეობაზე, ზამთრის პერიოდში გათბობის შეზღუდულ შესაძლებლობებზე და სკოლების დაფინანსების მოდელის ცვლილების აუცილებლობაზე.


საგულისმოა, რომ ფოკუს-ჯგუფების წევრთა მოსაზრების თანახმად, სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას ხშირად აფერხებს შესყიდევებსა და სახელმწიფო ტენდერებთან დაკავშირებული მოუქნელი პროცედურები.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მდგომარეობა ინკლუზიური განათლების კუთხით. გაიზარდა შეზღუდული და სპეციალურ საჭიროებათა მქონე მოსწავლეთა სკოლებში ჩარიცხვის მაჩვენებელი (იხ. ცხრილი 6), ჩამოყალიბდა და გადამზადდა სპეც-მასწავლებელთა გუნდი, ჩატარდა სკოლის დირექტორების და მასწავლებელთა ტრენინგები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან ურთიერთობის საკითხებში.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა აზრით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული გარემო და რესურსები, თუმცა კვლავ არსებობს

სპეც-მასწავლებელთა დეფიციტი, რასაც კანონმდებლობაც უწყობს ხელს. კერძოდ, სკოლებში ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა შეუძლია მხოლოდ მასწავლებლის კვალიფიკაციის მქონე პირს და იზღუდება ფსიქოლოგების, სოციალური თერაპევტების და სხვა სოციალური მუშაკების მიერ განათლების მიწოდება სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის.

ცხრილი 6:



რეკომენდაციები:

- ვინაიდან, აღნიშნული ინდიკატორები მხოლოდ ნაწილობრივ ზომავს სტრატეგიული ამოცანის შესრულებას, მიზანშეწონილია დამატებითი ინდიკატორების განსაზღვრა „მაღალი ხარისხის“ განათლებასთან მიმართებით, რომელიც დაკავშირებული იქნება არა მხოლოდ სასწავლო გარემოსა და ინფრასტრუქტურასთან, არამედ მასწავლებელთა კვალიფიკაციასა და სწავლა/სწავლების შედეგების შეფასებასთან ზოგადი განათლების სხვადასხვა საფეხურზე.
- საჭიროა საბაზისო ინფორმაციის ხარისხის გაუმჯობესება: მუნიციპალიტეტებში სკოლების მდგომარეობის აღწერა და რეაბილიტაცია/ახლის მშენებლობის საჭიროების დადგენა, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის განსაზღვრა. განსაკუთრებული ყურადღების საგანი უნდა იყოს მაღალმთიანი სოფლების მოსწავლეთა სწავლების ალტერნატიული შესაძლებლობების შექმნა, განსაკუთრებით ზამთრის პირობებში, როცა შეზღუდულია გადაადგილება. ტრანსპორტით მომსახურების პროგრამის შემუშავებასთან ერთად, მნიშვნელოვანია ამ მომსახურების ხარჯთ-ეფექტურობის დადგენა და ალტერნატიული მომსახურების შეთავაზება, როგორცაა მაგ. დისტანციური

სწავლება, ინტენსიური სწავლა გაზაფხული-ადრე შემოდგომის პერიოდში, საზაფხულო სკოლები, ბარში მიგრაცია და ოჯახებში მეურვეობის საფუძველზე განაწილება, რაც შესაძლებელია მოითხოვდეს შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებს.

- მიზანშეწონილია, ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ქვეპროგრამების შემუშავება თითოეული მოწყვლადი ჯგუფისთვის, განათლების მიღების ალტერნატიული შესაძლებლობების შექმნა და სკოლებში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა.
- „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემის“ მონაცემთა ბაზაში მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერების საფუძველის ჩამონათვალს დაემატოს „ბავშვის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა“, „გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის ნაკლებობა“, „ენობრივი ბარიერი“ და სხვ., რაც მნიშვნელოვანია ადეკვატური რეაგირებისთვის.
- უნდა გადაიხედოს განათლების სამინისტროს რესურს-ცენტრების ფუნქციონირებას და დაევალოთ სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის მონიტორინგი.
- პოლიტიკის დოკუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს „გაეროს მდგრადი მიზნების“ დოკუმენტის საქართველოსთვის მისადაგებული ინდიკატორები: „4.1.2. . სავალდებულო ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების პროცენტული მაჩვენებელი. 4.5.1: თანასწორობის მაჩვენებლები (ქალი/მამაკაცი, სოფლად/ქალაქში მცხოვრები, სიღარიბის ყველაზე მაღალი/დაბალი კვინტილის მქონე და სხვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მკვიდრი მოსახლეობა და კონფლიქტით დაზარალებული პირები) ზოგადი განათლების სისტემაში“ და ყოველწლიურად უნდა ხდებოდეს მონაცემების აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისად წარმოება/განახლება.

სტრატეგიული ამოცანა 2: განათლების ხარისხის გაუმჯობესება სწავლის შემდგომ საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობების გაზრდის, მოსწავლეებში სასიცოცხლო უნარ-ჩვევების განვითარებისა და უკეთესი აკადემიური შედეგების მიღწევისათვის.

შესრულების სტატუსი: სტრატეგიული ამოცანის მისაღწევად სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ იქნა 3 სპეციფიკური ამოცანა და 13 აქტივობა, რომელთაგან 6 შესრულდა, 5 - ნაწილობრივ შესრულდა, 2 - მიმდინარეა.

სტრატეგიული ამოცანის შესრულების ინდიკატორები:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა შედეგების გაუმჯობესება 2016 წლის მონაცემები (12-ე კლასი):

აღსანიშნავია, რომ სპეციფიკური ამოცანების ლოგიკურად განსაზღვრისა და შესაბამისი აქტივობების შესრულების მიუხედავად, 2017 წლის მონაცემები ინდიკატორთან მიმართებით, არსებითად არ განსხვავდება 2016 წლის მონაცემებისგან (იხ. ცხრილი 1)

ზოგადი მიგნებები:

სტრატეგიული ამოცანის მისაღწევად აღსანიშნავია ერთ-ერთი აქტივობა: ახალი სასწავლო გეგმის პილოტირება 15 სკოლაში, რომელიც ესტონეთის განათლებისა და კვლევების სამინისტროს ფონდ INNOVE-სა და გაეროს ბავშვთა ფონდის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან გაფორმებული სამმხრივი მემორანდუმის საფუძველზე განხორციელდა. აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარები, სკოლის ხელმძღვანელები და პედაგოგები უაღრესად პოზიტიურად აფასებენ პროგრამას და მის შედეგებს, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალური შეფასება თუ კვლევა საანგარიშო პერიოდში არ ჩატარებულა. პოზიტიურად შეაფასა ახალი სასწავლო გეგმების დანერგვის მიმდინარეობა, აგრეთვე, UNICEF-მა და ესტონეთის განათლებისა და კვლევების სამინისტროს დელეგაციამ.

მიუხედავად აქტიური ქმედებებისა საგნობრივი სახელმძღვანელოების შემუშავებისა და გრიფირების რეგულირების კუთხით, გარკვეული ხარვეზები და შენიშვნები გამოიკვეთა სახელმძღვანელოების ხარისხთან და მათი მიწოდების წესთან დაკავშირებით. კერძოდ, სკოლების ხელმძღვანელებსა და მასწავლებლებთან შეხვედრისას აღინიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლებს მიეცათ სახელმძღვანელოს არჩევის უფლება გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან, ხშირ შემთხვევაში, თითოეული საფეხურის სხვადასხვა კლასში, სხვადასხვა ავტორის სახელმძღვანელოს იღებდნენ სამინისტროდან, რაც ხელს უშლიდა სწავლების თანმიმდევრულობასა და განათლების უწყვეტობის უზრუნველყოფას. ზოგადად, სახელმძღვანელოების გრიფირებასა და სკოლებში მიწოდებასთან დაკავშირებული რეგულაციები მოითხოვს დახვეწას და გაუმჯობესებას.

აღსანიშნავია სამოქალაქო განათლების სწავლების გააქტიურება ისეთ პრიორიტეტულ თემებზე, როგორებიცაა: ჯანსაღი ცხოვრება, ნაადრევ ქორწინებასთან დაკავშირებული პრობლემები, ძალადობა, ბულინგი, ფინანსური წიგნიერება,

გარემოს დაცვა, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, კატასტროფების რისკის შემცირება და სხვა.

ინტენსიურად მიმდინარეობდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამა, რომელსაც სსიპ „მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი“ ახორციელებს.

ცხრილი 7:

წელი	მოდულების რაოდენობა	მსმენელთა რაოდენობა
2013	83	26532
2014	95	27326
2015	49	16716
2016	62	57377
2017	42	45247

მიუხედავად მასწავლებელთა გადამზადების მოდულების სიმრავლისა, ცენტრის რესურსი არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მოიცვას მასწავლებელთა აბსოლუტური უმრავლესობა და შეიმუშავოს შესაბამისი მოდულები, რომლის განსაზღვრაც კვლევის შედეგად უნდა მოხდეს.

ფოკუს-ჯგუფის წევრები უარყოფითად აფასებენ, აგრეთვე, „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დანერგვას“, რაც უაღრესად ბიუროკრატიულ პროცედურებს მოიცავს და მეტად შრომატევადია. შესაბამისად, მასწავლებლის დროისა და რესურსის დიდი ნაწილი, რაც მოსწავლის განვითარებასა და მასწავლებლის თვითგანვითარებას უნდა ხმარდებოდეს, ბიუროკრატიულ პროცედურებზე იხარჯება. რამდენადაც კრედიტ-ქულები მასწავლებელთა სახელფასო პოლიტიკასთანაა დაკავშირებული, მათი მოპოვება თვითმიზნად გადაიქცა მასწავლებელთათვის, რომელთა ნაწილი, ხშირ შემთხვევაში, არაჯანსაღ და გამრუდებულ ხერხებს მიმართავს, და არა მოტივაციად პროფესიული განვითარებისათვის.

ნაკლებ ეფექტურად მიიჩნევა, ასევე, ე.წ. CAT-ის გამოცდები (computer adaptive testing), რაც გამოკითხულთა აზრით, არ არის დაკავშირებული სხვადასხვა საფეხურის სასწავლო გეგმებთან და შესაბამისად, არასრულად აფასებს მოსწავლის მიერ სკოლაში მიღებულ ცოდნას. გამოცდები უნდა აფასებდეს მოსწავლის კრიტიკული აზროვნების,

ნასწავლი მასალის ანალიზის უნარს და არ უნდა იყოს მიზანმიმართული ფაქტების და მოვლენების დაზეპირებაზე.

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია პილოტურ სკოლებში დანერგილი ახალი სასწავლო გეგმის ფართოდ გაზიარება და დანერგვა სხვა სკოლებშიც და შესაბამისი ტრენინგების ჩატარება სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და დაწყებითი საფეხურის პედაგოგებისთვის.
- განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უნდა განახლდეს და გაძლირდეს სსიპ გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის საქმიანობა. უნდა შემუშავდეს ცენტრის სტრატეგია, მოსწავლეთა გამოცდებზე მიღწეული შედეგების ანალიზისა და კვლევის გათვალისწინებით და აისახოს ზოგადი განათლების სტრატეგიულ ამოცანებში.
- სსიპ გამოცდებისა და შეფასების ეროვნულ ცენტრს უნდა დაევალოს მოსწავლის შეფასება ზოგადი განათლების თითოეული საფეხურის ბოლოს, რომლის მიზანიცაა სისტემის საჭიროებების დიაგნოსტიკა და სკოლებისათვის შესაბამისი უკუკავშირის მიწოდება. აგრეთვე, ეს სისტემა გლობალურ კვლევებში ქვეყნების შედარებითობის შესაძლებლობასაც შეუწყობს ხელს, ზოგადი განათლების მიმართულებით. აღნიშნული მონაცემები ინტეგრირებული უნდა იყოს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრის ბაზაში.
- ზოგადი განათლების ხარისხთან მიმართებით, მნიშვნელოვანია, სკოლებს გაუჩნდეთ კუთვნილების განცდა და გაიზიარონ პასუხისმგებლობა მიღწეულ შედეგებზე. შესაბამისად, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრთან კოორდინაციით, სკოლებს უნდა დაევალოთ შიდა ხარისხის მექანიზმების შემუშავება და დანერგვა.
- მიზანშეწონილია მეტი ავტონომიურობის მინიჭება სკოლებისთვის, რაც, აგრეთვე, მოიცავს სკოლების მიერ ეთიკური გზებით დამატებითი ფინანსური სახსრების მოძიების უფლების მიცემასაც, საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, რაც სახელმწიფოს მხრიდან უნდა იყოს წახალისებული და მხარდაჭერილი. მხარდაჭერა, შესაძლებელია, გულისხმობდეს, მაგ. საბუღალტრო და ფინანსური მენეჯმენტის, შესყიდვებთან, გრანტებთან დაკავშირებული ტრენინგების ჩატარებას, რათა სკოლების მიერ თანხების განკარგვა იყოს მართლზომიერი და კანონთან შესაბამისობაში.
- სკოლების განვითარებას სამინისტროს მხრიდან დაწესებული ზოგიერთი რეგულაციის გაუქმებაც შეუწყობდა ხელს. მაგ. სკოლას, სამინისტროსთან

შეთანხმების გარეშე, უნდა ქონდეს მისთვის სასურველი, საინტერესო და წარმატებული პირის მოწვევისა და მოსწავლეებთან შეხვედრის უფლება სხვადასხვა საერთაშორისო ვალდებულების შესაბამისად, აგრეთვე, უნდა დაიწყოს სქესობრივი განათლების/რეპროდუქციული განათლების მიწოდება სკოლებში, ასაკის შესაბამისად.

- 21-ე საუკუნეში სასიცოცხლო კომპეტენციების განვითარების მიზნით, უნდა დაიგეგმოს სპეციალური ამოცანები და პროგრამები, რომელიც კრეატიულ აზროვნებასთან, კრიტიკული ანალიზის უნარების განვითარებასთან, ახალი ტექნოლოგიების ფლობასთან იქნება დაკავშირებული.
- სტრატეგიული ამოცანის ინდიკატორი არ არის საკმარისი სტრატეგიული ამოცანის შესრულების გასაზომად. ინდიკატორი, არამხოლოდ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა შედეგების გაუმჯობესებას უნდა ასახავდეს, არამედ, სწავლის შემდგომ საფეხურზე გადასულ მოსწავლეთა მაჩვენებლის ზრდას, აკადემიური შედეგების მაჩვენებლის ზრდას ზოგადი განათლების თითოეულ საფეხურზე.
- აგრეთვე, საჭიროა დამატებითი ინდიკატორების განსაზღვრაც, როგორცაა მოსწავლეებში სასიცოცხლო უნარ-ჩვევების ფლობის პროცენტული მაჩვენებლის ზრდა, სამოქალაქო თვითშეგნების შეფასების მაჩვენებლის ზრდა და ა.შ. ამგვარი ინდიკატორების ვერიფიკაციის წყაროდ უნდა მოიაზრებოდეს გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის მონაცემები.
- სტრატეგიული ამოცანის ინდიკატორები თავსებადი უნდა იყოს გლობალურ ინდიკატორებთან, განსაკუთრებით „გაეროს მდგრადი განვითარების ინდიკატორებთან“ მოსწავლეებში წიგნიერების დონის განსაზღვრასთან დაკავშირებით. კერძოდ, უნდა დაემატოს “გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებში” საქართველოსთვის მისადაგებული ინდიკატორი, როგორცაა: „4.1.1 სქესის მიხედვით მეოთხე, მეექვსე და მეცხრეკლასელი ბავშვების პროცენტული ოდენობა რომლებიც ფლობენ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი (i) კითხვისა და (ii) მათემატიკის მინიმალურ უნარებს - მონაცემზე პასუხისმგებელი უნდა იყოს "გამოცდების და შეფასების ეროვნული ცენტრი".

სტრატეგიული ამოცანა 3: საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესება

შესრულების სტატუსი: სტრატეგიული ამოცანის მისაღწევად დაიგეგმა 2 სპეციფიკური ამოცანა, 9 აქტივობა, რომელთაგან 1 შესრულდა, 3 - ნაწილობრივ შესრულდა, 5 - მიმდინარეა.

ამოცანის შესრულების ინდიკატორი:

1. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პროცენტული ზრდა

ინდიკატორის ფორმულირება არ არის საკმარისად ცხადი, რადგან არ არსებობს ზუსტი კრიტერიუმები, თუ რა პრინციპით შეიძლება ეწოდოს სკოლას „თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი“. აგრეთვე, არ არსებობს საბაზისო მონაცემი, თუ წინა წლებში რამდენი სკოლა იყო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი.

ზოგადი მიგნებები:

რეაბილიტირებული იყო 16 სპორტული დარბაზი და 4 სპორტული მოედანი, 6 საჯარო სკოლაში მოეწყო პანდუსი, 140 სკოლაში მოეწყო სამედიცინო ოთახი; 17 სკოლა აღიჭურვა სამედიცინო ოთახის ინვენტარით, 61 სკოლა სასკოლო ავეჯით, 300 საჯარო სკოლას გადაეცა სამაგიდო თამაშები;

მიმდინარეობდა 2 სკოლის სრული რეაბილიტაცია. 15 სკოლაში მოეწყო ადაპტირებული სანიტარული კვანძები, 3 სკოლაში განხორციელდა შშმ პირებისთვის ამწის მოწყობა; დაიწყო 5 სრულად ადაპტირებული ახალი სკოლის მშენებლობა: გორის მუნიციპალიტეტის სოფელ თორტიზის საჯარო სკოლა; ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ რომანეთის საჯარო სკოლა; საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სარეკის საჯარო სკოლა (შერწყმული ბაჯითის სკოლა); ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვრის საჯარო სკოლა (სამწვევრისის დაწყებითი); თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლა (სოფელ გორანის დაწყებითი სკოლის შენობა); დაიწყო 9 დიდკონტიგენტიანი (60-ზე მეტი ბავშვი) სკოლის და 14 (20 ბავშვიანი) მცირეკონტიგენტიანი სკოლის მშენებლობა. რომელიც სრულად ადაპტირებული იქნება;

6 საჯარო სკოლისთვის (მცირეკონტიგენტიანი) გადასაცემად შესყიდულია 24 ერთეული სტანდარტული პორტაბელური კომპიუტერი, 11 პროფესიული/საზოგადოებრივი კოლეჯისთვის და 7 საჯარო სკოლისთვის გადასაცემად შესყიდული და დარიგებულია 256 ერთეული სტანდარტული პორტაბელური კომპიუტერი, 8 პროფესიული/საზოგადოებრივი კოლეჯისთვის და 29 საჯარო სკოლისთვის (MCC და ახალი სკოლები) გადასაცემად შესყიდული და დარიგებულია 598 ერთეული სტანდარტული პერსონალური კომპიუტერი. საქართველოს 50 საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის გადასაცემად შესყიდული და დარიგებულია 185 ერთეული სტანდარტული პორტაბელური კომპიუტერი.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ 2017 წელს ათეულობით ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, შეგვიძლია საფუძვლიანად ვივარაუდოთ, რომ საერთო ჯამში, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურის მქონე დაწესებულებების რაოდენობა გაიზარდა, თუმცა რეაბილიტირებული და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი სკოლების წილი, სკოლების საერთო რაოდენობაში, მეტად მცირეა. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ ფოკუს-ჯგუფის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა მიუთითებდა სკოლების სავალალო ინფრასტრუქტურულ და სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებზე. აგრეთვე, სპეციალურ საჭიროებათა მქონე პირებისთვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურისა და სასწავლო რესურსების ნაკლებობაზე.

ფოკუს ჯგუფებში ითქვა, რომ მხოლოდ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, თავისთავად, არ განაპირობებს განათლების ხარისხის მდგრად გაუმჯობესებას. თუმცა, საგულისხმოა, აგრეთვე, რომ დაწყებითი განათლების ფოკუს-ჯგუფის წევრებმა, აღნიშნეს რეაბილიტირებული და გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურის დადებითი გავლენა სწავლის მოტივაციის ამაღლებაზე ბავშვებში, დაწყებით საფეხურზე.

2017 წლიდან სამინისტრომ დაიწყო „სკოლების საგრანტო დაფინანსება - თავისუფალი გაკვეთილების“ პროგრამის განხორციელება. პროგრამის ბენეფიციარები დადებითად აფასებენ სკოლებში ექსტრაკურთულობით აქტივობების ჩატარებას, რამაც მოსწავლეებისთვის საინტერესო და სახალისო სასწავლო გარემო შექმნა. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ფიზიკური აღზრდის, აგრეთვე, წიგნიერების, ხელოვნების/კულტურის, ინტელექტუალურ-შემეცნებითი მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებს. მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით გაგრძელდეს სპეციალური პროგრამების შემუშავება და გავრცელდეს ყველა სკოლაზე.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა სკოლებში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით. შემუშავდა ტრენინგ-მოდულები მანდატურთა გადასამზადებლად და ყველა მანდატური იქნა გადამზადებული. ტრენინგის ძირითადი თემები იყო: „ბავშვზე ძალადობის განმარტება და ფორმები“; „ძალადობა და კონფლიქტი“; ძალადობის გავრცელების ხელშემწყობი და დამცავი ფაქტორები“; „ძალადობის შედეგები“; ძალადობაგანცდილი ან ძალადობის რისკის ქვეშ მყოფი ბავშვის ფიზიკური, ქცევითი და ემოციური ნიშნების ამოცნობა“; „ძალადობა სკოლაში“; „სექსუალური ძალადობის და სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვი“; „ძალადობაგანცდილ ბავშვთან ურთიერთობის ძირითადი საკითხები“; „მულტიდისციპლინარული და მულტისექტორული თანამშრომლობა“; „ბავშვთა

დაცვის რეფერირების პროცედურები საქართველოში“. ჯამში, გადამზადებულია საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა მანდატური (1300) და საჯარო სკოლების 1576 წარმომადგენელი.

რეკომენდაციები:

- აუცილებელია კვლევის ჩატარება, თუ რა გავლენა იქონია მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე კვალიფიციური მანდატურების სკოლებში შესვლამ.
- სასურველია პოლიტიკის შემდგომ დოკუმენტებში გადახედოს და დაკონკრეტდეს ინდიკატორი.
- სასურველია ასევე თავსებადობა გლობალურ ინდიკატორებთან, მაგ. როგორცაა „გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებში“ საქართველოსთვის მისადაგებული ინდიკატორი: 4.ა.1 იმ სკოლების პროპორციული რაოდენობა, რომელთაც აქვთ: (ა) ელექტროენერჯია; (ბ) ინტერნეტი სასწავლო მიზნებისათვის; (გ) კომპიუტერები სასწავლო მიზნებისათვის; (დ) ადაპტირებული ინფრასტრუქტურა და მასალები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისათვის; (ე) სასმელი წყალი; (ვ) საპირფარეშოები ცალ-ცალკე გოგონებისა და ბიჭებისათვის; (ზ) ხელსაბანები (წყლის, სანიტარიული პირობებისა და ჰიგიენის (WASH) ინდიკატორების განსაზღვრებათა მიხედვით) (100%).
- გარდა ამისა, ვინაიდან, ამოცანა მხოლოდ სკოლების ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესებას არ გულისხმობს, აუცილებელია სხვა ინდიკატორების დამატებაც, რომელიც გაზომავს ბავშვის ფსიქო-სოციალური, შემოქმედებითი, კოგნიტური და ფიზიკური განვითარებისთვის შესაფერის უსაფრთხო გარემოს. აღნიშნული სახის ინდიკატორი შესაძლებელია არ იყოს თვლადი, თუმცა, პერიოდულად, აუცილებელია ხარისხობრივი კვლევების ჩატარება, რომელიც სკოლებში საგანმანათლებლო გარემოს ზემოაღნიშნულ კომპონენტს გაზომავს.
- სამინისტროს სისტემაში შემავალ შესაბამის ორგანიზაციებს უნდა დაევალოთ საგანმანათლებლო კომპონენტის გათვალისწინება თავიანთ სამოქმედო გეგმებში და სკოლის მოსწავლეთათვის „თავისუფალი გაკვეთილების“ შეთავაზება.
- მიზანშეწონილია სკოლებში წარსულში არსებული ე.წ. სააბონიმენტო სისტემის აღდგენა და შესაბამისი პროგრამის დაფინანსება, რაც სკოლის მოსწავლეებს კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებზე რეგულარულად დასწრების შესაძლებლობას აძლევდა.
- უნდა გაძლიერდეს, აგრეთვე, მოსწავლეთა მონაწილეობა საზაფხულო თემატურ ბანაკებში. მოსწავლეთა შერჩევისას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სხვადასხვა

მოწყვლად ჯგუფებს, როგორცაა, საზღვრისპირა, მაღლამთიან სოფლებში, დევნილთა და სოციალურად დაუცველ ოჯახებში მხცოვრები ბავშვები.

- უნდა გააქტიურდეს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიმართულებით პროგრამების და აქტივობების შემუშავება და მათი მასობრივი სპორტის ღონისძიებებში ჩართულობა. სკოლებში უნდა ჩატარდეს ფიზიკური აღზრდისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის ე.წ. მეფინგი (აღწერა) და შემუშავდეს სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა/რეაბილიტაცია და აღჭურვის მიზნობრივი პროგრამები.
- „მეფინგის“ საფუძველზე, აგრეთვე, უნდა განისაზღვროს სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაციის მიზანშეწონილობა, ალტერნატიული საშუალებების გამოყენების შესაძლებლობის გათვალისწინებით (მაგ. ახლომდებარე სპორტული ობიექტები და სხვ.).
- შესაძლებელია, სკოლებში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურა, შესაბამისი პირობების და შეთანხმების საფუძველზე, გადაეცეს სპორტულ სექციებს/კლუბებს, რომლებიც, მაგალითად, უფასოდ მოემსახურებიან იმ კონკრეტული სკოლის მოსწავლეებს, ხოლო სკოლის გარეთ არსებული მსურველებისთვის გარკვეულ საფასურს დააწესებენ.
- აუცილებელია გაგრძელდეს მასწავლებელთა, სკოლის ადმინისტრაციისა და მანდატურების სავალდებულო გადამზადების პროგრამები, რომელიც ხელს შეუწყობს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების პოპულარიზაციას, ადამიანის უფლებების სწავლებას გლობალური და ციფრული მოქალაქეობის, მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული კომპეტენციების ფორმირებას, ინტერკულტურულ განათლებას და ბავშვისათვის მეგობრული, უსაფრთხო, თანასწორი, არამალადობრივი, მაღალი კულტურის მქონე, მამოტივერებელი გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობას.
- მიზანშეწონილია, განათლების პოლიტიკის მომდევნო დოკუმენტებში პრიორიტეტად ან სტრატეგიულ ამოცანად განისაზღვროს ბავშვთა ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობა და დაიგეგმოს კომპლექსური პროგრამები, მასწავლებელთა, სკოლის ადმინისტრაციისა და მანდატურის გადამზადების ჩათვლით.
- პროგრამის განხორციელებაში, მუნიციპალურ დონეზე, უნდა ჩაერთონ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც კოორდინაციას გაუწევენ შემოქმედებითი და სპორტული ორგანიზაციების/კლუბების მონაწილეობას პროგრამაში. აგრეთვე, გამოყენებული უნდა იყოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალი კულტურის, სახელოვნებო სსიპ ორგანიზაციათა და სპორტის ფედერაციების რესურსები.

- „თანამედროვე სტანდარტების შესაბამისობის“ კრიტერიუმების დაზუსტება აუცილებელია იმისათვის, რომ განისაზღვროს შესაფასებელი ელემენტების წრე, თუმცა უდაოა, რომ დასახული სტრატეგიული ამოცანის მიღწევა მოითხოვს ყურადღების გამახვილებას არა მხოლოდ ინფრასტრუქტურულ ელემენტებზე, არამედ ზოგადად იმ გამოცდილების მრავალფეროვნებაზე, რომელსაც მოსწავლე იღებს სასწავლო დაწესებულებაში.
- უნდა გაძლიერდეს სკოლებში თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებისა და მისი სასწავლო პროცესში გამოყენების პროგრამა, ციფრული კულტურის განვითარების აქტივობები სასკოლო სივრცეში.

სტრატეგიული ამოცანა 4: სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების მოტივაციის და ეფექტურობის გაზრდა

შესრულების სტატუსი: სტრატეგიული ამოცანის მისაღწევად დაიგეგმა 3 სპეციფიკური ამოცანა, 7 აქტივობა, რომელთაგან, 5 შესრულდა, 1 - ნაწილობრივ შესრულდა, 1 - მიმდინარეა

ინდიკატორები:

ცხრილი 8:

1. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და წინსვლის სქემაში ზედა საფეხურზე გადასულ მასწავლებელთა რაოდენობის ზრდა

სასწავლო წლის მიხედვით: სექტემბერი-აგვისტო

გადავიდა შემდეგ საფეხურზე და მიენიჭა სტატუსი	2015-2016	2016-2017
მენტორი		9
უფროსი	347	2155
წამყვანი	2	31
სულ	349	2195

2016 და 2017 წლების სტატისტიკის შედარება თვალსაჩინოს ხდის ამ მიმართულებით მიღწეულ პროგრესს. სავარაუდოდ, 2018 წლის მონაცემები კიდევ უფრო გაუმჯობესებული იქნება.

ზოგადი მიგნებები:

სტრატეგიული ამოცანის მისაღწევად თანმიმდევრული და სათანადო აქტივობები იქნა დაგეგმილი და განხორციელებული. დაინერგა მასწავლებელთა შეფასების სრულიად ახალი სისტემა, შეიცვალა სკოლის მუშაობის სპეციფიკა, სასკოლო კულტურა, მრავალფეროვანი გახდა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის შესაძლებლობები. თუმცა, ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე სკოლის დირექტორებისა და მასწავლებლების მხრიდან, აღინიშნა ზედმეტად ბიუროკრატიული და შრომატევადი/რესურსტევადი პროცედურები, ძირითადად დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემაში მონაწილეობისთვის.

ეროვნული უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის განხორციელებაში აღინიშნებოდა გარკვეული პროგრესი, თუმცა სწავლის გაზრდილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, აუცილებელია აქტივობების გაზრდა, სწავლების ალტერნატიული საშუალებების გამოჩახვა. ამჟამად, ეთნიკური უმცირესობებისთვის ენის სწავლებას ახორციელებს სსიპ- „ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა“, რომლის რესურსიც არ არის საკმარისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და აუცილებელია აღნიშნული სერვისის მიწოდების დივერსიფიკაცია.

მასწავლებლებისთვის უწყვეტი განათლების შესაძლებლობების გარემოს შექმნის მიმართულებით აღსანიშნავია საინფორმაციო საგანმანათლებლო რესურსები, ჟურნალი „მასწავლებელი,“ ინტერნეტგაზეთი „mastsavlebeli.ge“, სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „განათლების მეცნიერება“. google analytic-ის მონაცემებით ინტერნეტგაზეთს 2017 წელს 273, 187 მომხმარებლით მეტი ჰყავდა წინა წელთან შედარებით. ასევე, ინტერნეტგაზეთის სტატიების ჩამოწერისა და ნახვის რაოდენობაა 5, 288, 801, რაც 2016 წელთან შედარებით 1, 032, 626 მეტია.

რეკომენდაციები:

- ამოცანის მისაღწევად, აუცილებელია სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის გაძლიერება, როგორც ფინანსურად, ასევე ადამიანური რესურსების თვალსაზრისითაც. უნდა შემუშავდეს ცენტრის თანამშრომლების ტრენინგის პროგრამები, ჩატარდეს კვლევები შესაბამისი სასწავლო მოდულების იდენტიფიცირებისთვის. უნდა მოხდეს ტრენინგ-გავლილ მასწავლებელთა გარე შეფასება.

- სკოლის დირექცია დაინტერესებული და მოტივირებული უნდა იყოს მასწავლებელთა შიდა შეფასების მექანიზმების დასანერგად. თავის მხრივ, უნდა გაძლიერდეს სკოლის დირექციის ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით, რისთვისაც მიზანშეწონილია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და გაცვლითი პროგრამების განხორციელება.
- რამდენადაც განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის საკვანძო როლი მასწავლებელს აკისრია, სამინისტრომ ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას მასწავლებელთა განვითარების მიმართულებით. უნდა გაძლიერდეს „სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი“, როგორც ფინანსურად, ასევე ადამიანური რესურსების, ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების თვალსაზრისითაც.
- უნდა გადაიხედოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და წინსვლის სქემა, რომელიც ცალსახად არაეფექტურია ფინანსური და ადამიანური რესურსების ხარჯ-ეფექტურობის თვალსაზრისით.
- კრიტიკულად მნიშვნელოვანია მასწავლებელთა კოჰორტის გაახალგაზრდავება. წახალისების სპეციალური სქემები უნდა შემუშავდეს ახალგაზრდა მასწავლებელთა მოსაზიდად, არაეფექტურ მასწავლებელთა ჩასანაცვლებლად. პოლიტიკის მომდევნო დოკუმენტებში სტრატეგიულ ამოცანად უნდა განისაზღვროს კვალიფიციური ახალგაზრდა კადრების სკოლაში დასაქმება და დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები.
- ინდიკატორები შესაბამისობაში უნდა იყოს „გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების“ ნაციონალიზებულ ამოცანასთან და ინდიკატორებთან (4.გ.1)

სტრატეგიული ამოცანა 5: ზოგადი განათლების ყველა დონეზე ეფექტური მართვის სისტემის განვითარება

ამოცანის შესრულების სტატუსი: სტრატეგიული ამოცანის მისაღწევად დაიგეგმა 2 სპეციფიკური ამოცანა და 3 აქტივობა, რომელთაგან სამივე ნაწილობრივ შესრულდა.

ამოცანის შესრულების ინდიკატორი:

1. სკოლების მონიტორინგის შედეგების გაუმჯობესება

„საჯარო და კერძო სკოლებზე პასუხისმგებელია სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული.

2016 წელს მონიტორინგი ჩატარდა 10 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2017 წელს ჩატარდა 10 გეგმიური მონიტორინგი და 6 არაგეგმიური მონიტორინგი კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2016 წელს განხორციელდა 83 ვიზიტი საქართველოს საჯარო სკოლებში, ხოლო 2017 წელს - 92 ვიზიტი“.

შეფასების პროცესში გამოკითხვისას გაირკვა, რომ „მონიტორინგის შედეგების“ გაუმჯობესებაში, იგულისხმებოდა მონიტორინგის სპეციალური ფორმის დამტკიცება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ინდიკატორის ფორმულირება არ არის საკმარისად ნათელი. მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებელი არ ასახავს ხარისხის კომპონენტს. მნიშვნელოვანია 2018 წლიდან ელექტრონული სისტემის დანერგვა, რამაც გარდა რაოდენობის გაზრდისა, ხარისხის კომპონენტიც უნდა გააუმჯობესოს და ასევე მონაცემების უკეთესად შედარებისა და ანალიზის საშუალება უნდა გააჩინოს.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული აქტივობები, ძირითადად, მოსამზადებელი სახის იყო და არ იძლევა ამოცანის მიღწევის ობიექტურად შეფასების შესაძლებლობას, აქტივობების უმეტესობა 2018 წელსაა დაგეგმილი და შესაბამისად, სტრატეგიული ამოცანის შესრულების პროგრესის და გავლენის სრულყოფილად წარმოჩენა საბოლოო შეფასებისას იქნება შესაძლებელი.

4.2.3. პროფესიული განათლება

მიზანი: ქვეყნის სოციო-ეკონომიკური განვითარების მხარდასაჭერად პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გაზრდა, მათი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა პროფესიული და ზოგადი უნარების განვითარების გზით

მიზნის ინდიკატორი: პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის მაჩვენებლის ზრდა

სტრატეგიული ამოცანა 1: პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა და სისტემის ინტერნაციონალიზაცია


შესრულების სტატუსი: სტრატეგიული ამოცანის მისაღწევად სამოქმედო გეგმაში განისაზღვრა 5 სპეციფიკური ამოცანა, 12 აქტივობა; მათგან, 5 შესრულდა; 1 მიმდინარეა, 1 არ შესრულდა; 5 ნაწილობრივ შესრულდა

სტრატეგიული ამოცანის შესრულების ინდიკატორები:

1. პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის ზრდა

Tracer Study-ს მიხედვით, პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელია 2015 წელს - 47%, 2016 -56% და 2017 - 56.2%

ცხრილი 10: პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმება



2. დუალური პროგრამების რაოდენობის ზრდა

2016 წელს დაიწყო 3 დუალური პროგრამის პილოტირება სოფლის მეურნეობის მიმართულებით. 2017 წელს არსებულ სამ პროგრამას დაემატა 4 დუალური პროგრამა ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით.

ზოგადი მიგნებები:

სტრატეგიული ამოცანის შესასრულებლად, საკმაოდ კარგად გააზრებული, რაციონალური სპეციფიკური ამოცანები, აქტივობები და ინდიკატორებია

შემოთავაზებული. ორივე ინდიკატორი თვლადია და შესაძლებელია ამოცანის შესრულების შედეგების გაზომვა.

მიუხედავად იმისა, რომ, საანგარიშო პერიოდში, აქტივობები მხოლოდ ნაწილობრივად იყო შესრულებული, აშკარაა პროფესიული განათლების განვითარების და შრომის ბაზართან თავსებადობის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების ეფექტურობა, განსაკუთრებით მყარი საკანონმდებლო, მეთოდოლოგიური და ინსტიტუციური საფუძვლების შექმნის კუთხით. კერძოდ, აღსანიშნავია სოციალური პარტნიორობის, სხვადასხვა აქტორებთან თანამშრომლობის და კოორდინაციის მექანიზმების შექმნა: ეროვნული პროფესიული საბჭო, და მის ფარგლებში მოქმედი 4 მიმართულების თემატური სამუშაო ჯგუფი (სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების, ინკლუზიური განათლებისა და ხარისხის განვითარების თემატური სამუშაო ჯგუფები), 11 მიმართულების დარგობრივი საბჭო, (შექმნილი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში).

ჩამოყალიბდა მეთოდოლოგიური საფუძვლები და განახლდა პროფესიული კვალიფიკაციების ნუსხა. თუმცა, ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ევროპულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან ჰარმონიზაცია, რისთვისაც დაიწყო საერთაშორისო პარტნიორობთან თანამშრომლობის სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენება, მათ შორის ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამების/პროექტების.

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის მხარდაჭერით შემუშავდა მოდულური მიდგომით პროგრამების შემუშავებისა და სწავლების მეთოდოლოგია, რაც პროფესიული უნარების განვითარებასთან ერთად, საბაზო და საკვანძო (მეწარმეობა, უცხო ენაზე კომუნიკაცია, ციფრული კომპეტენციები და სხვ.) უნარების განვითარებაზე, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, სწავლის შედეგებსა და სწავლება-შეფასების თანამედროვე მიდგომებზეა ორიენტირებული. შეიქმნა განახლდა 200-მდე პროფესიული სტანდარტი და დამტკიცდა და დაინერგა 110 მოდულური პროგრამა. დაინერგა 4 დუალური პროგრამა, რაც უზრუნველყოფს კერძო კომპანიებისა და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების ერთობლივად განხორციელებასა და სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობას და შესაბამისად, მნიშვნელოვანი წინსვლაა სტრატეგიული ამოცანის შესრულებისკენ.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიაში შესვლისა და განვითარების მარეგულირებელ დოკუმენტებზე მუშაობა, ჩატარდა ტრენინგები 4 ძირითადი მიმართულებით: პედაგოგიური კურსი; მოდულური სწავლება; ინკლუზიური პროფესიული განათლება; მასწავლებელთა ტრენინგი საწარმოში;

მეწარმეობის მოდულის სწავლება სავალდებულო გახდა ყველა მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის. 14 სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამრეწველო ინოვაციური ლაბორატორიები (ფაბლაბები), რაც სტუდენტებს ეხმარება სამეწარმეო იდეების განხორციელებაში. „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს“, მცირე საგრანტო პროგრამის ფარგლებში, დაიწყო ე.წ. შებრუნებული საკლასო ოთახის (ინტერაქციული სწავლების მეთოდი ინტერაქტიული ვიდეორგოლების საშუალებით) მეთოდოლოგიის დანერგვა.

ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, მომზადდა და ფართოდ იქნა განხილული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების პროექტი და შესაბამისი რეკომენდაციები, მომზადდა და საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა ავტორიზაციის გზამკვლევი, გააქტიურდა მონიტორინგის პროცესი. განხორციელდა 18 გეგმიური და 10 არაგეგმიური მონიტორინგი, რაც 15-ით მეტია 2016 წლის განმავლობაში ჩატარებულ მონიტორინგთან შედარებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ აშკარაა პროგრესი სტრატეგიული ამოცანის მიღწევისთვის.

რეკომენდაციები:

- უნდა გაგრძელდეს ევროპულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან თავსებადი ეროვნული ჩარჩოს დანერგვა და ევროპის პროფესიულ მასწავლებლებთან პარტნიორობის გაღრმავება - ერთობლივი პროგრამების შემუშავება და განხორციელება, გამოცდილების გაზიარება და სტუდენტების გაცვლა.
- პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონის დანერგვის პროცესში საკოორდინაციო ღონისძიებების გაძლიერებასთან ერთად უნდა მოხდეს სამინისტროს, შესაბამისი სააგენტოებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერებაც.
- უნდა გაძლიერდეს ძალისხმევა ბიზნეს სექტორთან პარტნიორობისა და დუალური პროგრამების რაოდენობის გასაზრდელად.

- მიზანშეწონილია, მომავალ სტრატეგიულ ამოცანად განისაზღვროს პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესება და დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები.
- აგრეთვე, მიზანშეწონილია, მომავალ სტრატეგიულ ამოცანად განისაზღვროს პროფესიული სწავლების ინფრასტრუქტურის განვითარება. აგრეთვე, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარება და დანერგვა, რომელიც საანგარიშო პერიოდში მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა.
- ხარისხთან მიმართებით, არსებითია კვალიფიციური და პროფესიონალი მასწავლებლების მომზადება, რაც მოითხოვს პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიაში შესვლის, განვითარებისა და კარიერული წინსვლის ახალი სისტემის შექმნას.
- მნიშვნელოვანია, ერთ-ერთ ინდიკატორად, პროფესიული განათლების პედაგოგთა და ხელმძღვანელთა ზრდის მაჩვენებლის განსაზღვრაც, რომლებიც იყვნენ გადამზადებულნი სხვადასხვა სქემით. აღნიშნული ინდიკატორი, „გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების“ დოკუმენტითაცაა გათვალისწინებული.
- აგრეთვე, უნდა დაჩქარდეს პროფესიული კვალიფიკაციის ელექტრონული რეესტრის შექმნა და მისი, ასევე პროფესიული განათლების პორტალის ჰარმონიზაცია/ინტეგრირება დასაქმების ელექტრონულ პლატფორმებთან, რომელსაც მართავს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების და ჯანდაცვის, შრომის, დასაქმებისა და დევნილთა სამინისტროები.
- სამომავლოდ, მიზანშეწონილია, დაინერგოს პროფესიული განათლების შეფასების მექანიზმებიც. პოლიტიკის დოკუმენტები უნდა ითვალისწინებდეს შესაბამისი კვლევების ჩატარებას, რომელიც კურსდამთავრებულთა და დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებებთან ერთად, გაითვალისწინებს, აგრეთვე, „გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებში საქართველოსთვის მისადაგებულ შემდეგ ინდიკატორებსაც: „4.4.1: იმ ახალგაზრდებისა და ზრდასრული ადამიანების პროპორციული ოდენობა, რომლებიც ფლობენ უნარებს ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში, უნარების ტიპის მიხედვით; 4.4.2. დასაქმებულ ან თვით-დასაქმებულ პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა პროცენტული ოდენობა (სულ მცირე 60%)“; 4.4.4. იმ მექანიზმების არსებობა, რომლებიც ახალგაზრდებსა და ზრდასრულ ადამიანებს ხელს უწყობს ღირსეული დასაქმებისა და მეწარმეობისთვის შესაფერისი უნარების შეძენას; 8.ბ.1: დასაქმების პროგრამებზე მთავრობის მთლიანი ხარჯვის ზრდა ეროვნული ბიუჯეტის და მშპ-ს წილის სახით“.

სტრატეგიული ამოცანა 2: მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპზე დაფუძნებული პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

შესრულების სტატუსი: სტრატეგიული ამოცანის მისაღწევად სამოქმედო გეგმაში განისაზღვრა 3 სპეციფიკური ამოცანა და 12 აქტივობა, რომელთაგან, 2 სრულად შესრულდა, 9 ნაწილობრივ შესრულდა და 1 მიმდინარეა.

სტრატეგიული ამოცანის შესრულების ინდიკატორები:

1: პროფესიული განათლებიდან განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებლის ზრდა

2016 წელს განხორციელებული Tracer Study-ს მიხედვით პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა 6%-მა სწავლა გააგრძელა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო 2017 წელს განხორციელებული იმავე კვლევის მიხედვით - 8%-მა .

2: ზრდასრულთა განათლების პროგრამებში მონაწილეობის მაჩვენებლის ზრდა

საქართველოს სტატისტიკის სამსახურის (Goestat) მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით ზრდასრულთა განათლების პროგრამებში მონაწილეობის მაჩვენებელი იყო 0.42% (1004 ბენეფიციარი), ხოლო 2017 წელს იყო 1.6% (თუმცა, ბენეფიციარების რაოდენობა უმნიშვნელოდ განსხვავდებოდა წლების მიხედვით). სხვაობა ამ ორ მონაცემს შორის გამოწვეულია კვლევის მეთოდოლოგიის ცვლილებით.

ზოგადი მიგნებები:

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული სტრატეგიული ამოცანის მისაღწევად დაგეგმილი აქტივობების უმრავლესობა მხოლოდ ნაწილობრივ იქნა შესრულებული საანგარიშო პერიოდში, პოზიტიური ცვლილებები დაფიქსირდა მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპზე დაფუძნებული პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების კუთხით.

აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული ამოცანის მისაღწევად შეიქმნა მყარი საკანონმდებლო საფუძველი. კერძოდ, „პროფესიული განათლების შესახებ“ ახალი კანონის პროექტი, საფუძველს უქმნის პროფესიული განათლების ფარგლებში ზოგადი განათლების მიწოდებას, რაც სურვილის შემთხვევაში, სტუდენტს გზას გაუხსნის უმაღლესი განათლებისაკენ. კანონი ითვალისწინებს მოკლე ციკლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვას, რომლის კრედიტებიც აღიარებული იქნება აკადემიური განათლების პირველ საფეხურზე.

გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით და შვეიცარიის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით, 2017 წელს დაიწყო ორი პროგრამის პილოტირება, რომლებშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების სამუშაო საფეხურის სწავლის შედეგები.

ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების კუთხით, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის მხარდაჭერა. კერძოდ, შემუშავდა სსსმ მოსწავლეების ზოგადი განათლებიდან პროფესიული განათლების საფეხურზე ტრანზიციის მოდელი და მოხდა მისი პილოტირება თბილისის 2 და რეგიონის 1 საჯარო სკოლაში. სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხა 335 სსსმ სტუდენტი, რომელთა სწავლების ხელშეწყობისათვის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები იღებენ დამატებით დაფინანსებას. სტუდენტებს მხარდაჭერას უწევენ ინკლუზიური განათლების სპეციალისტები. ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სსსმ სტუდენტებისათვის შექმნილია მათ საჭიროებებზე მორგებული სერვისები და საგანმანათლებლო რესურსები. დევნილთა სამეწარმეო საქმიანობის მხარდასაჭერად გამოცხადდა საგრანტო კონკურსი, განაცხადების განხილვის შედეგად დაფინანსდა 50 პროექტი.

მიმდინარეობდა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებზე მორგებული მოკლევადიანი პროფესიული კურსების განხორციელება, რომელშიც ჩართული იყვნენ სამუშაოს მაძიებლები, მსჯავრდებულები და ყოფილი პატიმრები: საანგარიშო პერიოდში მომზადება-გადამზადების პროგრამა გაიარა 1135 მსჯავრდებულმა. ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მომზადება (გადამზადება) გაიარა 2130-მა ბენეფიციარმა;

2017 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის გაფართოების კუთხით, რაც გულისხმობს ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნებას, ან არსებული კოლეჯების ახალი ფილიალების განვითარებას.

პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის უფლება მოიპოვა ახლადდაფუძნებულმა სასწავლებელმა გუდაურსა და მცხეთაში. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შენობების რეაბილიტაცია მოხდა შემდეგ მუნიციპალიტეტებში: ლაგოდეხი, სტეფანწმინდა და თიანეთი . 2017 წელს კერძო სექტორის ჩართულობით დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები ახალი კოლეჯის დაფუძნებისთვის ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების მიზნით მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო კასპის მუნიციპალიტეტში. დაიწყო სტუდენტური საერთო

საცხოვრებლის რეაბილიტაცია ქ. ქუთაისსა და დაფინანსდა სტუდენტური საცხოვრებლის მშენებლობა სენაკში. მოდულური პროგრამების მინიმალური ტექნიკური აღჭურვილობის სტანდარტების საფუძველზე, პრაქტიკული სწავლების გაუმჯობესებისათვის კოლეჯებმა შეიძინეს მოდულური პროგრამების დანერგვისათვის საჭირო აღჭურვილობა და ხელსაწყოები.

ზემოაღნიშნულისა და ინდიკატორების მაჩვენებლების ზრდის გათვალისწინებით, ცალსახად იკვეთება პროგრესი ამოცანის მიღწევაში.

რეკომენდაციები

- მნიშვნელოვანია დაგეგმილი აქტივობების შემდგომი წლების სამოქმედო გეგმებში ასახვა და მათი შესრულების ინტენსიფიკაცია.
- უნდა მოხდეს პროფესიული განათლების მიმწოდებელთა ქსელის დივერსიფიცირება და კერძო სექტორში არაფორმალური განათლების მიმწოდებლების ფორმალური ტრენინგის მიწოდებაში ჩართვის მექანიზმების დანერგვა.
- პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობისთვის უნდა მოხდეს სტუდენტური საცხოვრებლების, თუ სტუდენტთა საცხოვრებლით დაკმაყოფილების სხვა ალტერნატიული საშუალებებით უზრუნველყოფა.
- დაფინანსების დივერსიფიკაციის ხელშეწყობის მიზნით, საკანონმდებლო დონეზე უნდა დარეგულირდეს კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობა და მიღებული შემოსავლების განკარგვის საკითხები და აგრეთვე, კერძო სექტორის განათლების მომწოდებელთა სახელმწიფოს მიერ დაფინანსების საკითხი.
- მიზანშეწონილია, მომავალ სტრატეგიულ დოკუმენტებში მკაფიოდ განისაზღვროს ე.წ. საგანმანათლებლო ჩიხების აღმოფხვრასთან დაკავშირებული სპეციფიკური ამოცანები და აქტივობები, როგორცაა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრაცია პროფესიულ განათლებაში, პროფესიული განათლების დაკავშირება უმაღლეს განათლებასთან. მნიშვნელოვანია აგრეთვე, არაფორმალური განათლების ფორმალიზების მექანიზმების დანერგვა, დაფინანსების დივერსიფიკაცია და სხვ.
- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან თანამშრომლობით, მიზანშეწონილია განისაზღვროს პროფესიული განათლების გეოგრაფიული დაფარვის და პროფესიული პროგრამების მიწოდების მიზანშეწონილობა. განსაკუთრებით პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობის ხელმისაწვდომობა მოწყვლადი ჯგუფებისთვის. მომავალში, მათთვის, საჭიროების მიხედვით, შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს პროფესიული განათლების

მიღების ალტერნატიული შესაძლებლობები, როგორცაა მაგ. დისტანციური სწავლება, მობილური კურსების შეთავაზება და სხვა.

- პროფესიულ განათლებაში სტატისტიკის წარმოება უნდა მოხდეს, გენდერულ, მუნიციპალურ, სოციალური ჯგუფების და ასაკობრივ ჯგუფებში, რაც ინდიკატორების უკეთესად გაზომვის საშუალებას მოგვცემს.
- „პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის“ გასაზომად, სასურველია სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის (დევენილები, საზღვრისპირა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებნი, ეთნიკური უმცირესობები, შშმ პირები და ა.შ.) ხელმისაწვდომობის ზრდის შესაბამისი ინდიკატორის დამატება. აგრეთვე, განათლების მიღმა დარჩენილი პირების პროფესიულ განათლებაში ჩართვის მაჩვენებლის დაფიქსირებაც.

სტრატეგიული ამოცანა 3: პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და მიმზიდველობის გაზრდა

შესრულების სტატუსი: სტრატეგიული ამოცანის მისაღწევად სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იქნა 2 სპეციფიკური ამოცანა და 3 აქტივობა, რომელთაგან 1 სრულად შესრულდა, 2 კი - ნაწილობრივ.

სტრატეგიული ამოცანის შესრულების ინდიკატორები: საზოგადოების ცნობიერების დონის ზრდა პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებით

პროფესიული განათლების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების კვლევის (2015 წ) თანახმად, გამოკითხულთა 72% აღნიშნავდა, რომ მოსახლეობის დამოკიდებულება პროფესიული განათლების მიმართ იცვლებოდა დადებითად. ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ფარგლებში განხორციელდა პროფესიული განათლების მიმართ დამოკიდებულების კვლევა შემდეგ ქალაქებში: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, გორი, რუსთავი. ინტერვიუ ჩატარდა 1920 რესპოდენტთან (15-24 წლის მოსახლეობა, ვინც არ სწავლობს/სწავლობდა პროფესიულ სასწავლებელში). საველე სამუშაოები განხორციელდა 2017 წლის აგვისტოში. რესპოდენტთა 20% მიიჩნევს რომ პროფესიული განათლების მიმართ დამოკიდებულება არის პოზიტიური, 49% მიიჩნევს რომ დამოკიდებულება არის ნეიტრალური, ხოლო 27 პროცენტს მიაჩნია, რომ დამოკიდებულება არის ნეგატიური, 5%-ს უჭირს პასუხის გაცემა; რესპოდენტთა 40%-ს მიაჩნია რომ პროფესიული განათლება არის მოდური; 75%-ს მიაჩნია, რომ პროფესიული განათლების მიღება არის სასარგებლო.

ზოგადი მიგნებები

პროფესიული განათლების პოპულარობისა და მიმზიდველობის გასაზრდელად სტრატეგიაში ხაზგასმულია რამდენიმე ძირითადი მიმართულება: პროფესიული სტუდენტების წარმატებით დასაქმების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, ცნობიერების ამაღლების კამპანიების მოწყობა, პროფესიული ორიენტაციის სისტემის გაუმჯობესება, სისტემის მოქნილობისა და გამტარიანობის გაუმჯობესება, პროფესიული განათლების ახალი ბრენდისა და საკომუნიკაციო სტრატეგიის შექმნა.

სტრატეგიული ამოცანის მისაღწევად ცალსახად პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს ყველა საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის შტატის დაშვება, კადრების სტანდარტთან შესაბამისობისთვის მეთოდოლოგიური დოკუმენტების შექმნა, MCA-ის მხარდაჭერით და აგრეთვე, სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამის განხორციელება. მნიშვნელოვანია ევროკავშირის ძალისხმევა პროფესიული განათლების პოპულარიზაციისთვის. კერძოდ, ტექნიკური დახმარების პროექტის მხარდაჭერით პროფესიული განათლების ახალი ბრენდისა და საკომუნიკაციო სტრატეგიის შექმნა. აგრეთვე, პროფესიული განათლების ფესტივალის გამოფენების (პანკისსა და ფოთში), ჰაკათონისა და კრეათონის ჩატარება. აღსანიშნავია, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის პროექტის ფარგლებში ჩატარებული მასშტაბური კონფერენცია: „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“.

შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ საანგარიშო პერიოდში, უმნიშვნელო პროგრესი დაფიქსირდა ამოცანის მიღწევაში, თუმცა, პროგრესის ხარისხის საფუძვლიანი შეფასება, მხოლოდ შესაბამისი კვლევის ჩატარების შედეგად იქნება შესაძლებელი.

რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია, რომ შემუშავდეს პროფესიული განათლების პოპულარიზაციისა და მიმზიდველობის საკომუნიკაციო სტრატეგია და სისტემურ დონეზე გაგრძელდეს სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების აქტივობები, აქცენტი გაკეთდეს პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის ერთიანი სისტემის განვითარებაზე.
- აღნიშნული სტრატეგიის წარმატების შემთხვევაში, გასათვალისწინებელი იქნება, სავარაუდოდ, პროფესიული განათლების მიღების მსურველთა გაზრდილი

რაოდენობის ხარისხიანი პროგრამებით დაკმაყოფილებასა და მისაღებ სტუდენტთა ქვოტების, დაფინანსების გაზრდასთან დაკავშირებული ამოცანებიც.

- რამდენადაც პროფესიული განათლების მიღების მიმზიდველობაზე გავლენას ახდეს შრომის ბაზრის მოთხოვნები, გასათვალისწინებელია საჯარო და კერძო სექტორში დამსაქმებლებთან წარმატებული კომუნიკაცია, რადგან, სხვადასხვა კვლევის თანახმად, დამსაქმებლები, უპირატესად, უმაღლესი განათლების, ხშირ შემთხვევაში, მაგისტრის ხარისხის მქონე კადრებს მოითხოვენ, ან ანიჭებენ უპირატესობას.
- „მიმზიდველობის“ გაზრდასთან მიმართებით, საჭიროა დამატებითი ინდიკატორის განსაზღვრა, როგორცაა, მაგ. პროფესიულ პროგრამებზე სწავლის მსურველთა მაჩვენებლის ზრდა და სხვ., ვინაიდან მოცემული ინდიკატორი მხოლოდ „პოპულარიზაციას“ ზომავს.
- მიზანშეწონილია პროფესიული განათლების მიმართ დამოკიდებულების ახალი კვლევის ჩატარება. სტრატეგიის განხორციელების შუალედურ ეტაპზე (2019წ), რაც აუცილებელია სტრატეგიული ამოცანის მიღწევის შესაფასებლად.

4.2.4. უმაღლესი განათლება

სპეციფიკური მიზანი: უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია და ხარისხიანი უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარებისა და დასაქმების გაუმჯობესებისათვის

მიზნის ინდიკატორი: მაღალი აკადემიური ქულების მქონე სტუდენტების რაოდენობის გაზრდა; უცხოელ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა;

სტრატეგიული ამოცანა 1: უმაღლესი განათლების სისტემის შემდგომი მოდერნიზაცია, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და ხარისხის ამაღლება

შესრულების სტატუსი: სტრატეგიული ამოცანის მისაღწევად სამოქმედო გეგმაში განისაზღვრა 5 სპეციფიკური ამოცანა, 24 აქტივობა; მათგან, 4 შესრულდა; 11 მიმდინარეა, 4 არ შესრულდა; 5 ნაწილობრივ შესრულდა.

სტრატეგიული ამოცანის შესრულების ინდიკატორები:

1. *უცხოენოვანი აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა*

„სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის“ რეესტრის მონაცემების თანახმად, უცხოენოვანი აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა 2016 წელს შეადგენდა 168 პროგრამას, 2017 წელს - 182“.

მიუხედავად ინდიკატორით გათვალისწინებული მონაცემების ზრდისა, მნიშვნელოვანი ძალისხმევაა კიდევ საჭირო უმაღლესი განათლების შემდგომი ინტერნაციონალიზაციისა და ხარისხის გაზრდის მისაღწევად. უაღრესად მნიშვნელოვანია იმ მიმართულებით სპეციალური პროგრამა „Study in Georgia“, რომელიც უცხოელი სტუდენტების საქართველოში მოზიდვას ისახავს მიზნად.


2. ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც ჩართული არიან სწავლებასა და კვლევაში

რეესტრის მონაცემების თანახმად, 2016 წელს მაგისტრატურის სტუდენტების რაოდენობა შეადგენდა 15038-ს, ხოლო დოქტორანტების რაოდენობა - 3365-ს;

2017 წელს - მაგისტრანტების რაოდენობა შეადგენს 16270, დოქტორანტები - 3932

ცხრილი 11:

სწავლებასა და კვლევაში ჩართული ახალგაზრდები



ზოგადი მიგნებები:

აღსანიშნავია, რომ, ზემოაღნიშნული ინდიკატორებიდან არც ერთი არ იძლევა „უმაღლესი განათლების სისტემის მოდერნიზაციის“ და „ხარისხის ამაღლების“ გაზომვის შესაძლებლობას.

უმაღლესი განათლების სისტემის მოდერნიზაცია და ხარისხის ამაღლება დიდწილად არის დამოკიდებული უმაღლესი განათლების დაფინანსების სისტემაზე. რესპონდენტთა² აბსოლუტური უმრავლესობა, არაეფექტურად მიიჩნევს დაფინანსების მიმდინარე მოდელს და მიუთითებს უმაღლესი განათლების ხარისხის მკვეთრ გაუარესებაზე, რაც პირდაპირ კავშირშია აღნიშნულ მოდელთან. დაფინანსების არსებული მოდელი არ არის დაფუძნებული მერიტოკრატიაზე - არ ითვალისწინებს მაღალ აკადემიურ მოსწრებას და შედეგებს და გათანაბრებულია ყველა უმაღლესი სასწავლებლისთვის, სტუდენტზე გამოყოფილი დაფინანსების შესაბამისად. გარდა იმისა, რომ არაეფექტურია დაფინანსების სისტემა, ის, აგრეთვე, ნაკლებად დემოკრატიულიცაა, რადგან, არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებს, რამდენადაც, სხვადასხვა უნივერსიტეტში სწავლის თვითღირებულება მკვეთრად განსხვავებულია უნივერსიტეტის პროფილის და მიმართულების მიხედვით.

განათლების ინტერნაციონალიზაციის მიზნით აღსანიშნავია სსიპ „განათლების საერთაშორისო ცენტრის“ საქმიანობა და მის მიერ განხორციელებული აქტივობები. კერძოდ, სასტიპენდიო სქემები სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე საზღვარგარეთ სასწავლებლად.

რესპონდენტთა აზრით, მეტი ხელშეწყობაა საჭირო უცხოელ სტუდენტთა მოზიდვის ინტენსიფიკაციისთვის, რომელიც უმაღლესი სასწავლებლების ალტერნატიული დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროა, რისთვისაც საჭიროა თანამშრომლობის გააქტიურება სხვადასხვა სამინისტროსთან, როგორცაა საგარეო საქმეთა სამინისტრო (მაგ. ვიზის მიღების პროცედურების გამარტივება), შინაგან საქმეთა სამინისტრო (საზღვრის კვეთა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა), იუსტიციის სამინისტრო (უცხოელი სტუდენტების საქართველოში ბინადრობა და რეგისტრაცია), შრომის, ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფისა და დეველოპმენტის სამინისტრო (სამედიცინო და სადაზღვევო მომსახურების უზრუნველყოფა), ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ინფასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო (საცხოვრებელი ინფრასტრუქტურის მშენებლობა) და სხვ.

უმაღლესი განათლების მოდერნიზაციისა და ხარისხის ამაღლების განსახორციელებლად არაერთი აქტივობა გატარდა სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის“ მიერ, რომელმაც დაამტკიცა უმაღლესი საგანმანათლებლო

² 6 უნივერსიტეტის რექტორი

დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები, თუმცა, რესპონდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა აკრედიტაციის და ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით შექმნილი სირთულეები და სისტემის სიხისტე.

კერძოდ, აღნიშნა სტანდარტის განმარტებითი სახელმძღვანელო ბროშურის შექმნის და უმაღლესი სასწავლებლებისთვის მისი წინასწარ გაცნობის აუცილებლობა. რესპონდენტებმა, ექვევქვე დააყენეს, აგრეთვე, სააკრედიტაციო და ავტორიზაციის კომისიების შერჩევასთან დაკავშირებული საკითხები, რაც ხელს უწყობს არაჯანსაღ კონკურენციას და არასამართლიანი და მიკერძოებული გადაწყვეტილებების მიღების საფრთხის შემცველია. აღნიშნული რისკების გასაბათილებლად, მიზანშეწონილია, ავტორიზაციის და აკრედიტაციის კომისიებში საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობის გაძლიერება და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის ბიუჯეტის შესაბამისად გაზრდა.

აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული ამოცანა საკმაოდ დიდი რაოდენობის აქტივობებს მოიცავს. მათგან, რამდენიმე, შესაძლებელია ‘გამსხვილდეს’ და ინტეგრირებული ფორმულირება მიეცეს. ეს, განსაკუთრებით, სსიპ „ხარისხის განვითარების ცენტრის“ მიერ შესასრულებელ აქტივობებს ეხება, რომლის სამოქმედო გეგმაც, სავარაუდოდ, ინტეგრირებულია სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში.

რეკომენდაციები:

- სტრატეგიული ამოცანის შესრულების მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია და საჭიროებს მნიშვნელოვან ინტერვენციას როგორც ინდიკატორების, ასევე სპეციფიური ამოცანების გადახედვის და შედეგზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვის თვალსაზრისით.
- „ინტერნაციონალიზაციის“ ერთ-ერთი ინდიკატორი, შესაძლებელია იყოს, საქართველოდან განხორციელებული სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული კადრების მობილობა საზღვარგარეთ და უცხოელი სტუდენტების, აკადემიური კადრების მობილობა საქართველოს უნივერსიტეტებში. აგრეთვე, უცხოელი სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც საქართველოში იღებენ უმაღლეს განათლებას. აღნიშნული მონაცემების ერთ-ერთ ვალიდურ წყაროდ, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას Erasmus+ ეროვნული ოფისის და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის რეესტრის მონაცემები.
- ამოცანის შესრულების უფრო რელევანტურ ინდიკატორებად, შესაძლებელია განისაზღვროს საქართველოს უნივერსიტეტებში საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე პროგრამების განხორციელება, ორმაგი დიპლომების გაცემის, ერთობლივი ხარისხის მინიჭების მაჩვენებლის ზრდა და სხვ.

- უმაღლესი განათლების ხარისხის გაზრდის მიზნით, აუცილებელია უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების პრინციპის გადახედვა და დაფინანსების შესაბამისი ფორმულის განსაზღვრა, წარმატებული საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.
- უმაღლესი განათლების დაფინანსების პრინციპის და წესის ცვლილებამ, შესაძლებელია გამოიწვიოს უმაღლესში ჩასარიცხად არსებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების წესის შეცვლაც, რისი დაშვებაც არ იქნება მიზანშეწონილი უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი მოდელის შემუშავებისა და ზოგადი განათლების შეფასების პრინციპებთან დაკავშირების და შესაბამისი რისკების შეფასების გარეშე.
- უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და აგრეთვე, უცხოელი სტუდენტების მოზიდვა, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული, როგორც სასწავლო, ასევე საცხოვრებელ გარემოზე. უმაღლესი განათლების პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტური საცხოვრებლების მშენებლობა/რეაბილიტაციას, რაც ხელს შეუწყობს როგორც უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას, ასევე, მის ინტერნაციონალიზაციასაც.
- ინტერნაციონალიზაციის კუთხით, მნიშვნელოვანია, აგრეთვე, საზღვარგარეთ, დისტანციურად მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს პოლიტიკის მომდევნო დოკუმენტებში.
- უმაღლესი განათლების სისტემის მოდერნიზაციისთვის, მიზანშეწონილია სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის ბენეფიციარების უმაღლეს სასწავლებლებში დასაქმება და ამ მიზნით, შესაბამისი მექანიზმების შემუშავება.
- უცხოელ სტუდენტთა მოსაზიდად, უნდა შეიქმნას უწყებათაშორისი თანამშრომლობის პლატფორმები და ერთობლივი სამოქმედო გეგმები.
- უნდა შემუშავდეს სტუდენტური საცხოვრებლების მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროგრამა.
- უნდა დაიხვეწოს და გამარტივდეს უმაღლესი სასწავლებლების ავტორიზაციასა და აკრედიტაციასთან დაკავშირებული რეგულაციები და უმაღლეს სასწავლებლებთან კომუნიკაციის სტრატეგია.
- მიზანშეწონილია საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობის გაძლიერება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის კომისიებში და სსიპ ხარისხის განვითარების ცენტრის ბიუჯეტის შესაბამისად გაზრდა.
- მიზანშეწონილია, რომ სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში მხოლოდ სსიპ-ის ძირითადი აქტივობები იყოს განსაზღვრული სტრატეგიული ამოცანების შესაბამისად, ხოლო ქვე-აქტივობები და ღონისძიებები გაიწეროს სსიპ-ის სამოქმედო გეგმით.

სტრატეგიული ამოცანა 2: მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ეფექტიანი შესაძლებლობების შექმნა

ამოცანის შესრულების ინდიკატორი: წინარე სწავლის აღიარების შემთხვევების რაოდენობა პროფესიულიდან უმაღლეს განათლებაში

ზოგადი მიგნებები:

ე.წ. „საგანმანათლებლო ჩიხების“ აღმოფხვრის უზურნველსაყოფად მომზადებულია პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონი. კანონის ამოქმედების შემდეგ შეიქმნება სამართლებრივი საფუძველი მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის კონცეფციის რეალიზებისათვის.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) ხელშეწყობით, საპილოტე რეჟიმში ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო კომპონენტის შეტანა პროფესიულ სწავლებაში. პილოტირების შედეგად შემუშავდება სისტემური ცვლილებები, რაც შესაძლებლობას მისცემს პროფესიული კოლეჯების სტუდენტებს, სურვილის შემთხვევაში, სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში გააგრძელონ.

ვინაიდან, საანგარიშო პერიოდში არ ყოფილა გათვალისწინებული პროფესიული განათლების უმაღლეს განათლებაში აღიარების მექანიზმების დანერგვა, შესაბამისად, შეუძლებელია ამოცანის მიღწევის პროგრესის შეფასება ინდიკატორთან მიმართებით.

რეკომენდაციები:

- კანონის ძალაში შესვლისთანავე უნდა გაძლიერდეს ძალისხმევა პროფესიული განათლების უმაღლეს განათლებაში აღიარების მექანიზმების შესამუშავებლად და დასანერგად.
- სამინისტრომ, ყველად დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, უნდა შეიმუშავოს პოლიტიკა, რომელიც სისტემურ ცვლილებებს გაითვალისწინებს სტრატეგიული ამოცანის მისაღწევად.

სტრატეგიული ამოცანა 3: ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა

შესრულების სტატუსი - სტრატეგიული ამოცანა მოიცავს 1 სპეციფიკურ ამოცანას და 1 აქტივობას


ამოცანის შესრულების ინდიკატორი:

1. მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა უმაღლეს განათლებაში


„სოციალური პროგრამის ფარგლებში 2016 წ. დაფინანსება მოიპოვა სხვადასხვა კატეგორიის 1382-მა სტუდენტმა (მათ შორის 46 შშმ პირი), ხოლო 2017 წ. - 1361-მა სტუდენტმა (მათ შორის - 46 შშმ პირი). 2016 წ. სასწავლო სამაგისტრო გრანტი მოიპოვა სხვადასხვა კატეგორიის 69 სტუდენტმა (მათ შორის 11 შშმ პირი), ხოლო 2017 წ. - 93-მა სტუდენტმა (მათ შორის - 9 შშმ პირი). 2016 წელს დაფინანსდა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული 905 სტუდენტი, ხოლო 2017 წელს - 1179 სტუდენტი. 2016 წელს დაფინანსდა აფხაზეთში მცხოვრები 3 სტუდენტი, ხოლო 2017 წელს - 4 სტუდენტი“.

ცხრილი 12:


სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სტუდენტები



სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსებული სტუდენტები



გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული და აფხაზეთში მცხოვრები დაფინანსებული სტუდენტები



2. სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ დაფინანსების სხვადასხვა შესაძლებლობებით

სახელმწიფო სასწავლო გრანტებისა და სამაგისტრო გრანტების პროგრამების ფარგლებში ყოველწლიურად დაფინანსებას მოიპოვებს 32000-მდე სტუდენტი საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის ვადით.

სახელმწიფო სრულად აფინანსებს ბაკალავრიატის პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლას. აღნიშნულ პროგრამებზე 20000-მდე სტუდენტი ფინანსდება 4 წლის განმავლობაში.

2016 წლიდან მოქმედებს მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი (60 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამები. 2016 წელს აღნიშნულ პროგრამებზე სწავლა დაუფინანსდა 276 პირს, ხოლო 2017 წელს - 473 პირს.

ზოგადი მიგნებები :

სტრატეგიული ამოცანის შესასრულებლად მნიშვნელოვანი პროგრამები იქნა დაგეგმილი და განხორციელებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

კერძოდ, ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს სტუდენტთა დაფინანსების სხვადასხვა პროგრამას: სახელმწიფო სასწავლო გრანტებისა და სამაგისტრო გრანტების პროგრამები, სოციალური პროგრამები ბაკალავრებისა და მაგისტრანტებისთვის, მათ შორის შშმ პირებისთვის, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების, აფხაზეთში მცხოვრები სტუდენტების ხელშეწყობისა და სხვა პროგრამები. მოქმედებს სპეციალური, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა („1+4“) აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი სტუდენტებისთვის. სახელმწიფო სრულად აფინანსებს ბაკალავრიატის პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლას. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი (60 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამების მოქმედება საქართველოს სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებში.

უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე, სოციალური პროგრამის ფარგლებში ფინანსდებიან: მაღალმთიანი და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონში მცხოვრები, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა შვილები, სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებულთა შთამომავლები, უდედმამო, მრავალშვილიანი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ოკუპირებული ტერიტორიების საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრები, სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი და სოციალურად დაუცველი სტუდენტები. 2017 წელს პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 2 520 000 ლარს. 2017 დაფინანსება მოიპოვა სხვადასხვა კატეგორიის 1361-მა სტუდენტმა.

უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე, სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსდნენ სხვადასხვა კატეგორიის სტუდენტები. პროგრამის ბიუჯეტი 2017 წელს შეადგენდა 205 000 ლარს. პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი მოიპოვა სხვადასხვა კატეგორიის 93-მა სტუდენტმა. აღსანიშნავია, **გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების პროგრამა** და მის ფარგლებში დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა წინა წლებთან შედარებით (2013-2014 სასწავლო წელს სახელმწიფომ დააფინანსა აღნიშნული კატეგორიის 471 სტუდენტის სწავლის საფასური, ხოლო 2016-2017 სასწავლო წელს დაფინანსდა - 1179 სტუდენტი. **აფხაზეთში მცხოვრები სტუდენტების ხელშეწყობის მიზნით** 2017 წელს დაფინანსდა 4 სტუდენტი (2017 წელს პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 20 000 ლარს). **ეთნიკური უმცირესობების სწავლის ხელშეწყობისთვის** მოქმედებდა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა („1+4“), რომელზე ჩარიცხვაც ხორციელდება მხოლოდ ერთი გამოცდის (მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ან სომხურენოვანი ტესტები) შედეგების საფუძველზე. ყოველწლიურად ფინანსდება 100 აზერბაიჯანულენოვანი და 100 სომხურენოვანი სტუდენტი, რაც მოიცავს 1 წლის მანძილზე ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე სწავლის დაფინანსებას და ბაკალავრიატში სწავლის დაფინანსებას 4 წლის განმავლობაში (დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამით - 6 წლის განმავლობაში, ხოლო დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით - 5 წლის განმავლობაში). 2016 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა 960-მა აბიტურიენტმა, ხოლო 2017 წელს 1046-მა აბიტურიენტმა.

აქტიურად დაიწყო მუშაობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების სისტემის მოდიფიცირებაზე. აღნიშნულ პროცესში უშუალოდ ჩართულია მსოფლიო ბანკი. მიმდინარეობს კონსულტაციები როგორც უნივერსიტეტებთან ასევე საერთაშორისო ექსპერტებთან.

ინდიკატორებთან მიმართებაში, ამ ეტაპზე, შეუძლებელია სრულყოფილი ინფორმაციის მიღება მაღალი აკადემიური ქულების მქონე სტუდენტების რაოდენობის შესახებ, რადგან არ არსებობს ერთიანი ბაზა.

რაც შეეხება მეორე ინდიკატორს, დაფიქსირებულია მნიშვნელოვანი პროგრესი: 2016 წელს უცხოელი სტუდენტების რაოდენობა შეადგენდა 6342 სტუდენტს, ხოლო 2017 წელს - 9475 სტუდენტს.

რეკომენდაციები:

- უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის კუთხით, აუცილებელია ადაპტირებული რესურსების შემუშავება სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის.
- მიუხედავად დადებითი დინამიკისა სტატისტიკურ მონაცემებში, მნიშვნელოვანია ძალისხმევის გაზრდა საზოგადოების ყველა სხვა მოწყვლადი ჯგუფის (მაგ. მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებნი, და სხვ.) მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად.
- გასათვალისწინებელია, აგრეთვე, მიგრანტთა განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები და შესაბამისი პროგრამების დაფინანსება, რაც საერთაშორისო ვალდებულებებითაცაა ნაკარნახევი.
- ხელმისაწვდომობის ერთ-ერთი კომპონენტია, აგრეთვე, არამხოლოდ სწავლის ხელმისაწვდომობა, არამედ - სასწავლო გარემოსიც, რაც საცხოვრებელი პირობებით დაკმაყოფილებასაც მოიცავს. შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ზემოაღნიშნული მოწყვლადი ჯგუფების საერთო სტუდენტური საცხოვრებლით ან ცხოვრების ალტერნატიული ფორმით უზრუნველყოფა.
- ხელმისაწვდომობის არეალის გაფართოებისთვის, ალტერნატიულ შესაძლებლობად მოაზრებული უნდა იყოს დისტანციური სწავლება, რაც შესაძლებელია, უფრო ხარჯეფექტური იყოს, ვიდრე სხვადასხვა პროგრამა, რომელიც გარდა სწავლის დაფინანსებისა, საცხოვრებლით უზრუნველყოფასაც უნდა მოიცავდეს.
- არსებული ინდიკატორები არ არის შესაბამისი ამოცანაში მითითებული "ხარისხიანი განათლების" გასაზომად. დასამატებელია ინდიკატორი მოწყვლადი ჯგუფების აკადემიური მოსწრების შედეგების ზრდის, უმაღლესში ჩარიცხული მოწყვლადი ჯგუფების/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების პირთა და ამავე ჯგუფების უმაღლესდამთავრებულთა თანაფარდობის კლების მაჩვენებელი და ა.შ. მიზანშეწონილია დაემატოს ინდიკატორი: „იმ დოქტორანტების თანაფარდობის ზრდა, რომლებიც განათლების სისტემაში არიან დასაქმებულნი“.
- აღნიშნულ ამოცანასთან მიმართებით, ასევე, უნდა დაემატოს „გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების“ დოკუმენტში ასახული საქართველოსთვის მისადაგებული ინდიკატორი: „4.5.1: თანასწორობის მაჩვენებლები (ქალი/მამაკაცი, სოფლად/ქალაქში მცხოვრები, სიღარიბის ყველაზე მაღალი/ დაბალი კვინტილის მქონე და სხვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მკვიდრი მოსახლეობა და კონფლიქტით დაზარალებული პირები) უმაღლესი განათლების სისტემაში“.
- ზოგადად, უმაღლეს განათლებაზე მოთხოვნის, მისი მიმზიდველობის, ხელმისაწვდომობის და ხარისხის შესაფასებლად, მიზანშეწონილია კვლევის

ჩატარება, რომელიც დაადგენს, უმაღლეს განათლების დაწესებულებებში ბაკალავრიატის პირველ კურსზე ჩარიცხულთა დინამიკას წლების მიხედვით, მათგან თუ რამდენი პროცენტი აგერძელებს მაგისტრატურაზე და მაგისტრთა რამდენი პროცენტი - დოქტორანტურაზე სწავლას.

4.2.5. მეცნიერება

სპეციფიკური მიზანი: მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის მოდერნიზაცია და ინტერნაციონალიზაცია ახალი ცოდნის შექმნისათვის და ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის

მიზნის ინდიკატორი: პუბლიკაციების რაოდენობის ზრდა საერთაშორისო მონაცემთა ბაზაში; პატენტების რაოდენობის ზრდა; ციტირების ინდექსის ზრდა

სტრატეგიული ამოცანა 1: მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში გამორჩეული ხარისხის მისაღწევად საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) ეკო-სისტემის განვითარება.

შესრულების სტატუსი: სტრატეგიული ამოცანის მისაღწევად სამოქმედო გეგმაში განისაზღვრა 7 ამოცანა და 30 აქტივობა, რომელთაგან 13 - ნაწილობრივ შესრულდა, 1- შესრულდა და 16 - მიმდინარეა.

სტრატეგიული ამოცანის შესრულების ინდიკატორები:

1. შიდა, სექტორებს შორის და ინტერდისციპლინარული ერთობლივი პროექტებისა და პროგრამების რაოდენობა

ზოგადი მიგნებები :

საანგარიშო პერიოდში დაიწყო მუშაობა მეცნიერების და ტექნოლოგიების განვითარების ხელშესაწყობად მარეგულირებელი დოკუმენტების სრულყოფისთვის, რისთვისაც შეიქმნა შესაბამისი სამუშაო ჯგუფები. სამუშაო ჯგუფებში დაინტერესებულ მხარეთა მიერ აღინიშნა მაღალი ხარისხის კვლევითი აქტივობების დროულად განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემები და გამოწვევები და შემოთავაზებული იქნა ხედვა შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე შეფასების

პროცესში, რესპონდენტებმა აღნიშნეს, განსაკუთრებით, შესყიდვების წესთან დაკავშირებული პრობლემები და მისი ცვლილების აუცილებლობა.

სტრატეგიული ამოცანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარება. ამ მიზნით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მიერთებული და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში 2017 წელს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის გაწეული სამუშაოების ხარჯმა შეადგინა 4,196,829.90 ლარი, რაც აღმატება 2016 წლის ხარჯს. მთლიანად, სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის ბიუჯეტმა 2017 წ. შეადგინა 21,662,103.00 ლარი, რაც მეტია 2016 წლის ბიუჯეტთან შედარებით. პროგრამით გათვალისწინებულმა აქტივობებმა გარკვეული გავლენა იქონია პროგრამების მიღწეულ შედეგებზე: გაიზარდა პუბლიკაციების რაოდენობა, ახალგაზრდების ჩართვა სამეცნიერო კვლევით მუშაობაში.

კვლევითი ინფრასტრუქტურის ნაწილია, აგრეთვე, კვლევითი აპარატურით უზრუნველყოფა და აღჭურვილობა. ამ მიმართულებით, აღსანიშნავია, სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის განახლების, მოდერნიზებისა და მცირე ბიუჯეტის კომპონენტების შექმნის შესაძლებლობის გათვალისწინება შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შრესფ) მიერ ადმინისტრირებული კონკურსების მოთხოვნებში.

საქართველოს კვლევებისა და ინოვაციის კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით, საანგარიშო პერიოდში, დაიწყო ევროკომისიის მიერ პოლიტიკის მხარდამჭერი ინსტრუმენტის Policy Support Facility - იმპლემენტაცია. პროექტის ფარგლებში ჩატარდა არსებული მდგომარეობის შესწავლა და საჭიროებათა ანალიზი, რომლის საფუძველზეც ევროკავშირის ექსპერტების მიერ შემუშავდება რეკომენდაციები, რომელიც დაკავშირებულია სტრატეგიული ამოცანის მიღწევასთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევითი ინსტიტუტების/ცენტრების დაფინანსების მოდელთან დაკავშირებული რეკომენდაციები და დაფინანსების შეაბამისი ფორმულის ბმა უნივერსიტეტების/ცენტრების სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების შესრულების ინდიკატორებთან (performance based block funding).

სტრატეგიული ამოცანის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, აგრეთვე, საერთაშორისო პარტნიორობა, რომლის წარმატებული მაგალითიცაა გერმანიის იულიხის ცენტრთან თანამშრომლობის შედეგად, შოთა რუსთაველის საქართველოს

ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებითა და ადმინისტრირებით, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში SMART EDM ლაბორატორიის ფუნქციონირება. აგრეთვე, შრესფ-ის და ფოლკსვაგენის ფონდის ერთობლივი საგრანტო კონკურსის შედეგად დაფინანსებული ერთობლივი 4 სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამა, სადაც თითოეულში ჩართულია 10-მდე დოქტორანტი და მინიმუმ 1 პოსტდოქტორანტი საქართველოს მხრიდან (2016 წელს შრესფ-ის მიერ დაფინანსებული იყო 8 სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამა; აქედან 4 პროგრამა იყო სრულიად ახალი სტრუქტურირებული პროგრამა და მათგან 2-მა 2017 წელს უკვე გაიარა პროგრამული აკრედიტაცია).

2017 შოთა შრესფ-ს მიერ დაფინანსდა 86 საგრანტო პროექტი ფუნდამენტური კვლევებისათვის, რაც 2016 წელს ამავე საგრანტო კონკურსში დაფინანსებული მაჩვენებლის იდენტურია. დასრულდა გრანტების მენეჯმენტის უნიფიცირებული ელექტრონული სისტემის შემუშავება.

სტრატეგიული ამოცანის ინდიკატორთან უშუალო კავშირშია კვლევების საგრანტო განახლებული დებულება და ახალი კონცეფცია, სადაც ყურადღება მახვილდება მეცნიერებისა და კერძო სექტორის თანამშრომლობის გაძლიერებაზე, ინტერდისციპლინურ, ინტერ-ინსტიტუციურ და ინტერ სექტორულ კვლევაზე, შემდგომი კომერციალიზაციის პერსპექტივით. კონცეფციის შეფასებისა და განხილვის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები საქართველოს ინოვაციებისა და ტენოლოგიების სააგენტოს (GITA) და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული სააგენტოს (SAKPATENTI) წარმომადგენლები. კონცეფცია დამტკიცებულია ფონდის საერთაშორისო საკოორდინაციოს საბჭოს მიერ (სადაც შედიან მინისტრი, მინისტრის მოადგილე, პრემიერმინისტრის აპარატის ხელმძღვანელი, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოწინავე კვლევითი სააგენტოებისა და უნივერსიტეტების წარმომადგენლები, მათ შორის CERN-ის ყოფილი დირექტორი, ERC ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, ლუნდის უნივერსიტეტის, დეროვანი უჯრედების ცენტრის დირექტორი, ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის სადოქტორო სწავლების საბჭოს მმართველი საბჭოს თავმჯდომარე, ოქსფორდის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს წევრი).

საგულისხმოა, რომ, მიუხედავად სტრატეგიული ამოცანის მისაღწევად სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული რელევანტური აქტივობებისა, საანგარიშო პერიოდში, არ დაფიქსირებულა პროგრესი ინდიკატორთან მიმართებით - არ შექმნილა შიდა, სექტორებს შორის და ინტერდისციპლინარული ერთობლივი პროექტები და პროგრამები. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, რამდენადაც, აქტივობების უმრავლესობა მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას მოითხოვდა

(ძირითადად, საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებას, კონცეფციის შემუშავებას და ა.შ.) და შესაბამისად, შედეგიც უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში მიიღწევა, ვიდრე საანგარიშო პერიოდია, საფუძველს მოკლებულია სტრატეგიული ამოცანის მიღწევის ეფექტურობის/ეფექტიანობის შეფასება პირველი წლის შედეგებზე დაყრდნობით.

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ინდიკატორი სრულად არ შეესაბამება სტრატეგიულ ამოცანას. კერძოდ, მეცნიერების, ტექნოლოგიების და ინოვაციების ეკოსისტემის განვითარების დონის გასაზომად „შიდა, სექტორებს შორის და ინტერდისციპლინარული ერთობლივი პროექტებისა და პროგრამების რაოდენობის“ მაჩვენებელი არ არის საკმარისი და რელევანტური.

რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია, რომ მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების პოლიტიკა პასუხობდეს ქვეყნის მდგრადი განვითარების პოლიტიკას, რისთვისაც უნდა გაძლიერდეს თანამშრომლობა და კოორდინაცია სხვადასხვა სამთავრობო უწყებასა და კერძო სექტორს შორის მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სფეროში და შემუშავდეს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა.
- მიზანშეწონილია საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსა და რუსთაველის სამეცნიერო ფონდის სტრუქტურული გაერთიანების შესაძლებლობის განხილვა, რაც მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში საქმიანობის სინერგიას, ჰარმონიაციას და სახელმწიფო დონეზე, ამ სფეროში განხორციელებული ინტერვენციების ეფექტიანობას შეუწყობდა ხელს.
- უნდა შეფასდეს და მეცნიერების პოლიტიკის მომდევნო დოკუმენტებში უნდა აისახოს სამეცნიერო ინსტიტუტების უნივერსიტეტებთან სრული ინტეგრაციის საკითხები.
- აღნიშნული ინდიკატორი არ არის საკმარისი სტრატეგიული ამოცანის შესრულების ხარისხის გასაზომად. მიზანშეწონილია დაემატოს ისეთი ინდიკატორები, როგორცაა, მაგალითად: სამეცნიერო და კვლევითი დაწესებულებების/სტრუქტურების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის/განვითარების პროექტების რაოდენობა და დაფინანსება, ინოვაციების და ტექნოლოგიების დაფინანსების მაჩვენებელი, მეცნიერების წილის ზრდა მშპ-ში, დაფინანსებული მკვლევარების და დოქტორანტების რაოდენობა და სხვ.

სტრატეგიული ამოცანა 2: ქვეყანაში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) როლის, სტატუსისა და ღირებულების გაძლიერება და მისი, როგორც ქვეყნისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, ეროვნული პრიორიტეტის პოზიციონირება.

შესრულების სტატუსი: სტრატეგიული ამოცანის მისაღწევად სამოქმედო გეგმაში განისაზღვრა 2 ამოცანა და 4 აქტივობა, რომელთაგან 2- ნაწილობრივ შესრულდა, 2- შესრულდა.

ამოცანის შესრულების ინდიკატორები:

1. ახალგაზრდა მკვლევრების რაოდენობა


მიმართულებები: ინჟინერია და მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

2016 წელს მაგისტრატურის სტუდენტების რაოდენობა ინჟინერიის მიმართულებით შეადგენდა 1560-ს; მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით - 640-ს. დოქტორანტურის სტუდენტების რაოდენობა ინჟინერიის მიმართულებით - 478 მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით - 287 .

2017 წელს მაგისტრატურის სტუდენტების რაოდენობა ინჟინერიის მიმართულებით შეადგენდა 1476-ს, მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით - 670-ს. დოქტორანტურის სტუდენტების რაოდენობა ინჟინერიის მიმართულებით შეადგენდა - 549, მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით - 288.

ცხრილი 13:


ახალგაზრდა მკვლევართა რაოდენობა



2. სამაგისტრო და სადოქტორო კვლევითი პროექტების რაოდენობა

„2016 წლის მონაცემებით, დაფინანსებული იყო 76 დოქტორანტი და 58 მაგისტრი
2017 წლის მონაცემებით, დაფინანსებულია 41 დოქტორანტი და 22 მაგისტრანტი“

ცხრილი 14: მკვლევართა მხარდაჭერა



ზოგადი მიგნებები:

ქვეყანაში მეცნიერებისა და ინოვაციების პოპულარიზაციის მიზნით, ჩატარდა მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი 2017, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 60-მდე დაწესებულებამ. წარმოდგენილი იყო 250-ზე მეტი სხვადასხვა სამეცნიერო და შემეცნებით-გასართობი ღონისძიება, მათ შორის: ELSEVIER ის საინფორმაციო დღე და სამუშაო სემინარი, CERN-ში მოღვაწე ქართველი მეცნიერების საანგარიშო ლექციები და სხვა.

მიმდინარეობდა მოლაპარაკებები და მოსამზადებელი სამუშაოები ჟურნალ National Geographic-თან თანამშრომლობისთვის, საუკეთესო სამეცნიერო პროექტების პოპულარიზაციის მიზნით. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2017 წლის საგრანტო კონკურსში დაფინანსდა 5 პროექტი მოსწავლეთა მონაწილეობით მოსწავლე მკვლევარ-გამომგონებელთა კონკურსში "ლეონარდო და ვინჩი" გაიცა 4 პრიზი. სტატისტიკური მონაცემების და მონიტორინგის ანგარიშის მიხედვით, ინდიკატორებთან - ახალგაზრდა მკვლევარების რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით, 2017 წელს მნიშვნელოვანი პროგრესი არ ფიქსირდება და აუცილებელია ამ მიმართულებით ძალისხმევის გააქტიურება.

აღსანიშნავია, რომ ზემომითითებული ინდიკატორები, არ იძლევა სტრატეგიული ამოცანის - „ქვეყანაში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) როლის, სტატუსისა და ღირებულების გაძლიერების და მისი, როგორც ქვეყნისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, ეროვნული პრიორიტეტის პოზიციონირების“ - შესრულების ხარისხის გაზომვის შესაძლებლობას.

რეკომენდაციები:

- მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების პოპულარიზაციის მიმართულებით შესაბამისი აქტივობები იქნა განსაზღვრული, სტრატეგიული ამოცანის მისაღწევად აუცილებელია შესაბამისი ხედვის შემუშავება.
- მიზანშეწონილია მას-მედიის ჩართულობის/სატელევიზიო და ელექტრონული კამპანიის გაძლიერება.
- მიზანშეწონილია ნიჭიერი ქართველი მკვლევარებისა და გამომგონებლების საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობის ხელშეწყობა და მსგავსი ტიპის კონკურსების საქართველოში ჩატარების მხარდაჭერა.
- მეცნიერებისა და ტექნოლოგიების პრიორიტეტები მეტად უნდა იყოს დაკავშირებული ქვეყნის მდგრადი განვითარების სტრატეგიულ პრიორიტეტებთან, რისთვისაც უნდა გაძლიერდეს უწყებათაშორისი თანამშრომლობა და შეიქმნას შესაბამისი პლატფორმები.

- სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს და შესაბამისად, მომდევნო პოლიტიკის დოკუმენტებში უნდა იყოს ასახული მეცნიერების და ტექნოლოგიების სფეროს მოწინავე დარგებში რეგიონული კვლევითი და სამეცნიერო ჰაბის შექმნა საქართველოში.
- უნდა შეიქმნას მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მონაცემთა მართვისა და მონიტორინგის სისტემა.
- ახალგაზრდა მკვლევარების რაოდენობის ზრდის მისაღწევად, აუცილებელია სერიოზული სიღრმისეული კვლევა და შემდგომი კონკრეტული ქმედებების დაგეგმვა.
- აღნიშნული ინდიკატორები მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება სტრატეგიულ ამოცანას.
- ინდიკატორი უნდა შეესაბამებოდეს, აგრეთვე, „გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებით“ განსაზღვრულ ეროვნულ ინდიკატორებს: „ახალგაზრდა მკვლევართა თანაფარდობის მაჩვენებელი (მილიონ მოსახლეზე, ხანდაზმულებთან შეფარდებით)“. გასათვალისწინებელია, რომ ინდიკატორი მოითხოვს როგორც სამინისტროს ადმინისტრაციული მონაცემებს, ასევე სოციოლოგიური კვლევის ჩატარებასაც.

სტრატეგიული ამოცანა 3: საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) სისტემის ინტერნაციონალიზაცია და დაფინანსების რესურსების დივერსიფიცირება

შესრულების სტატუსი: სტრატეგიული ამოცანის მისაღწევად სამოქმედო გეგმით განისაზღვრა 2 სპეციფიკური ამოცანა და 9 აქტივობა, რომელთაგან 2 სრულად შესრულდა, 5 ნაწილობრივ შესრულდა, 2 - მიმდინარეა.

სტრატეგიული ამოცანის შესრულების ინდიკატორი:

1. STI დაფინანსების ზრდა საერთაშორისო და კერძო წყაროებიდან

ზოგადი მიგნებები :

ინტერნაციონალიზაციის კუთხით მნიშვნელოვანი აქტივობები იქნა ჩატარებული 2017 წელს. საგულისხმოა ევროკავშირის დახმარება პროგრამა „ჰორიზონტის“ ფარგლებში საქართველოს მონაწილეობით წარდგენილი და დაფინანსებული პროექტების გაზრდილი რაოდენობა და დაფინანსება, რომელიც ორჯერ აღემატებოდა წინა წელთან შედარებით ევროკავშირის დაფინანსებას (2017 წელს გამარჯვებულ პროექტებში მონაწილე ქართულმა ორგანიზაციებმა, დაფინანსების

სახით, ევროკომისიისგან მიიღეს, ჯამში, 876,312.00 ევრო, ხოლო 2016 წელს - 424,070.00 ევრო). წარდგენილი საპროექტო განაცხადებიდან, 10%-მდე პროექტმა გაიმარჯვა. 2017 წლის საანგარიშო პერიოდში ჯამში ჩატარდა 17 საინფორმაციო დღე და საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ეძღვნებოდა ჰორიზონტი 2020 პროგრამას, მასში მონაწილეობის მიღების წესებსა, სტრატეგიულ რჩევებს და გამოცხადებულ კონკურსებს. ჰორიზონტი 2020 პროგრამასთან დაკავშირებით, ყოველდღიურ რეჟიმში განხორციელდა 100-ზე მეტი ინდივიდუალური კონსულტაცია.

აღსანიშნავია, 2017 წელს ჩატარებული შემდეგი ღონისძიებები: საერთაშორისო კონფერენცია „საქართველოს ასოცირებული სტატუსი მარი სკლოდოვსკა-კიურის პროგრამების კონტექსტში“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ევროკომისიის წარმომადგენლებმა და აღნიშნული პროგრამით დაფინანსებულმა ქართველმა მკვლევარებმა, ევროპული კვლევების საბჭოსა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ერთობლივი ორგანიზებით გამართული საერთაშორისო რეგიონალური კონფერენცია „ERC - მთელს მსოფლიოში გამორჩეული მკვლევარების მხარდაჭერა“, რომელშიც ევროპული კვლევების საბჭოს მაღალი თანამდებობის პირებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს აღმოსავლეთ პარტნიორობის 6 ქვეყნის სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლებმა. ჩატარდა ევროკავშირის სხვადასხვა სამეცნიერო პროგრამის საინფორმაციო დღეები.

შრესფ-ს მიერ, ერთობლივად იყო ადმინისტრირებული, ბილატერალური საგრანტო კონკურსები უკრაინის მეცნიერების და ტექნოლოგიების ცენტრთან და ასევე, იტალიის, საფრანგეთის, თურქეთის სამეცნიერო ფონდებთან. გაფორმდა ხელშეკრულება Clarivate Analytics-თან, რის შედეგადაც 14 ინსტიტუციას წვედომა ექნება სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე (Web of Science დასხვ.) სადაც ინდექსირებულია 16 000 წამყვანი სამეცნიერო ჟურნალი მეცნიერების ყველა სფეროში.


საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებსა და ქსელებთან წვდომის კუთხით, აღსანიშნავია „ჰორიზონტი 2020“ პროგრამით დაფინანსებული პროექტი GN4-2 Research and Education Networking – GÉANT, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს უნივერსიტეტების (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და სხვა) ჩართულობას GÉANT-ის ქსელში და მაღალი სიჩქარისა და უსაფრთხო ინტერნეტ-კავშირს ევროპის წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან.

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა უხცოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით კვლევების დაფინანსების ახალი სქემა.

დაფინანსების დივერსიფიკაციის კუთხით მნიშვნელოვანი იყო, აგრეთვე, სხვა საერთაშორისო წყაროებიდან მოზიდული ფინანსების ზრდა, რაც განაპირობა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის წარმატებულმა თანამშრომლობამ გერმანიის DAAD-ისა და Volkswagen-ის ფონდებთან. კერძოდ, ერთობლივი საგრანტო კონკურსის შედეგად, დაგეგმილი 1 პროექტის ნაცვლად, დაფინანსება მოიპოვა გერმანია - საქართველოს ერთობლივმა 4 სტრუქტურირებულმა სადოქტორო პროგრამამ.

მიუხედავად მეცნიერების ინტერნაციონალიზაციის კუთხით მიღწეული გარკვეული ხარისხის პროგრესისა, მეცნიერების და კვლევების სახელმწიფო დაფინანსების ზრდისა, კვლავაც გამოწვევად რჩება დაფინანსების დივერსიფიკაციის საკითხი - კერძო წყაროებიდან კვლევებზე და ინოვაციებზე მიმართული დაფინანსებები. შესაბამისად, სტრატეგიული ამოცანა მხოლოდ ნაწილობრივ იქნა მიღწეული საანგარიშო პერიოდში და არ შეინიშნებოდა პროგრესის პროგნოზირების საფუძველი.

ცხრილი: 15



რეკომენდაციები:

- უნდა გააქტიურდეს კერძო სექტორთან, ინდუსტრიულ კომპანიებთან თანამშრომლობა მეცნიერებისა და კვლევების მრეწველობასთან თანამშრომლობის გაძლიერების კუთხით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ მნიშვნელოვან სამეცნიერო და ინდუსტრიულ ცენტრებში დასაქმებული წარმატებული ქართველების რესურსისა და პოტენციალის გამოყენება ამ კუთხით.
- უნდა გააქტიურდეს დონორ ორგანიზაციებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა მეცნიერების განვითარების მიმართულებით. (მაგ. კორეის სახელმწიფო გრანტები, აზიის ბანკის, ჩინეთის სახელმწიფო გრანტი, და სხვ.).
- უნდა გააქტიურდეს საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან, მეცნიერებისა და კვლევების დაფინანსების მიზნით.

- უნდა გააქტიურდეს მცირე და საშუალო საწარმოების წახალისება ინოვაციების ვაუჩერებით.
- აღნიშნული ინდიკატორი არ არის საკმარისი ამოცანის მიღწევის ხარისხის გასაზომად. ინტერნაციონალიზაციასთან მიმართებით, სასურველია, დაემატოს ისეთი ინდიკატორები, როგორცაა: ქართველი მეცნიერების მობილობის მაჩვენებელი უცხოეთის სამეცნიერო და კვლევით სტრუქტურებში, ქართველ მკვლევართა პუბლიკაციები რეფერირებად საერთაშორისო სამეცნიერო პერიოდიკაში, ციტირების ინდექსი და სხვ.

4.2.6. მეთოდოლოგია და ინსტიტუციური განვითარება

გარდა, წინა ქვეთავებში აღნიშნული მიგნებებისა და რეკომენდაციებისათვის თითოეული სტრატეგიული ამოცანის მიღწევასთან დაკავშირებით, სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, აგრეთვე, მეთოდოლოგიური და ინსტიტუციური სახის ფაქტორები, რამაც გავლენა მოახდინა მის ეფექტურობაზე.

ინსტიტუციურ დონეზე, მოსალოდნელია, რომ 2018 წელს სამინისტროში განხორციელებული რეორგანიზაცია/რესტრუქტურის შედეგად სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი და სტრატეგიული დაგეგმვის სამმართველოს შექმნა ხელს შეუწყობს პოლიტიკის დაგეგმვის ეფექტურობას. ამ მხრივ, მიზანშეწონილია აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის ადამიანური რესურსების და შესაძლებლობების განვითარება. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის მდგრადობა მნიშვნელოვანია ინსტიტუციური მეხსიერების არსებობისთვისაც, რაც ხშირად იკარგება სამინისტროს მენეჯმენტის ხშირი ცვლილების გამო. „ინსტიტუციური მეხსიერებისთვის“, აგრეთვე, უაღრესად მნიშვნელოვანია პოლიტიკის შემუშავებაში სამოქალაქო საზოგადოების და ექსპერტების ჩართულობა, რომელთაც წლების მანძილზე დაუგროვდათ გამოცდილება და გააჩნიათ ინსტიტუციური მეხსიერება.

- უკეთ უნდა ჩამოყალიბდეს განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიის საგნისა და ველის ხედვა: განათლების სტრატეგია მიმდინარე ფორმით მოიცავს საკმაოდ განსხვავებულ სფეროებს დაწყებული სკოლამდელი განათლებიდან და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობით დამთავრებული. განსხვავებულია სამინისტროს მხრიდან ამ სფეროების რეგულირებისა და მათზე ზემოქმედების დონეც. იმისათვის, რომ საერთო სტრატეგიულ დოკუმენტს გააჩნდეს პრაქტიკული ღირებულება, სასურველია, ის ფოკუსირებული იყოს ზოგად

მიზნებსა და ამოცანებზე და აყალიბებდეს წარმატების კონკრეტულ ინდიკატორებს კონკრეტულ სფეროებში, ხოლო ამ ამოცანებთან დაკავშირებული საქმიანობის მიმართულებები და პროგრამები გაწერილი უნდა იყოს ცალკე, განათლების სექტორულ სტრატეგიაში.

- **უნდა გადაიხედოს განათლების სტრატეგიის ჩარჩოსა და პრინციპების მეთოდოლოგია:** განათლების სტრატეგია უნდა ეყრდნობოდეს განათლების ერთიანი სისტემის, მისი სხვადასხვა მიმართულებისა და საფეხურის სინერჯისა და ჰარმონიული ურთიერთდამოკიდებულების უზრუნველყოფის ძირითად 1-2 სვეტს (ვერტიკალს), რაშიც ყველა დონეზე იქნება ინტეგრირებული გამჭოლი და ჰორიზონტალური თემები, როგორცაა ხელმისაწვდომობა, ინტერნაციონალიზაცია, დიგიტიზაცია, ხარისხის უზრუნველყოფა და სხვ. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული პრინციპით პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებისას, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის დოკუმენტებთან კორელაცია.
- **აუცილებელია სისტემური მიდგომა და დაფინანსების მოცულობის გაზრდა სტრატეგიის განხორციელებაში გამოკვეთილი გამოწვევების საპასუხოდ:** უნდა მოხდეს კერძო სექტორის, საერთაშორისო დონორების, ფინანსური ინსტიტუტების მხარდაჭერის მობილიზაცია, განათლების სახელმწიფო ბიუჯეტის გაზრდა და ეფექტური დაბალანსება მიზნებისა და სტრატეგიული ამოცანების შესაბამისად.
- **უნდა დაიხვეწოს მიზნების, სტრატეგიული ამოცანებისა და ინდიკატორების ფორმულირება და ერთმანეთთან შესაბამისობა და ინდიკატორების გლობალურ ინდიკატორებთან თავსებადობა:** პოლიტიკის დოკუმენტებში ასახული მიზნები, ამოცანები და ინდიკატორები უნდა იყოს მტკიცებულებებზე - სარწმუნო კვლევებზე და სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაფუძნებული, უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფო თუ საერთაშორისო ვალდებულებებს, მათ შორის, „გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს“.
- **სტრატეგიული დაგეგმარების და პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის პროცესი სამინისტროს მუშაობის ღერძს უნდა წარმოადგენდეს:** პოლიტიკის დაგეგმარება არ უნდა იყოს განხილული, როგორც ცალკე „ბიზნეს პროცესი“, რომლის ამოცანაც სტრატეგიის დოკუმენტის გენერირებაა. დღევანდელი მიდგომა იწვევს რეალობის პარალელური, ბიუროკრატიული პროცესის წარმოშობას, რომელიც ზედმეტადაა დამოკიდებული გარე ექსპერტებზე და ნაკლებად ახდენს გავლენას რეალობაზე. განათლების პოლიტიკის ჩამოყალიბება

და მის განხორციელებაზე დაკვირვება და შეფასება სამინისტროს ძირითად ფუნქციად უნდა იყოს განხილული და გამჭოლად უნდა გადაითარგმნოს ადმინისტრაციულ პროცესებში - ხედვის ჩამოყალიბებიდან (პოლიტიკური დონე), ამოცანების ფორმულირების (მაღალი დონის სახელმწიფო მოხელეები), განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების ფორმირების დონეებამდე, რასაც ებმის პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ დონეზე კონსულტაციებისა და ბენეფიციარებთან კავშირის პროცესები. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დაგეგმარების რეგულარული, დროში გაწერილი ციკლის ჩამოყალიბება და მისი განუხრელად დაცვა. დაგეგმარების წარუმატებელი, ნაჩქარევი პროცესები ანგრევს მონაწილეების მხრიდან კუთვნილების შეგრძნებას და უარყოფით ზეგავლენას ახდენს მათ ეფექტურობაზე.

- **უნდა მოხდეს პოლიტიკის დაგეგმარების ფუნქციის პროფესიონალიზაცია და ამ ფუნქციის სინქრონიზება მთავრობის ადმინისტრაციის დონეზე:** დაგეგმარების ხარისხიანი პროცესი პროფესიულ კადრებს მოითხოვს. აუცილებელია სამინისტროში და მის დაქვემდებარებულ უწყებებში არსებული დაგეგმარების სტრუქტურული ერთეულების შესაძლებლობათა ფუნქციური ანალიზი, მათთვის შესაბამისი ხარისხის საკადრო რესურსების მობილიზება და საჭიროებათა და მოთხოვნილებათა შესაბამისი გადამზადება.
- **დაგეგმარების გასაუმჯობესებლად, განათლების ყველა მიმართულებით უნდა გაძლიერდეს სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება.** ამ მიზნით, მიზანშეწონილი სსიპ „განათლების საინფორმაციო მართვის ცენტრის“ გაძლიერება, როგორც დაფინანსების, ასევე ადამიანური რესურსების თვალსაზრისითაც. ცენტრი უნდა ფლობდეს უნივერსალურ პორტალს, სადაც განათლების ყველა მიმართულებით არსებული ელექტრონული პლატფორმები და რესურსები იქნება ინტეგრირებული და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, შესაძლებელი გახდება ნებისმიერი სახის აგრეგირებული თუ დისაგრეგირებული მონაცემების წარმოება.
- **უნდა შეიქმნას დაინტერესებული მხარეების სისტემატური ჩართულობის მექანიზმი დაგეგმარებისა და შეფასების პროცესში:** დაინტერესებული მხარეები, როგორც მთავრობას შიგნით, ისე მის გარეთ (უნივერსიტეტები, სამოქალაქო და კერძო სექტორი, სამთავრობო უწყებები, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები და სხვ.) პოლიტიკის შემუშავების განუყოფელი მონაწილეები არიან. მათი ეფექტური ჩართულობა მოითხოვს მდგრადი საკონტაქტო პირებისა და პროგნოზირებადი პროცესების არსებობას, რაც საშუალებას მისცემს

პარტნიორებს დაგეგმონ თავიანთი მონაწილეობა და უკეთესი ხარისხის ინფორმაცია და ექსპერტიზა მიაწოდონ პოლიტიკის დაგეგმარების ჯგუფს.

- უნდა შეიქმნას ბენეფიციარებთან სისტემატური უკუკავშირის მექანიზმები: განათლების სისტემას უამრავი ბენეფიციარი ჰყავს. პოლიტიკის შემუშავების პროცესში მათი პირდაპირი მონაწილეობა არარეალისტურია. შესაბამისად, მათი დამოკიდებულების შესახებ სტატისტიკურად ვალიდური ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი მეთოდოლოგიურად უნდა იყოს გამართული და რეგულარულად ხორციელდებოდეს.

4.3. განხორციელება

რამდენად ხერხდება სტრატეგიაში დასახული ამოცანების მიღწევა განხორციელებისას გამოყენებული მეთოდებით, პროგრამებითა და აქტივობებით? რამდენად მიიღწევა სინერგია სტრატეგიაში ასახული სხვადასხვა მიმართულებით განსახორციელებელ საქმიანობებს შორის, სტრატეგიის საბოლოო მიზნის მისაღწევად?

სტრატეგიის დოკუმენტის და მისი განხორციელების მონიტორინგის ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი. კერძოდ, სტრატეგიის სპეციფიკურ მიზნებს შორის (განათლების სხვადასხვა სექტორს/მიმართულების შესაბამისი) სუსტი ბმა და ერთიანი ჯაჭვის, ხედვის ბუნდოვანება, სტრატეგიის საყოველთაო მიზნის - ხარისხიანი განათლების უწყვეტობის მისაღწევად.

სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან შეხვედრისას, გამოითქვა მოსაზრება სტრატეგიის დოკუმენტის სტრუქტურისა და შემუშავების მეთოდოლოგიის/პრინციპის გადახედვის შესაძლებლობის შესახებ, რაც გულისხმობს, მაგალითად, სამინისტროს საერთო დოკუმენტის ფოკუსირებას ორ ელემენტზე: ა) სტრატეგიული დონის მიზნებზე და ამოცანებზე, შესაბამისი გავლენის ინდიკატორების განსაზღვრით; და ბ) გამჭოლ საკითხებზე (მაგ. ინკლუზიური განათლება, განათლების ხელმისაწვდომობა, ინტერნაციონალიზაცია, განათლების ხარისხის უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურის განვითარება და ა.შ.), რომლებიც ინტეგრირებული იქნება

ყველა სექტორულ პროგრამაში. ასეთ შემთხვევაში, სექტორული სტრატეგიები, საერთო ხედვის ფარგლებში ჩამოყალიბებული ამოცანებისა და ინდიკატორების საფუძველზე, ცალკე პროცესის სახით შეიქმნება.

საგულისხმოა, აგრეთვე, განათლების სხვადასხვა სექტორს შორის სინერჯის და სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს შორის კოორდინაციის ნაკლებობა. მაგალითისთვის, აღსანიშნავია, რომ არც „განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021“-ში და არც სამოქმედო გეგმაში არ არის ასახული სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელოვნებო და სასპორტო უმაღლესი და ე.წ. სკოლისგარეშე სასწავლებლებისა და მათი სტატუსისა და სპეციფიკის შესაბამისი ამოცანები, რაც ცალსახად უნდა იყოს გათვალისწინებული პოლიტიკის მომდევნო დოკუმენტებში. სინერჯის ნაკლებობა აღინიშნება, აგრეთვე, განათლების სექტორების საჯარო პოლიტიკის სხვა სექტორებთანაც.

სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და უნივერსიტეტების რექტორებთან საუბრებისას აღინიშნა სუსტი ურთიერთკავშირი და ბმა სტრატეგიის სხვადასხვა კომპონენტებს შორის. მაგ., ერთის მხრივ, დაწყებითი და საშუალო განათლების კომპონენტების სუსტი კავშირში სკოლამდელი და უმაღლესი განათლების კომპონენტებთან, მეორეს მხრივ, კი, პროფესიული განათლებისა და მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის კომპონენტები, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ამოვარდნილია განათლების საერთო კონტექსტიდან. გამოითქვა მოსაზრება, არა მხოლოდ სტრატეგიულ, არამედ სამუშაო დონეზე სამინისტროს სხვადასხვა დარგობრივი და არადარგობრივი დეპარტამენტისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ-ები) საქმიანობის უკეთ კოორდინირების აუცილებლობის შესახებაც.

აგრეთვე, აღინიშნა ისიც, რომ, სტრატეგიის დაფარვის უაღრესად ფართო ველი - სკოლამდელი განათლებიდან მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებამდე სფეროების ჩათვლით, ბენეფიციარებისა და აქტორების მრავალ ჯგუფს მოიცავს, რომელთა მიმართაც სამინისტროს სხვადასხვა დონის პასუხისმგებლობა და ამ სფეროებზე ზემოქმედების განსხვავებული ხარისხი გააჩნია. მაგალითად, თუკი დაწყებითი და საშუალო განათლება სავალდებულოა და მთლიანად სამინისტროს რეგულირებისა და მართვის სფეროს განეკუთვნება, სკოლამდელი განათლების დაწესებულებები (საბავშვო ბაღები) ადგილობრივი თივთმმართველობის დაქვემდებარებაშია, ხოლო უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო დაწესებულებები ავტონომიურია, ან სულაც კერძოა (შპს ან ააიპ სამართლებრივი

ფორმით დაფუძნებული).

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, რომ სამოქმედო გეგმა უკეთ უნდა იყოს ინტეგრირებული საბიუჯეტო დაგეგმარების პროცესთან. პირველადი ანალიზით გამოიკვეთა, რომ პოლიტიკის დაგეგმარებისა და საბიუჯეტო დაგეგმარების პროცესებს შორის არსებული ნაპრალი პრაქტიკაში აირეკლება, როგორც გარღვევა მიზნებს/ამოცანებსა და კონკრეტულ პროგრამებს/აქტივობებს შორის. სამოქმედო გეგმები შესაბამისობაში უნდა იყოს, როგორც საშაულოვადიან სამოქმედო გეგმებთან და ბიუჯეტთან, ასევე თავსებადი იყოს სახელმწიფო უწყებებში დანერგილ ფინანსური კონტროლისა და მართვის სისტემასთან.

5. რეკომენდაციების შეჯამება/სამომავლო გეგმები

5.1. მიზნის/სტრატეგიული ამოცანების მიღწევასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციები

სკოლამდელი განათლება:

- უნდა დასრულდეს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ერთიანი რეესტრის შემუშავება და მონაცემების ინტეგრირება განათლების საინფორმაციო მართვის სისტემის ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში;
- მუნიციპალიტეტებს დახმარება უნდა გაუწიოს სამინისტრომ სკოლამდელი აღზრდის სტანდარტებისა და სასკოლო მზაობის პროგრამების დანერგვასა და მონიტორინგში და თვითმმართველობებთან ერთად უნდა შემუშავდეს სკოლამდელი დაწესებულებების საგანმანათლებლო დამხმარე რესურსებით უზრუნველყოფის პროგრამა;
- სკოლამდელი განათლების მიღების ალტერნატიული შესაძლებლობები უნდა იყოს შეთავაზებული სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, (მაგ. სკოლამდელი აღზრდისა და სასკოლო მზაობის პროგრამის ინტეგრირება სასკოლო ინფრასტრუქტურაში, სკოლამდელი აღზრდის პროგრამის ე.წ. საოჯახო სივრცეში ადაპტაცია და ამ ოჯახების სუბსიდირება და სხვ.);

- უნდა ჩატარდეს ხარისხობრივი კვლევა, რომელიც დაადგენს თუ რა შედეგი მოიტანა სკოლამდელი აღზრდის პილოტურ დაწესებულებებში სასკოლო მზაობის პროგრამის დანერგვამ და რა გავლენა იქონია დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა შედეგებზე;
- სასკოლო მზაობის პროგრამის დანერგვის მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით უნდა მოხდეს აქტივობების კორექტირება მომავალი წლების სამოქმედო გეგმებში;
- უნდა გაგრძელდეს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა (მაგ, UNICEF) პროგრამის სრულყოფილად დანერგვის და მისი განხორციელების მონიტორინგის მიზნით;
- უნდა მოხდეს სკოლამდელი დაწესებულებების აღზრდელ-პედაგოგთა, მეთოდისტთა კვალიფიკაციის შესაბამისი პროგრამების დაფინანსება უმაღლეს სასწავლებლებში და გადამზადების პროგრამების დანერგვა.
- პოლიტიკის მომდევნო დოკუმენტებში ერთ-ერთ სტრატეგიულ ამოცანად უნდა განისაზღვროს ინკლუზიური სკოლამდელი განათლების პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა.

ზოგადი განათლება:

- მიზანშეწონილია სწავლის შედეგების შეფასების ჩატარება ზოგადი განათლების თითოეული საფეხურის ბოლოს, რათა შესაძლებელი გახდეს საფეხურების შესაბამისად სწავლა/სწავლების ნაკლოვანებების გამოვლენა, ხარისხის გაუმჯობესებაზე რეაგირება და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება.
- უნდა მოხდეს CAT-ის გამოცდის მიზანშეწონილობის გადახედვა და ამ მიზნით გამოყოფილი რესურსის სხვა მიმართულებით გადატანა და CAT-ის გამოცდის ალტერნატიული მექანიზმებით დაბალანსების პოლიტიკის შემუშავება
- პრიორიტეტად უნდა განისაზღვროს ინვესტიციის გაზრდა სამასწავლებლო რესურსების განვითარებაში.
- უნდა შეფასდეს „მასწავლებელთა წინსვლის სქემის“ ეფექტურობა და შემუშავდეს მისი ჩანაცვლების/მოდერნიზაციის პოლიტიკა.
- სკოლების კვალიფიციური მასწავლებლებით დაკომპლექტებისთვის, უნდა გაიზარდოს სკოლის პედაგოგთა კვალიფიკაციის შესაბამისი პროგრამების დაფინანსება უმაღლეს სასწავლებლებში.

- „მეფინგის“ საფუძველზე, მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს სკოლების რეაბილიტაციის და ინფრასტრუქტურული განვითარების მასშტაბები, ინვესტიცია და გეოგრაფიული დაფარვა.
- უნდა შემუშავდეს ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების პოლიტიკა განათლების მიწოდების ალტერნატიული შესაძლებლობების შეთავაზების ჩათვლით.
- უნდა შემუშავდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ზოგადი განათლების უზრუნველყოფის პოლიტიკა და გამოიყოს შესაბამისი რესურსები.
- მიზანშეწონილია პილოტურ სკოლებში დანერგილი ახალი სასწავლო გეგმის ფართოდ გაზიარება და დანერგვა სხვა სკოლებშიც.
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრთან კოორდინაციით, სკოლებს უნდა დაევალოთ შიდა ხარისხის მექანიზმების შემუშავება და დანერგვა.
- უნდა შემუშავდეს „თანამედროვე სასკოლო გარემოს“ სტანდარტი და ჩატარდეს „მეფინგი“ სკოლებში საგანმანათლებლო გარემოს შესაფასებლად.
- უნდა გააქტიურდეს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და კულტურულ - შემოქმედებით აქტივობებში ჩართულობის მიმართულებით პროგრამების და აქტივობების შემუშავება.
- „მეფინგის“ საფუძველზე, უნდა შემუშავდეს სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაციის პროგრამა.
- უნდა გაძლიერდეს სკოლებში თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებისა და მისი სასწავლო პროცესში გამოყენების პროგრამა, ციფრული კულტურის განვითარების აქტივობები სასკოლო სივრცეში.
- აუცილებელია სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის გაძლიერება, როგორც ფინანსურად, ასევე ადამიანური რესურსების თვალსაზრისითაც. უნდა შემუშავდეს ცენტრის თანამშრომლების ტრენინგის პროგრამები, ჩატარდეს კვლევები შესაბამისი სასწავლო მოდულების იდენტიფიცირებისთვის. უნდა მოხდეს გადამზადებულ მასწავლებელთა გარე შეფასება.
- პოლიტიკის მომდევნო დოკუმენტებში უნდა მოხდეს მიზნის და სტრატეგიული ამოცანების ინდიკატორების ფორმულირების გადახედვა და გლობალური ინდიკატორების გათვალისწინება.

პროფესიული განათლება;

- უნდა გაძლიერდეს უწყებათაშორისი/დარგთაშორისი, სახელმწიფო და კერძო სექტორის თანამამშრომლობა და ერთობლივი პოლიტიკის შემუშავება მიზნის მისაღწევად. პოლიტიკის დოკუმენტში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული თითოეული დაინტერესებული მხარის/აქტორის ვალდებულებები და ინდიკატორები, რომლის შესაბამისადაც უნდა მოხდეს თითოეული მხარის მიერ ანგარიშგება.
- უნდა გაიზარდოს დუალური პროგრამების რაოდენობა და გაძლიერდეს საერთაშორისო თანამშრომლობა პროფესიულ კვალიფიკაციათა ევროპულ ჩარჩოსთან ჰარმონიზაციის მიზნით.
- უნდა შემუშავდეს პროფესიული განათლების მართვის უნარების განვითარების მხარდაჭერი პოლიტიკა.
- ქმედითი აქტივობები უნდა გატარდეს ზრდასრულთა განათლებისა და არაფორმალური განათლების ფორმალიზებასთან დაკავშირებული ამოცანების მისაღწევად, მათ შორის, სახელოვნებო და სასპორტო განათლების მიმართულებით.
- მომავალ სტრატეგიულ ამოცანად უნდა განისაზღვროს პროფესიული სწავლების ინფრასტრუქტურის განვითარება. აგრეთვე, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარება და დანერგვა.
- უნდა მოხდეს პროფესიული განათლების მიმწოდებელთა ქსელის დივერსიფიცირება და კერძოდ სექტორში არაფორმალური განათლების მიმწოდებლების ფორმალური ტრენინგის მიწოდებაში ჩართვის მექანიზმების დანერგვა.
- უნდა შემუშავდეს პროფესიული განათლების პოპულარიზაციისა და მიმზიდველობის საკომუნიკაციო სტრატეგია და პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის ერთიანი სისტემის განვითარების ხედვა.

უმაღლესი განათლება

- უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით უნდა დაჩქარდეს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ქსელში (ENQA) და „ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ევროპულ რეესტრში“ (EQAR) , „უმაღლესი განათლების აკრედიტაციის ევროპულ კონსორციუმში“ (ECA) გაწევრიანება, რაც მნიშვნელოვანია ეროვნული დიპლომების საერთაშორისო აღიარებისთვის.

- უნდა შემუშავდეს სტუდენტური საცხოვრებლებით უზრუნველყოფის პროგრამა და გაიზარდოს ბიუჯეტი.
- უნდა შეიცვალოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის მოდელი, რომელიც მერიტოკრატიაზე უნდა იყოს დაფუძნებული.
- უნდა შეიცვალოს უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების არსებული მოდელი, რომელიც უდს-ეების მიერ სწავლებისა და კვლევითი საქმიანობების შესრულების შედეგებთან (performance based) იქნება დაკავშირებული.
- უნდა შემუშავდეს და დაინერგოს საზღვარგარეთ, დისტანციურად მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების მექანიზმები;
- უნდა შეიქმნას უწყებათაშორისი თანამშრომლობის პლატფორმები და ერთობლივი სამოქმედო გეგმები უცხოელ სტუდენტთა მოსაზიდად.

მეცნიერება

- როგორც მინიმუმ, შენარჩუნებული უნდა იყოს მეცნიერების დაფინანსების ზრდის მაჩვენებელი;
- უნდა შემუშავდეს მეცნიერების და კვლევების დაფინანსების დივერსიფიკაციის პოლიტიკა და გაძლიერდეს სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან, ფონდებთან, კერძო სექტორთან პარტნიორობა.
- უნდა შემუშავდეს მეცნიერების კომერციალიზაციის პოლიტიკა.
- უნდა შემუშავდეს მეცნიერების მართვის ეფექტური მოდელი - უნდა შეიქმნას მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მონაცემთა მართვისა და მონიტორინგის სისტემა და დაინერგოს ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) სტანდარტები მეცნიერების მენეჯმენტში.
- უნდა გაიზარდოს ორმხრივი თანამშრომლობის და ერთობლივი პროგრამები და გაძლიერდეს ევროკავშირის სამეცნიერო-კვლევით სივრცეში ინტეგრაციის მექანიზმები.
- უნდა შემუშავდეს სამეცნიერო ინსტიტუტების უნივერსიტეტებთან ინტეგრაციის პოლიტიკა.
- მომდევნო პოლიტიკის დოკუმენტებში უნდა იყოს ასახული მეცნიერების და ტექნოლოგიების სფეროს მოწინავე დარგებში რეგიონული კვლევითი და სამეცნიერო ჰაბის შექმნა საქართველოში.
- პოლიტიკის მომდევნო დოკუმენტებში უნდა დაიხვეწოს მეცნიერებისა და კვლევების მიმართულებით ლოგიკური ჩარჩო - რელევანტური სტრატეგიული ამოცანები და ინდიკატორები უნდა იყოს განსაზღვრული.

6. დანართები

6.1. ფოკუს ჯგუფების მონაწილეები

შეფასების პროცესში სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარდა შემდეგი 4 ფოკუს-ჯგუფი :

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობა მიიღო სამინისტროს ყველა დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელმა. აღნიშნულ ფოკუს ჯგუფს შესავალ ნაწილზე ესწრებოდა მინისტრის მოადგილე, ქალბატონი ნათია ზედგინიძე.
2. ინკლუზიური განათლების მიმწოდებლები და ბენეფიციარები. ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობა მიიღეს სპეციალური საჭიროებების მქონე სკოლის მოსწავლეთა მშობლებმა, სკოლების დირექტორებმა და მულტიდისციპლინური გუნდის მასწავლებლებმა.
3. პილოტური სკოლები. ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობა მიიღეს იმ პილოტური სკოლების მოსწავლეთა მშობლებმა, მასწავლებლებმა, დირექტორებმა, სადაც დაწყებით საფეხურზე დაინერგა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა.
4. სამოქალაქო საზოგადოება და დონორი ორგანიზაციები. ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობა მიიღეს განათლების და მეცნიერების სხვადასხვა სფეროში აქტიურმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, დამოუკიდებელმა ექსპერტებმა და საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციებმა.

6.2 კითხვარები

ფოკუს ჯგუფი 1:

განათლების და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტები და სსიპები:

1. რამდენად გრძნობთ, რომ თქვენი წვლილი შეიტანეთ განათლების მიმდინარე სტრატეგიის ჩამოყალიბებაში? როგორ მონაწილეობდით ამ პროცესში?

- რამდენად სტრუქტურირებული იყო სტრატეგიის შემუშავების პროცესი და რამდენად იყვნენ სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფები ჩართული მის მომზადებაში?
- რა გავლენა იქონია სტრატეგიის შემუშავების პროცესმა სტრატეგიის განხორციელებაზე და მიზნების მიღწევაზე?

2. რამდენად არის მიზნები/სტრატეგიული ამოცანები მიღწეული?

- რამდენად შეესაბამება კონკრეტული პროგრამები, პროექტები, გამოყენებული მეთოდები ცვალებად მიზნებსა და ამოცანებს?
- როგორ და რამდენად უკავშირდება ერთმანეთს სტრატეგიის სხვადასხვა მიმართულებები, სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების უკეთ მისაღწევად?
- რამდენად ხერხდება სტრატეგიაში დასახული ამოცანების მიღწევა განხორციელებისას გამოყენებული მეთოდებით/პროგრამებით და აქტივობებით?

3. რამდენად შეიცვალა თავად სამინისტროსა და დაქვემდებარებულ უწყებებში სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების აღქმა დოკუმენტის შემუშავების დროიდან?

- რამდენად „ცოცხალი დოკუმენტი“ სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა?
- რა უნდა შეივალოს პოლიტიკის მომდევნო დოკუმენტებში?

4. თქვენი აზრით, რამდენად კარგად შეესაბამება კონკრეტული პროგრამები, პროექტები, გამოყენებული მეთოდები ცვალებად მიზნებსა და ამოცანებს?

- რამდენად არსებობს უკუკავშირი სტრატეგიასა და კონკრეტულ პროგრამებს შორის (ახდენენ თუ არა მოხელეები პროგრამების შედეგების ანალიზს ამოცანებთან მიმართებაში და რამდენად/როგორ ხდება ამ ანალიზის გათვალისწინება?)
- იჩინა თუ არა განხორციელებისას თავი რაიმე ახალმა ტენდენციებმა, რომელიც გასათვალისწინებელია ინდიკატორებში? უფრო ზოგადად, სტრატეგიაში?

5. რამდენად შეესაბამება სტრატეგიის ამოცანების მისაღწევად მიმდინარე აქტივობები ბენეფიციარების მოთხოვნილებებს?

- რამდენად კმაყოფილი არიან ბენეფიციარები იმ პროგრამებით, პროექტებით, თუ გამოყენებული მეთოდებით, რაც სტრატეგიით იყო გათვალისწინებული?
- უკუკავშირის როგორი მექანიზმები არსებობს ბენეფიციარებთან?

ფოკუს ჯგუფი 2:

**ინკლუზიური განათლების (სკოლების) ბენეფიციარების მშობლები,
მულტიდისციპლინური გუნდის მასწავლებლები (ინკლუზიური განათლება)**

1. რამდენად გრძნობთ, რომ სახელმწიფოს გააჩნია განათლების სისტემის ერთიანი ხედვა?

- იცით თუ არა სტრატეგიის არსებობისა და მისი არსის შესახებ?
- რამდენად უკავშირდება ერთმანეთს სწავლების სხვადასხვა დონეზე არსებული ინიციატივები? (მშობლების/მასწავლებლების მოლოდინები - შეძლებენ შვილები/მოსწავლეები რეფორმებისას მიღებული უპირატესობების/ადაპტირებული პროგრამების გამოყენებას განათლების უფრო მაღალ საფეხურებზე?)

2. რამდენად ითვალისწინებს ახალი პროგრამები მასწავლებლებისა და მშობლების მოთხოვნილებებს?

- რამდენად პირველხარისხოვანია განხორციელებული ცვლილებები თქვენთვის? როგორია თქვენი გამოცდილება და დამოკიდებულება?
- რამდენად ჩართულად გრძნობენ მშობლები თავს პროცესში?
- რამდენად თვლიან მასწავლებლები, რომ მათ მიერ მიღებულ გამოცდილებას ითვალისწინებენ სამინისტროში, დაგეგმარებისას?

3. რა სახის განათლების სისტემა სჭირდება ქვეყანას მომავალში?

- რა სახის მხარდაჭერა გჭირდებათ სამინისტროსაგან მომავალში?

ფოკუს ჯგუფი 3:

პილოტური სკოლების ბენეფიციარები, მასწავლებლები, მშობლები (თემები: დაწყებითი საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა, სამოქალაქო განათლება, სახელმძღვანელოები, სკოლების ინფრასტრუქტურული მდომარეობა)
პლიუს 15 პილოტური სკოლა, სადაც დაინერგა ახალი სასწავლო გეგმა (UNICEF-ის)

1. რამდენად გრძნობთ, რომ სახელმწიფოს გააჩნია განათლების სისტემის ერთიანი ხედვა?

- იცით თუ არა სტრატეგიის არსებობისა და მისი არსის შესახებ?
- რამდენად უკავშირდება ერთმანეთს სწავლების სხვადასხვა დონეზე არსებული ინიციატივები?
- როგორია თქვენი მოლოდინები - შეძლებენ თუ არა თქვენი შვილები/მოსწავლეები რეფორმებისას მიღებული უპირატესობების/ადაპტირებული პროგრამების გამოყენებას განათლების უფრო მაღალ საფეხურებზე?

2. რამდენად ითვალისწინებს ახალი პროგრამები მასწავლებლებისა და მშობლების მოთხოვნილებებს?

- რამდენად მნიშვნელოვანია განხორციელებული ცვლილებები თქვენთვის? როგორია თქვენი გამოცდილება და დამოკიდებულება?
- რამდენად ჩართულად გრძნობენ მშობლები თავს პროცესში?
- რამდენად თვლიან მასწავლებლები, რომ მათ მიერ მიღებულ გამოცდილებას ითვალისწინებენ სამინისტროში, დაგეგმარებისას?

3. რამდენად ახდენს გავლენას ახალი სასწავლო გეგმები და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე?

- რა შეიცვალა ბავშვის სწავლისადმი დამოკიდებულებაში?
- როგორ შეიცვალა მასწავლებლების მიერ ახალი სასწავლო გეგმების აღქმა და როგორ აფასებენ რეფორმის ცვლილებებს?

4. რა სახის მხარდაჭერა გჭირდებათ სამინისტროსაგან მომავალში?

- რაში გეხმარებათ ან ხელს გიშლით სამინისტრო?

ფოკუს ჯგუფი 4

არასამთავრობო/დონორი ორგანიზაციები

1. რამდენად გრძნობთ, რომ სახელმწიფოს გააჩნია განათლების სისტემის ერთიანი ხედვა?

- თქვენი აზრით, რამდენად უკავშირდება ერთმანეთს სწავლების სხვადასხვა დონეზე არსებული ინიციატივები?
- იჩინა თუ არა თავი რაიმე ახალმა ტენდენციებმა, რომელიც გასათვალისწინებელია სტრატეგიაში?

2. როგორ აფასებთ სტრატეგიაში დასახულ მიზნებს, ამოცანებსა და აქტივობებს?

- რამდენად კმაყოფილი ხართ იმ პროგრამებით, პროექტებით, თუ გამოყენებული მეთოდებით, რაც სტრატეგიით იყო გათვალისწინებული?
- რამდენად შეესატყვისება გამოყენებული საშუალებები დასახულ მიზანსა და ამოცანებს?
- რა ძირითადი ხარვეზები გააჩნია სტრატეგიის დოკუმენტს?

3. რა სახით წარმოგიდგენიათ არასამთავრობო სექტორის ჩართულობა განათლების სტრატეგიის ჩამოყალიბებაში, განხორციელებასა და მონიტორინგში?

- იცით თუ არა სტრატეგიის არსებობისა და მისი არსის შესახებ?
- როგორ აფასებთ სტრატეგიის შემუშავების პროცესს? იყავით თუ არა ჩართული?
- იყო თუ არა ასახული თქვენი მოსაზრებები/შეთავაზებები სტრატეგიაში?
- იყავით თუ არა ჩართულნი სტრატეგიის განხორციელებაში და თუ გამართლდა თქვენი მოლოდინები?
- რა სახით თვლით, რომ შეიძლება არასამთავრობო სექტორის ჩართულობის უზრუნველყოფა სტრატეგიის და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შეფასების პროცესში?

6.3 ნახევრად სტრუქტურირებული გასაუბრებები

შეფასების სტრუქტურირებული გასაუბრებები ჩატარდა 5 უნივერსიტეტის 9მათ შორის, განსხვავებული სამართლებრივი სტატუსის მქონე) რექტორებთან:

1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - გიორგი შარვაშიძე
2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - გიგა ზედანია
3. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია - რევაზ კვიციანი
4. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი - ზურაბ ვადაჭკორია
5. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი - მარიამ იოსელიანი

გასაუბრება ჩატარდა, აგრეთვე, UNICEF-ის განათლების პროგრამის ხელმძღვანელთან, მარიამ ყუფარაძესთან.

6.4 გაანალიზებული დოკუმენტები

- „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021 და სამოქმედო გეგმა 2017-2018“
- განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის (2017-2021წწ) სტრატეგიული ამოცანებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში
- Common Policy Monitoring, Reporting and Evaluation Systems
- განათლების და მეცნიერების სამინისტროს 2017-2020 წწ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა
- „გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები“
- საქართველოში სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევა - მოკლე მიმოხილვა - 2018 (UNICEF Georgia)

6.5 სტრატეგიის ლოგიკური ჩარჩო

მიზნის მიმართება	მიზნის დაამოყენების ფორმულირება	ინდიკატორები	შემომხმების საშუალება	კრიტიკული ვარაუდი
სპეციფიკური მიზანი 1 - სკოლამდელი განათლება	მაღალი ხარისხის სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სასკოლო ასაკის ბავშვების სკოლისთვის მომზადების უზრუნველყოფა	სკოლამდელი დაწესებულებების რაოდენობა, სადაც დანერგილია განათლების კომპონენტი	სკოლამდელი რეესტრი	ყველა დაინტერესებული მხარე თანამშრომლობს და აქტიურად არის ჩართული როცესებში
სტრატეგიული ამოცანა 1 - სკოლამდელი განათლება	სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის მაღალი ხარისხის, ინკლუზიური და თანაბრად ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა	სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების რიცხვის ზრდა, რომლებიც ახორციელებენ სასკოლო მზაობის პროგრამას სკოლამდელ დაწესებულებებში; სერტიფიცირებული აღმზრდელ პედაგოგების რაოდენობის ზრდის მაჩვენებელი.	მუნიციპალური სტატისტიკა	სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების მზაობა და აღმზრდელ პედაგოგთა მოტივაცია
სპეციფიკური მიზანი 2 - ზოგადი განათლება	მოსწავლეების მომავალი ცხოვრებისთვის მომზადების მიზნით მაღალი ხარისხის ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო შედეგების უზრუნველყოფა	მოსწავლეების აკადემიური შედეგების გაუმჯობესებული მაჩვენებელი	შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (NAEC) - CAT-ის შედეგები; PISA, PIRLS, TIMSS კვლევის შედეგები	შესაბამისი ფინანსური რესურსები მოხილვადია ამ მიმართულებით

სტრატეგიული ამოცანა 1 - ზოგადი განათლება	მაღალი ხარისხის ზოგადი განათლების თანაბარი, საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	ზოგადსაგანმანათლებლო დანესებულებებში სავალდებულო განათლების დონეზე სწავლის მიტოვების მაჩვენებლის კლება; სკოლის მიღმა დარჩენილ ბავშვების სკოლაში ინტეგრაციის მაჩვენებლის ზრდა	განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები	ყველა დანიტერესებული უწყებისა და საზოგადოების ჩართულობით უზრუნველყოფილი იქნება საკითხის პრიორიტეტულობა
სტრატეგიული ამოცანა 2 - ზოგადი განათლება	განათლების ხარისხის გაუმჯობესება სწავლის შემდგომ საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობების გაზრდის, მოსწავლეებში სასიცოცხლო უნარ-ჩვევების განვითარებისა და უკეთესი აკადემიური შედეგების მიღწევისათვის	ზოგადსაგანმანათლებლო დანესებულებების კურსდამთავრებულთა შედეგების გაუმჯობესება	შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (NAEC) სტატისტიკა	ამ მიმართულებით მობილიზებული იქნება ყველა საჭირო ადმინისტრაციული, ადამიანური და ფინანსური რესურსი
სტრატეგიული ამოცანა 3 - ზოგადი განათლება	საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესება	% თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ზოგადსაგანმანათლებლო დანესებულებების პროცენტული ზრდა	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (EQE) ავტორიზაცია	სახელმწიფოს მხრიდან გაგრძელდება ამ მიმართულებით დაფინანსების გაზრდა
სტრატეგიული ამოცანა 4 - ზოგადი განათლება	სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების მოტივაციისა და ეფექტურობის გაზრდა	მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და ნინსვლის სქემაში ზედა საფეხურზე გადასულ მასწავლებელთა რაოდენობის ზრდა	განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები	შემუშავდება და განხორციელდება წახალისების ეფექტური მექანიზმი
სტრატეგიული ამოცანა 5 - ზოგადი განათლება	ზოგადი განათლების ყველა დონეზე ეფექტური მართვის სისტემის განვითარება	სკოლების მონიტორინგის შედეგების გაუმჯობესება	ხარისხის ეროვნული ცენტრის ავტორიზაცია	სამინისტროს მიერ უზრუნველყოფილი იქნება ეფექტური შიდა და გარე კოორდინაცია

სპეციფიკური მიზანი 3 - პროფესიულ განათლება	ქვეყნის სოციო-ეკონომიკური განვითარების მხარდასაჭერად პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გაზრდა, მათი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა პროფესიული და ზოგადი უნარების განვითარების გზით	პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის მაჩვენებლის ზრდა	განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები	ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად, პროფესიულ განათლებაზე მოთხოვნა გაიზრდება, აღმოიფხვრება საგანმანათლებლო ჩიხები
სტრატეგიული ამოცანა 1 - პროფესიული განათლება და მომზადება	პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა და სისტემის ინტერნაციონალიზაცია	პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის ზრდა; დუალური პროგრამების რაოდენობის ზრდა;	Tracer -ის კვლევის შედეგები	კერძო სექტორთან თანამშრომლობა გაღრმავდება
სტრატეგიული ამოცანა 2 - პროფესიული განათლება და მომზადება	მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპზე დაფუძნებული პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	პროფესიული განათლებიდან განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებლის ზრდა; ზრდასრულთა განათლების პროგრამებში მონაწილეობის მაჩვენებლის ზრდა;	განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები, Tracer -ის კვლევის შედეგები	საზოგადოებაში ამაღლდება ცნობიერება მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის მნიშვნელობასთან დაკავშირებით
სტრატეგიული ამოცანა 3 - პროფესიული განათლება და მომზადება	პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და მიმზიდველობის გაზრდა	საზოგადოებრივი ცნობიერების დონის ზრდა პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებით	კვლევის შედეგები	სკოლებში დაინერგება პროფესიული განათლების კომპონენტი
სპეციფიკური მიზანი 4 - უმაღლესი განათლება	უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია და ხარისხიანი უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ზრუნველყოფა ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარებისა და დასაქმების გაუმჯობესებისათვის	მაღალი აკადემიური ქულების მქონე სტუდენტების რაოდენობის გაზრდა; უცხოელ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა;	გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის მონაცემები; განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის	სახელმწიფო გააგრძელებს მაღალი აკადემიური ქულების მქონე სტუდენტთა დაფინანსებასა და უცხოეთში ქართული უნივერსიტეტების

			მონაცემები	პოპულარიზაციას
სტრატეგიული ამოცანა 1 - უმაღლესი განათლება	უმაღლესი განათლების სისტემის შემდგომი მოდერნიზაცია, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და ხარისხის ამაღლება	უცხოენოვანი აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა; ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც ჩართულნი არიან სწავლებასა და კვლევაში.	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის EQE -ს მონაცემები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის TPDC-ს მონაცემები, უმაღლესი საგანმანათლებლო და კვლევითი დაწესებულებების სტატისტიკა	გაგრძელება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და უნივერსიტეტებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა
სტრატეგიული ამოცანა 2- უმაღლესი განათლება	მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ეფექტიანი შესაძლებლობების შექმნა	წინარე სწავლის აღიარების შემთხვევების რაოდენობა პროფესიულიდან უმაღლეს განათლებაში	Tracer კვლევა; განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის EMIS მონაცემები განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის EQE მონაცემები	შეიქმნება ყველა საჭირო ფორმალური მექანიზმი

<p>ტრატეგიული ამოცანა 3- უმაღლესი განათლება</p>	<p>ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა</p>	<p>მონყვლადი ჯგუფების წარმომადგენელი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა უმაღლეს განათლებაში;</p> <p>სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ დაფინანსების სხვადასხვა შესაძლებლობებით</p>	<p>განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის EMIS-ის მონაცემები; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატისტიკა; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის EQE-ს მონაცემები; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატისტიკა; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის EQE მონაცემები</p>	<p>ამ მიმართებით გამოყოფილი იქნება საკმარისი ფინანსური რესურსი</p>
<p>სპეციფიკური მიზანი 5 - მეცნიერება, ტექნოლოგია და ინოვაციები</p>	<p>მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის მოდერნიზაცია და ინტერნაციონალიზაცია ახალი ცოდნის შექმნისათვის და ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის</p>	<p>პუბლიკაციების რაოდენობის ზრდა საერთაშორისო მონაცემთა ბაზაში;</p> <p>პატენტების რაოდენობის ზრდა;</p> <p>ციტირების ინდექსის ზრდა.</p>	<p>საერთაშორისო მონაცემთა ბაზის სტატისტიკა;</p> <p>საქპატენტი;</p> <p>საერთაშორისო მონაცემთა ბაზის სტატისტიკა;</p>	<p>სახელმწიფო მაქსიმალურად ხელს შეუწყობს მეცნიერების განვითარებას ფინანსური მექანიზმებითა და საერთაშორისო კავშირების ხელშეწყობით</p>
<p>სტრატეგიული ამოცანა 1 - მეცნიერება, ტექნოლოგია და ინოვაციები</p>	<p>მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში გამორჩეული ხარისხის მისაღწევად საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) ეკო-სისტემის განვითარება;</p>	<p>შიდა, სექტორებს შორის და ინტერდისციპლინარული ერთობლივი პროექტებისა და პროგრამების რაოდენობა;</p> <p>ახალგაზრდა მკვლევარების რაოდენობა</p>	<p>ეროვნული სამეცნიერო ფონდის, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს GITA-სტატისტიკა.</p>	<p>შენარჩუნდება საკითხის პრიორიტეტულობა უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებში;</p>

<p>სტრატეგიული ამოცანა 2 - მეცნიერება, ტექნოლოგია და ინოვაციები</p>	<p>ქვეყანაში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) როლის, სტატუსისა და ღირებულების გაძლიერება და მისი, როგორც ქვეყნისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, ეროვნული პრიორიტეტის პოზიციონირება</p>	<p>სამაგისტრო და სადოქტორო კვლევითი პროექტების რაოდენობა</p>	<p>ეროვნული სამეცნიერო ფონდის პოსტ-დოქტორანტების, დოქტორანტებისა და მაგისტრანტების კონკურსების სტატისტიკა; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის EQE მონაცემები; უმაღლესი საგანმანათლებლო და კვლევითი დაწესებულებების სტატისტიკა;</p>	<p>გაგრძელება სკოლებსა და უნივერსიტეტებში მეცნიერების, კვლევებისა და ინოვაციების პოპულარიზაცია</p>
<p>სტრატეგიული ამოცანა 3 - მეცნიერება, ტექნოლოგია და ინოვაციები</p>	<p>საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) სისტემის ინტერნაციონალიზაცია და დაფინანსების რესურსების დივერსიფიცირება</p>	<p>STI დაფინანსების ზრდა საერთაშორისო და კერძო წყაროებიდან</p>	<p>უმაღლესი საგანმანათლებლო და კვლევითი დაწესებულებების სტატისტიკა;</p>	<p>გაღრმავდება საერთაშორისო თანამშრომლობა ევროპის კვლევისა და ინოვაციების ჩარჩო პროგრამასა და საერთაშორისო კვლევით ცენტრებთან</p>

6.6 შეფასების მატრიცა

შეფასების კითხვები	ქვე-კითხვები	ინდიკატორები/წყაროები	მასალები ანალიზი	ფოკუს ჯგუფები					გასაუბრებები
				დეპარტამენტები და სსიპ	მაწვავლებლები /შმობლები	მასწავლებლები /შმობლები	არასამთავრობოები/დონორები		
რამდენად არის მიზნები/სტრატეგიული ამოცანები მიღწეული?	რამდენადაა გამოყენებული ინდიკატორები საკმარისი და შესაბამისი მიზნების მიღწევის წარმატების ხარისხის გასაზომად?	<ul style="list-style-type: none"> ინდიკატორები იძლევა მიზნების მიღწევის ხარისხის შეფასების საშუალებას 	X						
	რამდენად შეიცვალა თავად სამინისტროსა და დაქვემდებარებულ უწყებებში სტრატეგიის აღქმა, მისი მიზნები და ამოცანები დოკუმენტის შემუშავების დროიდან?	<ul style="list-style-type: none"> ცვლილებების აღქმა 		X	X	X	X	X	X
	რამდენად შეესაბამება კონკრეტული პროგრამები, პროექტები, გამოყენებული მეთოდები ცვლებად მიზნებსა და ამოცანებს?	<ul style="list-style-type: none"> გამოყენებული ინსტრუმენტები და განხორციელებული საქმიანობა ადაპტირდება ცვლილებებთან 	X	X	X	X	X	X	X
	იჩინა თუ არა თავი რაიმე ახალმა ტენდენციებმა, რომელიც	<ul style="list-style-type: none"> ტენდენციების იდენტიფიცირება 	X	X	X	X			X

	გასათვალისწინებელია ინდიკატორებში? უფრო ზოგადად, სტრატეგიაში?	დაინტერესებული მხარეების მხრიდან						
რამდენად სტრატეგიის მისაღწევად აქტივობები ბენეფიციარების მოთხოვნილებებს?	შეესაბამება ამოცანების მიმდინარე	რამდენად კმაყოფილი არიან ბენეფიციარები იმ პროგრამებით, პროექტებით, თუ გამოყენებული მეთოდებით, რაც სტრატეგიით იყო გათვალისწინებული?	• ბენეფიციარების, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა მოსაზრებები	X	X	X	X	X
	უკუკავშირის მექანიზმები ბენეფიციარებთან?	როგორი არსებობს ბენეფიციარებთან?	• ბენეფიციარების, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა მოსაზრებები	X	X	X	X	X
რამდენად სინერგია ასახული მიმართულებით განსახორციელებელ საქმიანობებს, სტრატეგიის მიზნის მისაღწევად?	მიიღწევა სტრატეგიაში სხვადასხვა მიმართულებით	როგორ და რამდენად უკავშირდება ერთმანეთს სტრატეგიის სხვადასხვა მიმართულებები, სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების უკეთ მისაღწევად?	• სხვადასხვა მიმართულებებს შორის ურთიერთადაკატაცია • სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა მოსაზრებები	X	X			
	რა სტრუქტურული, ორგანიზაციული პროცედურული აქვს და სამინისტროს, მოახდინოს სტრუქტურული	სტრუქტურული, ორგანიზაციული და პროცედურული მექანიზმები აქვს და სჭირდება რათა უკეთ მოახდინოს სტრუქტურული	• დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები • დოკუმენტების ანალიზი	X	X	X	X	X

	<p>ერთეულებისა და დაინტერესებული მხარეების უკეთ კოორდინირება სტრატეგიაში დასახული მიზნების მისაღწევად?</p>	
<p>რამდენად ხერხდება სტრატეგიაში დასახული ამოცანების მიღწევა განხორციელებისას გამოყენებული მეთოდებით/პროგრამებით და აქტივობებით?</p>	<p>რა სახის მეთოდები, პროგრამები და აქტივობები გამოიყენებოდა სტრატეგიის მიზნისა და ამოცანების მისაღწევად?</p>	<ul style="list-style-type: none"> • მონიტორინგის ანგარიში • სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა და დაინტერესებული მხარეების მოსაზრება <p>X X X X X X</p>
	<p>რამდენად შეესატყვისება გამოყენებული საშუალებები დასახულ მიზანსა და ამოცანებს?</p>	<ul style="list-style-type: none"> • გამოყენებული საშუალებები/ინსტრუმენტები იმგვარადაა შერჩეული, რომ სასურველი და მდგრადი შედეგები მოიტანოს. <p>X X X X</p>
	<p>რამდენად ასახავს აქტივობების წარმატების შესაფასებლად გამოყენებული ინდიკატორები წინსვლას დასახული ამოცანების შესრულებისაკენ?</p>	<ul style="list-style-type: none"> • მონიტორინგის ანგარიშის ანალიზი • სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა მოსაზრებები <p>X X</p>
<p>რა გავლენა იქონია სტრატეგიის შემუშავების პროცესმა სტრატეგიის განხორციელებაზე და მიზნების მიღწევაზე?</p>	<p>რამდენად სტრუქტურირებული იყო სტრატეგიის შემუშავების პროცესი და რამდენად იყვნენ სხვადასხვა სტრუქტურული</p>	<ul style="list-style-type: none"> • ჩართული პირების მოსაზრება • შეხვედრების ანგარიშები და ჩანაწერები • მენეჯერების მოსაზრებები <p>X X X</p>

ქვედანაყოფები ჩართული მის მომზადებაში?	
<p>რამდენად იყვნენ ჩართული დაინტერესებული მხარეები (ბენეფიციარების ჩათვლით) სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგში?</p> <ul style="list-style-type: none"> • მონიტორინგის დოკუმენტის ავტორების მოსაზრებები • დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები 	<p>X X X X</p>